

652
1976/3

941936340
802301101933



1

9

7

6

1

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ. მდივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.2.76. საბეჭდი თაბახი 6, საგამომცემლო 5 თაბახი
შეკვეთის № 626, ემ 00348, ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 20).

აჭარის უზრნალ-გაზეთების გამომცემლობა

ცხოვრება არის ადამიანი

ბუნების ძალამ და ხალხის ძალამ
დღეს კიდევ ერთხელ შთაბერა კალამს
აზრი ჭკვიანი, ღრმა და მთლიანი, —
ცხოვრება არის ადამიანი.

საქართველოში მღეროდა, მღერის
სიცოცხლის ყველა ბგერა და ფერი,
მიწა, მცენარე, ზღვა და ნიავი, —
ცხოვრება არის ადამიანი.

მე ბინდი მღლიდა, თუ ჭირი მჭირდა,
მზრდიდა, მინდოდა და მუდამ მინდა
ნათელდღიანი სიტყვა მზიანი, —
ცხოვრება არის ადამიანი.

ამით ვუმღერი ქალაქს და სოფელს,
ძმას და მეგობარს, შვილსა და მშობელს,
კეთილს, თუ ქვეყნად რამე კი არი, —
ცხოვრება არის ადამიანი.

არ ვუღალატოთ, ძვირფასო ამას,
ბუნების ძალამ და ხალხის ძალამ
მოგვძახოს ცეცხლით, ქარით, მდინარით!
ცხოვრება არის ადამიანი!

ქართველი კომუნისტი ბამზე

ყინვა სახსრებში ისე მიჭერს, ასე მგონია,
ჯგოოდ მოდენილი ჭიანჭველები სხეულზე ათევს,
ვუცქერ ციმბირელს
და ჩვენს ბიჭებს გასამხნეებლად
დაკოყრილ ხელებს ღიმილით და სითბოთი ვართმევ.
მერე ვიგონებთ საქართველოს მზე რომ რონინობს,
დარობს დარულად,
ვისთვის ცივა, ვისთვის სულ ცხელა,
არაყს ნატრობენ, პურის არაყს, ქერა ბიჭები,
ქართველი ქართველს გიგზავნისო ბებო ჩურჩხელას.
შებინდებისას უსინათლო ველები თვლემენ,
ძნელია გითხრა, მანუგეშებს იგი შენოდენ,
შენ პატარა ხარ,
დასაკარგად ვერ გამიმეტებ,
ან როგორ გაგცვლი, მე ვით დაგთმობ, უნდა მელოდო.
მე შენს დიდებას, როგორც ხავსი მოვეკიდები,
და მოვწოვ შენი უკვდავების დაორთქლილ ცურებს,
დედაშვილობას, რას არ ვნატრობ, რას არ გპირდები,
მამულო, გვერდით, სადღაც მიღმა, ნუ გამაცურებ.
პარტია ჩვენი, აზრი ჩვენი, მირონი ჩვენი,
პატაკს მოელის რით დავდგებით ვახტზე ხუთწლედის,
ანდერძს არასდროს გავუწბილებთ ვლადიმერ ლენინს,
სამშობლოსათვის გრიგალებს და ყინვას ვუძლებდით.
ოცდამეხუთე! — გუგუნებენ სამშობლოს მთები,
ოცდამეხუთე ყრილობისთვის მზად ვართ ყველანი,
ახალ ხუთწლედის ვახტზე ახალ ძაღლონით ვდგები
და საუკუნის მიღმა მიჰქრის ჩემი მერანი.
მაქვს ოცნებები — პურის ყანა ჯერ უთავთავო,
დამძიმებულიც მზეკაბანი მსურს რომ მენახოს,

ცას მისწვდეს სულის პირტიტველი საგალობელი,
როგორც „ურმული“, როგორც ტბილი „შენ ხარ ვენახი.“
მე დავბრუნდები
სამშობლოში გმირის სახელით,
ვიქნები ჩემი მიწის თაფლი, მიწის მარილი,
მშობლიურ სიტბოს ნუ მომაკლებ აწ და მარადის
და ღმერთმა ნუ ქნას მოძმეებით ვიყო ღარიბი.
ჩამმალე შენი სიცხის ბულში
რომ ქარაშოტი

ყინვა-ტრამალის დავიწყებას მივცე სრულებით,
და გამიშალე ფანჩატურში გლენური სუფრა
დიაცებივით ტანმალაღი თიხის სურებით.
მომეცი ჯამი, რქაწითელით ავსილი ჯამი,
დამალოცვინეთ ეს ბიჭები ქართულ მიწაზე,
ჩვენ ამოვკვეთეთ საუკუნის გულმკერდზე ბამი
და უკვდავება მხოლოდ შრომით, შრომით ვიწამეთ.
ახლა სახსრებში ყინვა მიჭერს და მე მგონია
ჯგროდ მოდენილი ჭიანჭველები გულზე დადიან,
მაგრამ სურვილი, შევეჭედო მკერდზე გოლიათ
საუკუნეს და ვაამაყო ჩემით პარტია,
აღარ მასვენებს
და სრულდება ჩემი მისია,
იტყვიან ალბათ, უსათუოდ ვიცი იტყვიან,
ჩემზე როგორი შვილია და კომუნისტია.

ტ რ ი ბ უ ნ ა ს თ ა ნ

მიზანი ჩემი —
 არა თუ ტაში,
 პათეტიკა და ოვაციები,
 არა!
 თქვენამდე მოღწეულ ხმაში
 ერთი სურვილი მომაცილებდა.
 ეს სურვილია —
 ხალხის სათქმელი
 ათასი ხელით ერთად ავწიოთ,
 ერთად ავხადოთ ჩრდილებს სარკველი,
 სული სიწმინდით გავიარწიოთ.
 თუ სადმე დადის ურჩი და კუშტი,
 ვინმე თავკერძა, ლაჩარი, ფლიდი,
 ო, ერთად, ერთად ათასი მუშტი,
 რომ ჩაენგრის სიყალბის ხიდი.
 სადმე თუ ვინმეს ჩამორჩა სვრელი,
 დაეცა, თვალებს დაედო რული,
 ო, ერთად, ერთად ათასი ხელით
 წამოვაცენოთ, გავუთბოთ გული.
 გლეხსა და მუშას, ექიმს, ინჟინერს...
 ვინაც რუტინა ბეჭებზე დადო,
 ო, ერთად, ერთად ათას ყიყინით
 ვადიდოთ ძმობა და გული ვანდოთ.
 ძეობა, როგორც ერის ზეიმი,
 ჟღერდეს ვით სიმი, ჰანგი ულევით.
 ო, ერთად, ერთად ათასი ღიმით
 გავუთბოთ წმინდა ხარატულები.
 ყალბი პათოსი? —
 არა და არა!

ამ ტრიბუნასთან მიტომ მოვედი,
რომ მზედ ავანთოთ გულები!

კმარა

ხმაურს ვერ იტანს მუზა პოეტის.
ხმაურით ტალღა თუ აკრთობს ანძებს,
ისევ მშვიდდება, მორცხვად ციმციმებს.
საქმე ამშვენებთ შუბლიან კაცებს
და ნამუსიან ქულის სიმძიმე.

დედაო თაობათა!

დედაო თაობათა,
მშობელო ეპოქების,
ხილვათა უსასრულო სამყაროვ,
სხვადასხვა მოქიშპენი,
მოდავე-მეტოქენი,
დე, შენმა თავმანდილმა გაჰყაროს!
დედაო აღმოჩენის
ახალ კონტინენტთა,
ახალი დასახლების სათავევ,
შენს ხელში ჩამარყუჟდა
განდგომილ მეტივეთა
ერთ გემად გარდასახვის სადავე!
რომ ჩვენმა უსასრულო
თავკერძა გალაქტიკამ
ის წითელ, ერთ ვარსკვლავად იხილოს,
ქიმებით რომ გადასწვდეს
არქტიკას, ანტარქტიკას,
მზე ჰქონდეს ალვასა და ღიღილოს.
დედაო, დედამიწავ! —
სახელით აერთხმოვნებ
სამყაროს!
გაზაფხულს ქსოვ საკაბედ.
მადლობა, გავიმარჯოს, —
სიცოცხლეს აახოვნებ,
საკაბედ რომ აშენებ ნაკაფებს.
შენს სახელს, შენს დიდებას

ქართველი ქალის ეშხში
ვხედავ და გესალმები მზეგულით.
დედაო,
დაო,
ცოლო,
შენში და მხოლოდ შენში
მომავლის გასაღები მეგულვის!
მეგულვის ის გორგალი,
ფერებით რომ მოქსოვე,
ბორბალი რომ ეწოდა ბარაქის.
სალამი, გაგიმარჯოს, —
თბილისი და მოსკოვი
რომ დედაც არის და ქალაქიც!

მიხეილ გოგვილაძე

ბ ზ მ ბ ი

ცხოვრება ბრძოლაა, ბრძოლაში ძლიერი იმარჯვებს, ჩემდაგვარი ილაჯგაწყვეტილი თავს შამბნარსაც ვერ აღწევსო, ერთხელ გულისტკივლით გამიმხილა მამაჩემმა.

მამაჩემი უწიგნური კაცი იყო და კარგად ვერ ამიხსნა რისი თქმა უნდოდა, ამიტომაც უფრო ღრმად ჩავეძიე.

შენ ებრძვი მიწას, მასთან ბრძოლაში იმარჯვებ, შენი სამყოფი სიმი-ნდიც მოგყავს და ყურძენიც, სხვა რაღა გინდა-მეთქი.

— მე მიწას არ ვებრძვი, მიწა ადამიანის, მცენარის, ჩიტის, ნადირის, ყველა არსების დედაა, სიცოცხლის სათავეა.

— თუკი დედაა, ოფლს რად გაღვრევენებს, უშრომლად მოგცეს, უკეთ შეგინახოს.

— განგებას ასე დაუწესებია, სიცოცხლე გაუჩენია და უთქვამს, მე ყველაფერი შევქმენი, მოხმარა თქვენთვის მომინდვით.

— მაშ, სასაყვედურო და საბრძოლოც არაფერი გქონია.

— საბრძოლო როგორ არა მაქვს. განგებას ის კი არ უთქვამს, გური-ელსა და ქარცივაძეს ათასობით ჰექტარი მიწა ჰქონდეს, კალანდაძეს ორი ქცევა, გურიელის ცოლ-შვილი ფარჩით იმოსებოდეს და ეტლით დასეირ-ნობდეს, კალანდაძეს გახიკინებულ ქალამანში სული ხდებოდესო.

— როგორ მოხდა, რომ იგი უფრო ძლიერი აღმოჩნდა?

— ეგ მე არ ვიცი, ეგ შაქრო მასწავლებელს ჰკითხეო, — მითხრა.

მამაჩემს ხმაზე ადვილად შევატყვე, რომ რაღაცათი უკმაყოფილო იყო, რაღაც არ მოსწონდა, რაღაცის გადახალისება უნდოდა, ამიტომაც ხშირად იტყოდა ხოლმე — ქვეყნად სამართალი რომ იყოს, ეს ასე იქნე-ბოდა და არა ისე, როგორც ახლა არისო.

ის, რაც მამაჩემმა ვერ ამიხსნა, შაქრო მასწავლებელს ჩავეძიე.

— კალანდაძე, ეცადე, ცხოვრებაში სწორ გზას არ აცდე, მთავარი ეს არის, დანარჩენს, როცა გაიზრდები, მაშინ მიხვდებიო, — მითხრობდა მასწავლებელმა.

იმ წელიწადს შემოქმედის ოთხკლასიან სკოლას ვამთავრებდი, მეგონა, უკვე „გაზრდილი“ ვიყავი, თურმე ასე არ ყოფილა. სად არის ის „სწორი“ გზა, როგორ უნდა მივაგნო-მეთქი, არ მოვეშვი მასწავლებელს.

— გზა ამ ქვეყნად უმარაგია, — განაგრძო შაქრო მასწავლებელმა, — ზოგი გრძელი და დამქანცველი, ზოგი ისე მოკლეა, შედგამ თუ არა ფეხს, მაშინვე ჩაგეცემა. ბილიკი გზაა, იგი შარასავით ფართო არ არის, მაგრამ მაინც გზაა, ზოგი შამხარში მიიკლავება, ზოგიც მაღალ მთაზე ავიყვანს და თვალწინ სამყაროს გადაგიშლის. ზოგი გზა უხიფათოა, ზოგიც სარისკო. სიძნელემ არ უნდა შეგაშინოს, ჩახლართულ გზებს ბევრი დასდგომია და ბოლომდე გასულა.

შაქრო მასწავლებელი წიგნის ენით ლაპარაკობდა და დიდი ვერაფერი გავუგე. ყველაზე დიდი გზა, რომელიც მე მანამ ვამეგლო, შემოქმედის ბახმარომდე იყო, მაგრამ იმ გზაზე ისეთს ვერაფერს წავაწყდი, ჭკუა მესწავლა.

ეს რომ ვთქვი, შაქრო მასწავლებელს გაეცინა.

— კალანდაძე, შენ ჯერ ცხოვრებისა არაფერი გაგეგება, ისიც არ იცი, ქვეყანა სად იწყება და სად მთავრდება. უნდა ისწავლო, ბევრი უნდა ისწავლო, მაშინ იმ უჩინარ გზებსაც ადვილად მიაგნებ.

შემოქმედის ოთხკლასიანი სკოლა რომ დავამთავრე, მაშინ მივხვდი, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი რიგზე არ იყო. მღვდლისა და ბოქაულის შვილი ეტლით ქალაქში გაისტუმრეს, მე გოდორი ამკიდეს და ყანაში მიკრეს თავი. თოთხმეტი წლის ბიჭს უკვე ბაბუაჩემზე მეტი შემეძლო. ტეხა-კრეფა რომ დავამთავრეთ, მამას ტყეში გავყევი საზამთრო და გასასყიდი შეშის დასამზადებლად. შემდეგ ყავარი ავხადეთ, რაც ჩვენს სახლს გადარჩა, ოზურგეთის ბაზარზე გავიტანეთ. აღებული ფულიდან ტანსაცმლის საყიდლად ორიოდე მანეთი ჩემთვისაც გადადეს. იმ ზამთარს შაქრო მასწავლებლის სახლის კარი არ გამიცხვებია. მისი წიგნები სულ გადავიკითხე. ისე შემიპყრო ცოდნის შეძენის წყურვილმა, უჩინარი გზების პოვნის სურვილმა, ვგრძნობდი, მანამ ვერ მოვისვენებდი, სანამ ქვეყნის ასავალ-დასავალს არ გავიგებდი.

მეორე ზაფხულს ბათუმთან რამდენიმე დღით მამიდა ალვასი გვესტუმრა. მამიდა რომელიღაც ქარხნის კანტორაში მუშაობდა მდივნად. იმდენ გასამრჯელოს იღებდა, ვიცოდით, არ უჭირდა. ყველა რომ შევიკრიბეთ, მამიდა ალვასმა ფუთა გახსნა, დედას ყვავილებით მოხატული თავშალი აჩუქა, მამას ვერცხლით მოჭედილი ქამარი, ბაბუას ყაბალახი, მე ისეთი ჭრელი წინდები, ჩასაცმელად ვერც გაიმეტებდით.

ამ ბიჭს რას უპირებთო, — იკითხა მამილამ, თან ისეთი ალერსით, თვალეზით გადმომხედა, ვიგრძენი მკერდი სითბოთი ამევსო.

— რას უნდა ვუპირებდეთ? — გაიკვირვა მამაჩემმა.

— ბარემ ქალაქის სკოლაც დაამთავროს, მე მივხედავ, ნუ გეშინიათ. დედაჩემმა ქვა აავდო და თავი შეუშვირა.

— არ გადამრიო, ქალო, ყანა გასათოხნია, თხილი მოსაკრეფია, ძროხა სამწყვსავია, ყურძნობას იმხელა თხმელებზე მამაშენი ავუშვა თუ შენი ძმა? — მოკლედ, დედაჩემმა იმდენი საქმე ჩამოთვალა, აშკარა იყო არ შემეღუფდნენ.

— დღეს უსწავლელი კაცი ჭურში მჯდომსა ვავს, — მამილამ სცადა გადაერწმუნებია ისინი.

— მაგას სწავლა აკლია? — იწყინა ბაბუამ, — ჩვენმა მამასახლისმა რაი კლასი ძლივს დაამთავრა და სოფელს თავკაცობს.

— ა. ბატონო, საცოდავი ბიჭი გადაჰყიდეთ თოხის ტარზე და ნახავთ, რასაც მოიგებთ, — მამილამ უნუგეშოდ ჩაიქნია ხელი. ასე დამთავრდა ჩემს მომავალზე ბჭობა. მოგვიანებით გადაწყდა, ხუთიოდე დღით მამილას გავყოლოდი ბათუმში.

სიხარულით მთელი დამე არ მიძინია. თვალწინ მედგა ელექტრონებით გაჩაჩხახებული ზღაპრული ხომალდები, რომლებიც ღერჯად მოლივლივად ზღვაში დაცურავდნენ.

დღილით ისევ შედგა ოჯახური თათბირი, აშკარა იყო, ჩემი ძირგამონძერალი წუღით ქალაქში არ ჩამესვლებოდა. მამაჩემმა ჭურს თავი მოხადა, საღვინე დოქი გაავსო, ფუჩეჩით მაგრად დაუცო, შარაგზანზე გამიყვანა და ჭკუაც დამარიგა, — დღეს ოზურგეთში ბაზრობაა. დოქში შვიდი ბოთლი ასხია, თითო ბოთლი თითო აბაზად გაჰყიდე, ვინმე დოქით თუ იყიდის, ცხრა აბაზად მიეცი, ნავაჭრით წულა იყიდე და სახლში დროზე დაბრუნდიო.

ივნისი იდგა. გზაზე ჩრდილებს ვეტანებოდი. ხელი რომ დამეღალა, თხმელის ტოტები დავამტვრიე, მხარზე დავიწყვე და დოქი შემოვიღვი. ძალას იმაზე ფიქრიც მმატებდა, რომ ჩქარა ახალი წულა მექნებოდა და მატარებლით ქალაქში წავიდოდი.


წითელ მთასთან ეტლი დამეწია. მეეტლე ნაბახუსევი ჩანდა, ხმამალა მოიმღეროდა. ალბათ საცოდავი თვალეზით შევხედე. ბაზარზე ხომ არ მიღწაოთ, მკითხა. კი მივდივარ, მაგრამ, ბიძია, ფული რომ არ მაქვს-მეთქი, სინანულით გამოვუტყდი. ყაზახი რომ გახდები, მაშინ გადამიხადეო, მეეტლე ტბილად გამომელაპარაკა.

ოჰ, როგორ მესიამოვნა ბუმბულივით რბილ სავარძელში ჩაჯდომა. ეტლი ისე მიირწვოდა, დედის ნანაც და, ჩამეძინებოდა.

— დვინო მიგაქვს?

— კი, ბიძია, წულა უნდა ვიყიდო. — გავუხსენი გული. დოქს დავ-

ხედე, ღვინოს ფუჩეჩი სისხლისფრად შეეღება და ტუჩიდან ძირაღებდა დაეხაზა.



— ეტყობა, ძაან ნახელავია.

— რაფერ მიხვდი, ბიძია. — გამიკვირდა.

— რაც მე ღვინო შემისვამს, შტერი უნდა ვიყო, კარგი და ცუდი ვერ გავარჩიო. მაგ ღვინომ ისეთი სუნი დააყენა, ეტყობა, თაფლზე ტკბილია.

— ჰო, რა ვიცი, მამაჩემზე ამბობენ, ისეთ ღვინოს აყენებს, მოღუ-
ლებულს ჯობიაო.

ასე გავაბით საუბარი.

მთავარ გზაზე მეეტლე სამმა კაცმა გააჩერა, ვაკიჯვარში წაგვიყვა-
ნო, უთხრეს. მორიგდნენ. მეეტლეს მადლობა გადავუხადე და ოზურგე-
თის გზას ფეხით დავადექი. ბაზრამდე ერთი კილომეტრი მაინც იქნებო-
და.

გზის მიღმა ახალი სახლი სერაბაღში გამოეყვანათ და ყავრით ხურა-
ვდნენ. ჩრდილში შევისვენე და ქათქათა კედლები შევათვალიერე. ბაბუ-
ას აშენებული ჩვენი ოროთახიანი, ჩახავსებული სახლი დამიდგა თვალ-
წინ, ნეტავი ასეთი სახლი თუ გველირსება-მეთქი, ვინატრე ჩემთვის.

— ეჰეი, ბიძიკო, მაგ დოქში რა გაქვს? — ორმოციოდე წლის ახოვან-
მა მამაკაცმა ეზოდან გადმომძახა. ეტყობოდა, მასპინძელი იყო.

— ღვინო, ბიძია. — ისე სულმოუთქმელად მივაძახე, ხელის გაცლას
არაფერი მერჩია.

— ჰყიდი?

— დიახ.

— ეზოში შემოდი, გაგვასინჯე შენი ღვინო.

მორებს გადავახტი და უმაღვე მასპინძელთან გავჩნდი.

მასპინძელი რატომღაც შაქრო მასწავლებელს მივამსგავსე, ლამაზად
გაპარსული სახე, მაღლა ავარცხნილი, ოდნავ შეჭალარავებული თმა, კე-
თილი თვალები. მამა-შვილურად შემომეგება, დოქი ჩამომართვა, ფუჩეჩი
მოხადა და ჩამოასხა, შემდეგ ცოტათი მოსვა, დაფიქრდა და ისევ ფერს
დააკვირდა.

— რაო, აძმარებულა? — თვალებში შეაჩერდნენ.

— გულს ჩაგწყვეტს, — ესა თქვა და ჰიქა აუჩქარებლად დაცალა.
შემდეგ დოქი სხვებს გადასცა, თვითონ სამზარეულოსაკენ წავიდა.

დოქი ხელიდან ხელში გადავიდა.

— ჩქარა, კაცო, ნუ გადაგვაყოლებთ. — ზევიდან ჩამოსძახეს.

დოქი მესამედ ჩამოატარეს, შემდეგ ყელზე თოკი გამოაბეს და ზე-
ვით აგზავნეს.

— აუ, კაცო, ნამდვილი ბადაგია, — თქვა ერთმა და ისე დაიწყანა,
თვალები კინალამ გადმოსცვივდა. მე არ ვიცოდი რა იყო ბადაგი, ალბათ
დაიწუნა-მეთქი, ვიფიქრე.

— სადაური ხარ, ბიჭო, შენ? — ერთ-ერთმა ჩამომძახა ზემოდან.

— შემოქმედელი.

— სახლში რომ დაბრუნდები, მამაშენს ჩემგან უთხარი, გქონია, ამ ღვინოს რომ ყიდი-თქო.

ქვეყანა მამაჩემის ღვინოს აქებს, ამათ რა ღმერთი გაუწყრათ, ჩემი გაცურება ხომ არ უნდათ-მეთქი, ეჭვი დამებადა. მით უფრო, ჩემთვის არც ფასი უკითხავთ, არც ის, დოქში რამდენი ესხა.

ახალი სახლი დალოცეს, მასპინძელი ადღეგრძელებს, ერთმანეთის ცილობაში დოქი თავზე დაიხაპეს. ბოლოს ერთი წამოდგა, მტერი ასე დაგეცალოთო, თქვა და დოქი გადმოაპირქვავა. რაკი შიგ არაფერი იყო, მტერი ასე დაგელეწოთო, დაუმატა და ჩემი დოქი მაღლიდან მოიქნია. დოქმა პაერში ნახევარწრე მოხაზა, მიწაზე დაეხეთქა და დამბაჩასავით დაიქუხა. ნამსხვრევები წყლის შხეფეებით ირგვლივ გაიფანტა.

გული ისე მეტკინა, ცრემლი კინალამ მომერია. თავიდანვე ეტყობოდათ, კარგს არაფერს მიქადდნენ. მასპინძელი დამალა, სხვებმა ღვინო შემისვეს და დოქიც გამიტეხეს. დოქს მაინც რაღას ემართლებოდნენ. ახლა რაღა ვქნა, ლეკურა წულა რითი ვიყილო? ჩემი ჯღანებით ბათუმში ხომ არ წავიდოდი?

არ მინდოდა ეფიქრათ, რომ დოქის გატეხა გულს ამიჩუყებდა, რაც არ უნდა იყოს, მე თხუთმეტი წლის ვიყავი და მამაკაცური თავშეკავება მმართებდა. სიტყვა არ დამიძრავს, შევეტრიალდი და ჭიშკრისაკენ გავემართე.

— ბიძიკო, სად მიდიხარ? — ხმა დამეწია.

მოვიხედე, მასპინძელი მიახლოვდებოდა.

— დოქის გატეხა არ გეწყინოს, ოჯახის დალოცვა ასე იციან.

ცოტათი იმედი მომეცა, მასპინძელს თვალი გავუხსწორე.

ღვინო და დოქი რა ღირდაო, მკითხა.

— ღვინო შვიდი აბაზის იყო, დოქი ორი აბაზი ღირს, სულ ცხრა აბაზი.

— აჰა, ორი მანეთი, აბაზის კამფეტი იყიდუ. კიდევ თუ ჩამოგვიტან, ეტლის ჭირასაც გადაგიხდი. ასეთი ღვინო კარგა ხანია არ დამიღვია.

— ვერ ჩამოგვიტანთ, ხვალ ბათუმში მივდივარ. — ვთქვი და ჭიშკრისაკენ გავემართე.

— ასე ვერ გაგიშვებ, — მასპინძელმა ქამარში ხელი წამავლო. — ეკა, ეკა! — გასძახა სამხარეულოსაკენ, — ჩქარა, ხაჭაპური.

ცამეტიოდე წლის გოგონამ ოხშივარადენილი ხაჭაპური ჩემსკენ თეფშით გამოაქანა. მას ლამაზი სახე ჰქონდა, ვარდისფერი, კოხტად შეკერილი კაბა ეცვა, თმაზე კი ვეებერთელა პეპელას მსგავსად ქათქათა ბაფთა დასთამაშებდა.

— აილე, ბიძიკო! — მითხრა მასპინძელმა.

არ მინდა-მეთქი, ვთქვი, მაგრამ თვალს ვერ ვაშორებდი ყველაზე უფრო მოტენილ ხატაპურს. ახლა მივხვდი, რომ საუზმის შემდეგ კარგად ვაშორებდი სულყო.

— მაშინ „არმინდას“ აჭამე! — ეკამ გამომაჯავრა. იმ შეჩვენებულს ლამაზი სახე სიანციტ უბრწყინავდა. შიშველ ფეხებზეც შეეხედე. ჩვენი სოფლის ონავერებივით კანკები ეკლებით ჰქონდა დაკაწრული.

— ეკას ეწყინება.

— გაუშვი, მამა, აბა, გაბედოს და უარი მითხრას.

ეკა ჭიშკართან ჩადგა. ეზოს ირგვლივ ტრიფოლიატის ღობე ერტყა.

ჩემს ხვედრს სიამოვნებით დავმორჩილდი. ერთი ნაჭერი ავიღე.

მეტისმეტად ცხელი აღმოჩნდა. მღუღარესავით დამთუთქა პირი.

თითქოს ეკა ამას ელოდაო, ისე გულიანად აკისკისდა, თეფში კინა-ღამ გაუვარდა.

თეფში ხელში მომაჩეჩა, ახლაც წყალს მოგირბენინებო, მითხრა.

თეფში უნებლიედ გამოვართვი. წყლისათვის წასვლა არც უფიქრია, სანამ ყველას არ შეჭამ, თეფშს არ გამოგართმევო, — ნიშნისმოგებით დაუმატა.

მეორე ნაჭერი ავიღე და თეფში მორზე დავდე.

წავედი და სულ ეკაზე ვფიქრობდი. როგორ შევწოდო სიანცი. უმაღლესე გამიშინაურდა, ხუთიოდე წუთში რამდენჯერ გამაწითლა. სიტყვაც ვერ დავძარი, დავიბენი, თითქოს პირველად მოვხვდი უცხოსთან.

ბაზარში ყველაზე ლამაზი წულა შევარჩიე. შემდეგ ღოჭი ვიყიდე. ორი მანეთიდან ოცდაათი კაპიკი დამრჩა. კამფეტის ძებნისას ღუქანში ისეთი თვალგებრილა, ლამაზ თოჯინას წავაწყდი, ველარ მოვშორდი. ორმოცდაათი კაპიკი ღირსო, მითხრა ნოქარმა. ექვსი შაურის მეტი არა მაქვს-მეთქი, სინანულით ჩავილაპარაკე. ნოქარს შევეცოდე და ის თვალგებრილა თოჯინა ქაღალდში გამიხვია.

ეკას სახლს რომ მივუახლოვდი, მუხლები ისე მომიღუნდა, თითქოს რაიმე ავკაცობა ჩამედინოს. არ ვიცოდი თოჯინა როგორ გადამეცა. ჭიშკართან მანამ ვიდექი, სანამ ეკამ არ შემნიშნა. როგორც კი თვალი მომკრა, დედოფალა ჭიშკარზე ჩამოვდე და ისე გავიქეცი, თითქოს ცოფიან ძაღლს გავუბრბოდი. ალბათ ძალიან სასაცილო ვიყავი, ეკას გულიანი კისკისი მანამ მესმოდა, ვიდრე სხვა სახლებს არ მივეფარე.

* * *

მეორე დღეს ეკას ეზოსთან ეტლით ჩავიქროლე. სახლის დახურვა დაემთავრებიათ. ეკა ეზოს ასუფთავებდა. საქმით გართულს არც შევეუბნე-ნივთარ. რატომღაც გონებიდან ვერ ვიშორებდი, თითქოს მიმძიმდა მასთან დაშორება.

მატარებლიდან ლურჯად მოლივლივე, თვალუწვდენი ზღვა რომ და-

ვინახე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ზღვა ისე მშვიდი იყო ჩა-
ძინებული გეგონებოდათ. მწვანე კონცხს იქეთ გემებიც გამოჩნდათ და
ბათუმიც.

ქალაქის უთვალავმა სახლებმა და ლარივით გაჭიმულმა ქუჩებმა ყველა
კი დამავიწყა. გამიკვირდა, მართვესავით აზუზუნებული ამდენი ხალხი ქა-
ლაქში რას აკეთებდა, ახლომახლო არც ყანები იყო და არც ბაღები.

მამიდას ერთი ოთახი ჰქონდა. დავისვენეთ, ვისადილეთ, შემდეგ
ნავსადგური და ქალაქი დავათვალიერეთ. საღამოს მეზობელი შემოვიდა,
ასე, ორმოც წელს გადაცილებული, გამზდარი, ფერმიხდილი. თვალები
ისე ჰქონდა შეშუპებული, ღამენათევი გეგონებოდათ. მამიდამ უთხრა,
გიორგი, ერთი შეამოწმე, ჩემი ძმიშვილი რა სიმდიდრის პატრონიაო.

რაც მესწავლა და წამეკითხა, ყველაფერი გადმომაღაგებინეს. ბო-
ლოს დასცენეს, რუსულში მოიკოჭლებს, მაგრამ უღელში თუ შევაბამთ,
ურმის გაწევას შესძლებსო.

გიორგიმ თავისთან წამიყვანა. მის ოთახს ქალის ხელი აკლდა. თევ-
შები მაგიდაზე, წიგნებს ზემოდან ეყარა, წიგნები ყველგან ეწყო, შკაფზე,
ფანჯრის რაფაზე, სკამებზე. ეტყობოდა, წიგნების კითხვით აღამებდა და
ათენებდა.

აღვასი მამიდამ მითხრა, გიორგი სტამბაში მუშაობსო.

ცოლ-შვილი სად ყავს-მეთქი, ვკითხე.

ცოლ-შვილი კი არა, თავის გატანა უჭირსო.

ორი დღის შემდეგ რუსულის მასწავლებელს მიმავარეს. ქართუ-
ლსა, ისტორიასა და არითმეტიკაში გიორგი მავარჯიშებდა.

მოკლედ, სექტემბერში „ეკზამენი“ კარგად დავიჭირე. ასე შევალე
ბათუმის ქალაქის რეალური სასწავლებლის კარები. გიმნაზიელებს ცოდ-
ნით ვერ გავუტოლდებოდი, მაგრამ დასაწუნი არც ის სკოლა იყო, სადაც
მე მიმავარეს.

იმ წელიწადს სახლში არ ავსულვარ, ვიფიქრე, იქნებ ქალაქში აღარ
გამომიშვან-მეთქი.

მამაჩემს გულისტკივილით ეთქვა, ერთი ბიჭი მყავდა და ისიც ალ-
ვასმა წამართვაო.

ნასწავლი შვილი თუ მეყოლება მაგას რა ჯობსო, დედაჩემი არ და-
თანხმებოდა.

გლეხის სწავლა ვის გაუგონია, გლეხისათვის ღმერთს თოხი გაუჩე-
ნიაო, — ბაბუასაც გამოეთქვა თავისი აზრი.

ასე გავხდი ქალაქელი. ჩქარა ქალაქის ასავალ-დასავალს ჩავწვდი.
ბათუმში ათიოდე შესანიშნავი სახლი იდგა. მე უკვე ვიცოდი ვის ეკუთ-
ვნოდა ის სახლები, ან რა გზით აიშენეს. ისიც ვიცოდი, ვინ იყო მანთა-
შევი და რამდენი ქარხანა ჰქონდა, ან 1903-1905 წლებში ბარიკადებზე
რატომ დაიღვარა სისხლი.

იმხანად რუსეთის მეფე სადლაც დასავლეთში გერმანიის მეფეს ებრძოდა. ომი ჩვენი ქვეყნისაგან ძალიან შორს იყო, მაგრამ მისი სუსტი ჩინის ქალაქსაც მოწვდა. ცხოვრება გაძვირდა, ბაზარში ყველაფერს ციხის ეკიდებოდა, მაღაზიებთან რიგები გაჩნდა. გაჭირვებამ მაიძულა ჩემი ფუთი სიმინდისათვის სოფელში წავსულიყავი.

ოზურგეთიდან გზას ფეხით დავადექი, სად მქონდა ეტლის ფული. ესეც არ იყოს, ათი თვე გავიდა, რაც ეკა არ მენახა.

აპრილის თბილი დღე იყო, ძალააკრებული გაზაფხული ზეიმობდა, პაერი ყვავილნარის სურნელებით ავსებულიყო.

ეკას ეზოს გავუსწორდი. სახლს ავხედე, გული სიხარულმა უცნაურად ამიფორიაქა. ოთახის შიგნიდან მაღლა აღმართული ორთავე ხელით თოჯინა ფანჯარას მოსდგომოდა და ეზოს გადმოჰყურებდა, თითქოს ვილაცას ელოდა. რატომღაც გავიფიქრე, რომ თოჯინა რაღაცას მანიშნებდა.

არ მინდოდა ისე წავსულიყავი, ეკასათვის თვალი არ შემევლო. დიდხანს ველოდე. ეკა ოთახიდან აივანზე გამოვიდა, ილლით წიგნი მოჰქონდა. როგორც კი შემნიშნა, კიბე სირბილით ჩამოათავა. ჭიმქარს მოადგა, აციაგებული თვალები სითბოთი ავსებოდა.

— გამარჯობა!

— გამარჯობა, ეკა.

— შენ რა გქვია?

— შოთა.

— სად დაიკარგე?

მე ჩემი ამბავი მოვუყევი, მისიც გავიგე. უკვე აღარ ვიბნეოდი, სიტყვას სიტყვას ვაბამდი, აზრს — აზრს. იქნებ ლაპარაკს ისიც მიაღწილებდა, რომ ამ ათი თვის განმავლობაში ეკას ოცნებით ასჯერ მაინც შევხვდი და საათობით ჩემსა და ქვეყნის ამბავს ვუყვებოდი. არც ეს დამიფარავს. მან გადაიკისკისა, მე მეგონა სახლიდან არ გიშვებდნენო.

მოსახვევამდე გამაცილა.

ეთხოვე, წერილი მოეწერა.

რა საჭიროაო, უარი მითხრა.

გამოთხოვებისას მეგობრულად გამომიწოდა ხელი. ასე დავშორდით ერთმანეთს.

იმ ზაფხულს მოცლა აღარ მქონდა. მამაჩემთან ერთად ან ყანაში ვიყავი, ან საღარიბოს ტყეში გასასყიდ შეშასა და ყავარს ვამზადებდით. სკოლის ფორმა, სწავლის ქირა, წიგნები, საჭმელ-სასმელი აცარიელებდა ჩვენს ისედაც ხელმოკლე ოჯახს.

* * *

მამიდა სახლში დაქანცული ბრუნდებოდა, მაგრამ როგორც კი შემნიშნავდა, სახე გაუნათლებოდა, შემომღიმებდა, შენ ხარ ჩემი იმედიო,

დედასავით მომეალერსებოდა. ვხედავდი, არ ულხინდა, თავისთვის ძუღლს
ყოფნიდა, მაგრამ ჩემთვის სულს არ იშურებდა.

თავისუფალ დროს მე და მამიდა ერთად დავსეირნობდით, ხან
სადგურში ჩამომდგარ ლამაზ გემებს ვათვალიერებდით, ხან
ბაღში დავდიოდით.

გიორგი და მამიდა ზოგჯერ მარტოდ ჩაიკეტებოდნენ, რაღაცაზე გა-
უთავებლად კამათობდნენ. აბა, რა ჩემი საქმე იყო, ამდენი რა ჰქონდათ
სადავო. თავიანთი საქმე მათ ჩემზე უკეთ იცოდნენ.

ერთი აშკარაა, — გიორგის, მამიდა ალვასის, უამრავი წიგნებისა და
ამხანაგების დახმარებით ბევრი რამ გავიგე, თითქოს თვალი ამეხილა და
მანამდე შეუცნობი სამყარო დავინახე. შაქრო მასწავლებლის ქარაგმულ-
ად ნათქვამ სიტყვებს უფროდაუფრო ჩავწვდი, მე უკვე ვხედავდი ცხოვ-
რების მრავალ გზას, ვიცოდი რომელი საით მიემართებოდა, მხოლოდ ჯერ
ჯერ გადამეწყვიტა რომელ გზას დავდგომოდი, ვგრძნობდი, რომ ჯერ სა-
ამისოდ არ ვიყავი მზად.

ერთხელ, ყველაზე ახლო მეგობარმა საიდუმლოდ მკითხა, „სპარტა-
კის“ ორგანიზაციას ვაყალიბებთ, არ გინდა ჩაეწერო? იმხანად ამბობ-
დნენ, სოციალ-დემოკრატები მეფის ტახტის აფეთქებას ფიქრობენო,
მაგრამ ჩემი ტოლები მახვილის აღმართვას თუ გაბედავდნენ, ეს ვერ წა-
რმომედგინა. გადამეწყვეტი ნაბიჯი მაინც არ გადამიდგამს. მით უფრო, მა-
მიდაჩემთან სიტყვაც არ დამიძრავს, საწყალ ქალს გულს ხომ არ გა-
დაუტრიალებდი?

ერთხელ, სოუქსუს იქით, ღრმა ტყეში შევედით. მე მაშინ ბათუმში
სამი წლის ჩასული ვიყავი და ამხანაგები ნდობით მეპყრობოდნენ. ერთ-
ერთმა ამხანაგმა რვეულის გაშლილი ფურცელი ხეზე მიაკრა. მეორემ
ნაგანის სისტემის რევოლვერი ამოიღო და დაუმიზნა.

იარალი?! გულმა რჩინი მიყო, მივხვდი, რომ ჩემს მეგობრებს შორს
შეეტოპათ. ალბათ „სპარტაკელები“ არიან, სპარტაკმაც ხომ ასე, მცირე
ჯგუფით დაიწყო, ნუთუ ეს პირტიტველა ბიჭუკელები ბრძოლას გაბე-
დავენ? აკვიატებული აზრი ვეღარ მოვიცილე.

ჩემი ჯერიც დადგა. იარალი გამომიწოდეს და მასწავლეს როგორ გა-
მესროლა. სოფელში ბაბუაჩემის ფილთა თოფით ბევრჯერ ვყოფილვარ
სანადიროდ, მაგრამ რევოლვერი ხელში არასდროს მჭერია. ორჯერ გა-
ვისროლე. მიზანს კარგად მოხვდა, შემაქვს, სნაიპერი დადგებო.

რა ჭირად მინდა, ვის უნდა ვესროლო-მეთქი, ჩემთვის ჩავილაპარაკე.

— დაგჭირდება, არ ესვრი და ისინი ვესვრიან.

— ვინ ისინი?

— მაგასაც გაიგებ, — მრავალაზროვნად მითხრეს.

ეს იყო და ეს, იმ დღეს სხვა არაფერი უთქვამთ, მხოლოდ განშო-
რებისხანს გამაფრთხილეს, კრინტი არავისთან დამეძრა.

ქალაქში გვიან დაგბრუნდით.

სახლში რომ მივედი, მამიდა ვახშამს ამზადებდა.



ეროვნული
bibliotheka

მოულოდნელად ეზოდან ხმაური შემოიჭრა, ქვაფენილზე დაეშრებოდა ცული მძიმე ჩექმების აჩქარებული ნაბიჯები გაისმა. ნაბიჯები კიბეს ისე ამოჰყვავდა, ჩვენმა ფიცრულმა სახლმა ზანზარი დაიწყო. მამიდამ ფანჯრის ფარდა გადასწია და უმაღლეს ფერზე ეცვალა.

— ჟანდარმები! — საგანგაშო ხმით მითხრა.

ნუთუ ტყეში ჩვენი ყოფნა გაიგეს? ეჭვმა შემიპყრო, ამკარა იყო, ვილაცამ გაგვცა. არამზადები, ენა რომ ამომგლიჯონ, ამხანაგებს არ ვუღალატებ, ჩემგან ვერაფერს გაიგებენ-მეთქი, ჩემთვის გადავწყვიტე.

— ბიჭო, — ათრთოლებული ხმით მითხრა მამიდამ, — თუ დამიჭირონ, არ შეშინდე.

— შენთან რა უნდათ, მამიდა, — ნირწამხდარმა ამის ამოღებულად ძლივს მოვასწარი, რომ უნტეროფიცერი და რამდენიმე ჟანდარმი ოთახში შემოიჭრნენ. ისინი უმაღლეს შკაფს მივარდნენ, ადგილიდან გამოაცურეს, იატაკში დატანებული პატარა კარი ახადეს და საიდუმლო სამალავიც გამოჩნდა. სამალავში შრიფტი, ნაგანის ტიპის ორი რევოლვერი და პროკლამაციები ნახეს.

— კალანდაძის ძუენავ, მეფეს გერმანიის კაიზერმა ვერაფერი დააკლო და შენ ფიქრობ კისერი მოსტეხო? — ბურვაკივით ჩასუტებულმა უნტეროფიცერმა პროკლამაციები ცხვირწინ აუფრიალა. უნტეროფიცერი ასოვანი იყო, ოღნავ შეჭალარავებული უღვაშებით და მედიდური გამომეტყველებით. იგი ქალაქში ბევრჯერ შემომჩნევია, ისე დადიოდა, თითქმის ქვეყანა მის ნებას ემორჩილებოდა.

მამიდა ხმას არ იღებდა, დამშვიდებული მეჩვენა. უკვე შეგუებოდა თავის მდგომარეობას.

ჩხრეკას რომ მორჩნენ, ჟანდარმებმა მამიდა ალვასი ხელის კვრით აივანზე გაიყვანეს. მეც ფეხდაფეხ მივყევი. აივანზე გიორგი იდგა, მისთვის ხელზე ხუნდები დაედოთ. ჟანდარმებმა ოთახიდან რალაც ფუთები გამოათრიეს და ეტლში ჩაყარეს.

იმ ღამით აღარ დამიძინია. მარტოდმარტო, გაოგნებული ვიჯექი. აბა, რას წარმოვიდგენდი ასეთი სუსტი, სათნო არსება იარაღით ბრძოლას თუ დააპირებდა. აი, თურმე გიორგი და ალვასი მამიდა საათობით რაზე კამათობდნენ.

განთიადზე ვილაც წვერმოშვებული კაცი მოვიდა, დაახლოებით ოცდაათშუთმეტი წლისა. იგი ადრე არ მენახა.

— ალვასისა და გიორგის ჩვენ დავეხმარებით, მისი მეგობრები. — ეს მითხრა და უმაღლეს გაქრა. უცნობის გამოჩენამ რალაც იმედი მომცა. ზალხი თუ მოინდომებს, წინ ვინ აღუდგება. ასე მომხდარიყო 1905 წელს. ჟანდარმებს გაფიცულთა მეთაურები შეეპყროთ. მეორე დღეს მთელი ბა-

თუმი ფეხზე დამდგარიყო. შეშინებულ ციხის უფროსს პატიმრები გაეთავისუფლებია.

მამიდას დაპატიმრების შემდეგ პოლიციელებსა და ჟანდარმებს სანახავად ვერ ვიტანდი. სურვილი მებადებოდა, იმათთვის ტყვეობაში წაიყვანა, ან ცხენით გადამეთელა, მაგრამ არც ცხენი მყავდა და არც იარაღი მქონდა. სწორედ იმ დღეებში „სპარტაკელთა“ ორგანიზაციაში ჩავეწირე, თან ვთხოვე, იარაღი მიშოვეთ-მეთქი. იარაღი რად ვინდაო, მკითხეს. მანამ ვერ მოვისვენებ, სანამ ბურჟუაზიით ჩასუქებულ იმ უნტეროფიცერს არ ჩავაძაღლებ-მეთქი. რაკი ასეთი კეთილშობილი სურვილი გამოძრავებს, იარაღსაც გიშოვით და კიდევაც დაგეხმარებით, მხოლოდ უჩვენოდ არაფერი გაბედო, საქმე უარესად არ გაართულოო, გამაფრთხილეს. მოთმინების მეტი რა დამრჩენოდა. მე „სპარტაკელი“ ვიყავი და განკარგულებას უნდა დავმორჩილებოდი.

ერთი თვის შემდეგ იმ წვერმოშვებულმა კაცმა ქუჩაში გამაჩერა. მამიდას ამბავი ვკითხე.

გამოხსნა ვერ მოვახერხეთ, მეტეხის ციხეში გადაიყვანესო, მითხრა. ახალდაღამებული იყო. მეხსიერებაში ჩამრჩა მისი შავი, მკაცრი თვალები და ლითონივით მკლერი ხმა.

რომ დამჭირდეს, სად ვნახავ-მეთქი, ვკითხე.

გაიღიმა.

— მე შალვა მქვია. მხოლოდ ვახსოვდეს, ჩემს კვალში ჩაღვომა შენთვის სახიფათოა.

— რაიმეში იქნებ მეც გამოგადგეთ.

— შენი იმედი გვაქვს, — მეგობრულად მომხვია ხელი, — როცა საჭირო იქნება, შენც მოგაწვდენთ ხმას.

შალვა წავიდა.

მეტის მოთმენას აზრი აღარ მქონდა. გადაწყვიტე მამაჩემისათვის ყველაფერი მეთქვა. მამაჩემი რას ვახდებოდა, თბილისში გზის გავწვამაც გაუძნელებოდა, მაგრამ ძმას დის ამბავი ზომ უნდა სცოდნოდა?

დილის მატარებლით სოფლისაკენ გავემართე.

ოზურგეთიდან გზას ფეხით დავადექი. არდადეგების შემდეგ ეკა არ მენახა, გულიც იქითკენ მიმიწევდა.

ეკა ფანჯარასთან იდგა, როგორც კი შემნიშნა, სახე გაეზადრა.

— სულ დამივიწყე, — მისაყვედურა.

ეკა უფრო მიმზიდველი გამხდარიყო. სახე ავსებოდა. თვალებში ქალური სინაზე ჩასდგომოდა.

„სულ დამივიწყეო“, მითხრა, აბა, ეს რა სათქმელი იყო, განა არ იცოდა, რომ მას იღუმელად ჩემს ყველაზე სათუთ ფიქრებს ეუზიარებდი. ეკასთან მთელი საათი დავრჩი. ბევრი რამ ეუთხარი, მთავარი მაინც

უთქმელი დამრჩა, გული ვერ გავუხსენი. თუმცა, ისეთი ეშმაკი იყო, უთქმელადაც ადვილად ხვდებოდა.

მიმძიმდა განშორება, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, ჩემი მარტოობა, ჩემი საფიქრალით სოფლის შარას დავადექი.

მამიდა ალვასის ამბავმა დედაჩემი შეაშფოთა, მამაჩემს სიტყვაც არ დაუძრავს, მხოლოდ ეს იყო, რომ მაგიდაზე გამეხებით დაჰკრა ხელი. არ ვიცი, მამიდას უჯავრდებოდა თუ იმათ, რომლებმაც ქალი ციხეში გამოჰკეტეს.

ბათუმში მეორე დღესვე დავბრუნდი. რატომღაც მჯეროდა, რომ იქ უფრო საჭირო ვიყავი, იქ უფრო დიდი ამბები იყო მოსალოდნელი.

* * *

თებერვლის რევოლუციამ რუსეთის ცაზე გადაიქუხა. ამბობდნენ, ომს ბოლო მოეღება, პოლიტიკურ პატიმრებს გამოუშვებნო. თვალი სულ ქუჩისაკენ მეჭირა, მაგრამ მამიდა ალვასი და გიორგი არ ჩანდნენ. მათი ასავალ-დასავალისა ვერაფერი გავიგე. მას შემდეგ აღარც შალვას შევხვედრივარ. იქნებ ისიც გავა და ციმბირის გზას გაუყენეს.

ძეფე ჩამოაგდეს, მაგრამ ბათუმში დიდად არაფერი შეცვლილა, თურქეთთან ომი გრძელდებოდა, ძველი ჩინოვნიკები და პოლიციელები ისევ ბატონობდნენ. მალაზიებში ვერაფერს იშოვიდი, ბაზარს კი ცეცხლი ედებოდა.

აპრილი იწურებოდა, ქალაქში ხმა დაირხა, ბოლშევიკები საპირველ-მაისოჯ საყოველთაო დემონსტრაციას ამზადებდნო. ხალხი განსაკუთრებული ამბების მოლოდინით იყო დაძაბული. შიმშილით კუჭი მიხმებოდა, განჯინა სულმთლად დაცარიელდა, მაგრამ სოფელში წასვლა არ მიფიქრია, ახლა ქალაქის მიტოვება ღალატად მიმაჩნდა.

იმ დღეს შიმშილით გამოსავათებული სახლში გბრუნდებოდი. ქალაქი ბინდში იძირებოდა. ქუჩებში აქა-იქ თუ წააწყდებოდი გამვლელს, გაჭირვებამ ხალხი სახლში გამოკეტა.

მოულოდნელად მოსახვევიდან მამაკაცი გამოიჭრა და უკაცრიელ ქუჩას დაადგა. მას ცალ ხელში ჩანთა ეჭირა, ჩანთა სირბილს უძნელებდა. ეს კაცი რამ დააფეთა-მეთქი, გავიფიქრე. აშკარა იყო, უმიზეზოდ არ გარბოდა. წუთიც და მოსახვევში უნტეროფიცერი გამოჩნდა, ულვაშა, მწარბეჭიანი. უმაღლე ვიცანი, ის იყო, ვინც ალვასი მამიდას ციხეში უკრა თავი. რატომღაც წარმოვიდგინე, რომ ომის, შიმშილის, სიდუხჭირის, ყველა უბედურების მიზეზი ის უნტეროფიცერი იყო. ჯანია უნტეროფიცერს ალბათ კუჭი მუდამ ამოვსებული ჰქონდა, ამიტომაც მარღალ მოსდევდა. მათ შორის მანძილი თანდათან მცირდებოდა.

ჩანთიანი საკმაოდ მომიახლოვდა, სახეზე უნებურად შევხედე და... ის იყო ჩემი ნაცნობი შალვა. ვხედავდი არაქათისაგან როგორ იცლებო-

და. ჩანთას მაინც არ ეშვებოდა. ჩანთაში ან შრიფტი ეწყო, ან პროკლამაციები.

— შეჩერდი, ვერსად წამიხვალ. შეჩერდი, თორემ გესვრის ტეროფიცერმა ხმა დაწია. რაკი ბრძანებით ვერაფერს განდასწავს, ხსნა და რევოლვერი იშიშვლა. ჩემსკენ მობოლდნენ, ინსტიქტურად კედელს ავეკარი.

ძალაგამოღებული ადამიანის ქმენა მომიახლოვდა, შემდეგ რაღაც ძირს დაებერტყა. მიეხვდი, რომ შალვამ ჩანთა დააგდო. ხელი როგორც კი გაინთავისუფლა, სირბილს მოუმატა. არც უნტეროფიცერი ჩამორჩა, ცოტაც და ხელით მიწვდებოდა. უმაღვე გადავწყვიტე შალვა გადამერჩინა. უნტეროფიცერი როგორც კი გამისწორდა, კედელს მოვშორდი და ფეხი გამოვდე. მას ფეხები გადაეხლართა, წონასწორობა დაჰკარგა, ერთი წამით ჰაერში ისე გამოეყიდა, თითქმის გაფრენას ცდილობსო, შემდეგ თავნა გადასწონა და მთელი სიმძიმით ქვაფენილს დაასკდა. იმავე დროს ნაგანის რევოლვერი ხელიდან გაუვარდა და ქვაფენილზე დაეცა. აი ნანატრი იარაღი, იგი ჩემგან რამდენიმე ნაბიჯზე დევარდა. ცდუნებამ დამძლია და იარაღი ხელში ავიტაცე. უკვე გაქცევის დრო იყო, მაგრამ შალვას ჩანთა შესიერებიდან არ მშორდებოდა, როგორმე ისიც უნდა გადამერჩინა.

სანამ ჩანთას ავიღებდი, უნტეროფიცერი წამოდგა, იგი საშინელი შესახედი იყო. შარვალი მუხლებზე გადაგლეჯოდა, მთელი სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი.

— გველის წიწილო, ეს რა ჰქენი! — დაიღრიალა და ჩემკენ გამოჰქანდა. ჩანთა საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, მიტოვება ვერ გადამიწყვიტა, არა და საცაა უნტეროფიცერი ყელში მწვდებოდა.

უკვე სიბნელე ჩამოწვა. შეიძლება მას არც შეუშინებია, რომ მე იარაღი მეჭირა. იგი ჯიქურ მომიახლოვდა, და მაშინ, როცა ჩვენს შორის აღარაფერი დარჩა, ჩემს ხელში რევოლვერმა იქუხა. ერთხელ, მეორედ... უნტეროფიცერი ერთბაშად შეკრთა, შეჩერდა, ინსტიქტურად ხელები მუცელზე იტაცა, შემდეგ მუხლები მოეკვეთა და ჩაიკეცა.

— ეგ რა ჰქენი, ბიჭო? — ვიღაცამ მკლავში წამავლო ხელი. ბინდუნდში შალვას მოშვებული წვერი ჩამრჩა მხესიერებაში. მან რევოლვერი გამომტაცა და უბეში შეინახა, შემდეგ ჩანთას დაწვდა.

წყვედიანი დედის კალთასავით გადაგვეფარა.

ის ღამე საღლაც გარეუბანში გამათევინეს. ლოგინი გამიშალეს, მაგრამ დაწოლა ვერ შევძელი, თვალთაგან ვერ ვიშორებდი სისხლით მოსვრილი უნტეროფიცრის სახეს.

შალვა სულ ჩემთან იყო. შენ რომ არ გამოჩენილიყავი, ალბათ დავილუპებოდიო, მეუბნებოდა, მეხვეოდა, მხარზე ხელს მითათუნებდა, ცდილობდა დარდი გამეფანტა, მომხდარ შემთხვევაზე ნაკლები მეფიქრა.

მეორე საღამოს ადგილი გამოვიცვალეთ. სოფლებზე გავლით მანინ-

ჯაურში ჩავედი, განთიადზე მატარებელში ჩამსვეს და მკაცრად გამოუ-
რთხილეს. სანამ არ მაცნობებდნენ, ბათუმისაკენ პირი არ მექანკვენილა.
ნატანებში რომ ჩამოვედი, მზე აჭარა-გურიის მთებს წაშლავდა.
აპრილი იწურებოდა, მერცხლები ჟივჯივით სერავდნენ გადასარკულ ზე-
ცას.

სადგურის მოედანზე გავედი. მეეტლეები ოზურგეთში მიმავალ მგზა-
ვრებს ელოდნენ. კოფოზე დაჯექი. მძიმე ფიქრებს თავს ვერ ვაღწევდი.
რა უნდა მეთქვა მამაჩემისათვის, ეკასათვის, ნუთუ ყველაფერი წყალში
ჩაცვივდა? არა! შეუძლებელია! მუდამ ასე ხომ არ იქნება. მეფის ტახტის
დამსხვრევას რაღაც ხომ უნდა მოჰყვეს? ადამიანებმა ბრძოლა ისწავლეს.
ისინი არ დაუშვებენ ძველის აღდგენას, ახალ ძალმომრეობას, ამიტომაც
გადაწყვიტეს სამაისოდ დაირაზმონ და თავიანთი გულისთქმა გაბედუ-
ლად გამოთქვან. ცუდ დროს მომიხდა ბათუმის მიტოვება...

ოზურგეთიდან გზას ფეხით დავადექი. ნახევარ წელზე მეტი გავიდა,
რაც ეკა არ მენახა. ამ ხნის განმავლობაში რამდენი სათქმელი დამიგროვდა.
მოსახვევს გავცილდი და... სადღა იყო ეკას კოპწია სახლი, მხოლოდ
დანახშირებული ბოძები დარჩენილიყო. ცეცხლი მახლობელ ხეებსაც მი-
წვდენოდა.

მეზობელ ეზოში მამაკაცი შევნიშნე. ამავეი კვითხე.

— უბედურება დატრიალდა, შვილო.

— გადარჩნენ, ცოცხლები არიან?

— ცეცხლს კი გადაურჩნენ, მაგრამ ტყვიას ვერ გაექცნენ.

— რა მოხდა. გამაგებინეთ.

— ისეთი კეთილი კაცი იყო, ზედ გადაგელეოდა, ჩვენ უწყინარი გვე-
გონა, თურმე მეფეს დამხობას უპირებდა. ერთი თვე რომ მოეზომინა, გა-
დატრიალება მოუხწრებდა.

— ეგ როდის მოხდა?

— ნახალწლევს. კომიტეტის სხდომა ჰქონოდათ. ალბათ ვიღაცამ
ვასცა. ჟანდარმებმა სახლს ალყა შემოარტყეს. ათი ას კაცთან რას გაზღე-
ბოდა. დიდხანს იცავდნენ თავს. ჟანდარმებმა სხვა რომ ვერაფერი გააწ-
ყვეს, სახლი ცეცხლს მისცეს. ჰოდა, ცეცხლმოდებულ სახლში ვინ გაჩე-
რდებოდა. იმ წყეულებმა ქალიც არ დაინდეს... ქალი კი არა, ვაჟკაცი
იყო, ბოძზე ამოფარებულს სროლა მანამდე არ შეუწყვეტია, სანამ სუ-
ლი არ გააფრთხობინეს.

— ეკა? ეკაც დაიღუპა?

— არა, ეკა ცოცხალია, წინა დღით დეიდასთან გაეშვათ. საცოდავს
მშობლები დაპატიმრებული ჰგონია...

იქაურობას გაოგნებული გავმორდი.

ჩემი დაბრუნება არ გაჰკვირვებიათ. პირიქით, მთელმა ოჯახმა გაი-

ხარა. სწორედ სულზე მოგვისწარი, ყანა გვაქვს დასათესიო, მითხრა მა-
მაჩემმა.

სოფელი დამშეული და დამწუხრებული დამხვდა. ომმა ბევრი გაე-
ცატი იმსხვერპლა, სასიმიდნეები დააცარიელა, ქალები გაავეფხვინა, მათ
ზამთარი წაბლითა და წიწიბოთი გაჭკონდა.

მეორე დღეს სათევზაო ბაღე წამოგიყიდე და ბუუეს ჩაყევი. წითე-
ლი მთის გასწვრივ რამდენიმე თავთხელი ვიცოდი, საიდანაც გაწბილე-
ბული არასდროს დავბრუნებულვარ.

ცოცხალი კაცი ფიქრებს სად გაექცევა. მივდიოდი და საფიქრალ-
სადარდებელიც თან მიმქონდა. უკვე თვრამეტი წელი მისრულდებოდა,
საცაა არმიაში გამიწვევდნენ. მანამ ყანის დათესვაც უნდა მომესწრო და
ეკაც მეპოვნა. დარწმუნებული ვიყავი, ახლა მას სხვაზე მეტად მე შევემ-
სუბუქებდი ვარამს.

მდინარეს ჩაყევი. გაზაფხულის წყალდიდობას ძველი თავთხელები
დაეხვეტა, ახალი თავთხელების ძებნაში ქვევით დავეშვი.

მდინარეზე კაცის კაჭანება არ შემინიშნავს. მხოლოდ ერთგან, ვეე-
ბერთელა ლოდზე ვიდაც ქალი იჯდა და მდინარეს ჩასცქეროდა. უფრო
მიუთახლოვდი. ქალს ჭრელი მანდილი ეხურა და ნიკაპქვეშ გამოენასკვა.

მდინარის ხმაურში ჩემი მიახლოება არ გაუგია, ფიქრებში ღრმად
იყო ჩაძირული. გადავწყვიტე მისთვის მარტოობა არ დამერღვია.

ოდნავ რომ ჩავცილდი, უკან მოვიხედე, მოვიხედე და... ის იყო,
ეკა, ეკა!

ბაღე დავაგდე, ლოდთან მივიბრინე.

— ეკა, ძვირფასო!

შემომხედა, აცრემლებულ თვალებში სითბო ჩაუდგა, სახე ისე გაე-
ბადრა, თითქოს ტკბილი ოცნება ახდენოდეს.

იმ დღეს აჭისწყლამდე ჩავედი. ბაღე ბევრ თავთხელსა და მორეე-
ში ვისროლე. ეკა ისე გაერთო, მისი გულიანი კისკისი ქვევზე აცეკვე-
ბული მდინარის ჩხრიალს ფარავდა.

შემდეგ რა მოხდა?

ბუუჟი გახდა ჩვენი შეხვედრების უტყუი მოწმე. ეკა იმდენად მიამი-
ტი იყო, ყოველი სურვილი სახეზე აშკარად ეხატებოდა. იგი არც ბავშვი
იყო, არც ქალი. სწორედ იმხანად უსრულდებოდა 16 წელი. ცხოვრებას
მისთვის არც სიხარული დაუშურებია, არც მწუხარება, მიუხედავად ამი-
სა, ბედთან ჭიდილისა არაფერი ვაეგებოდა. მეგობრული სითბო მხნეობას
კი არ უმატებდა, გულს უჩვილებდა. ორიოდე დღით სადმე წასვლას თუ
დავაპირებდი, ისეთი შიში და მოუსვენრობა იპყრობდა, თითქოს აღამი-
ათაგან მოწყვეტილი რჩებოდა. ვატყობდი, რომ იგი ჩემზე ფიქრობდა და
ველოდი ახალი გადაწყვეტილება მის სულში მტკიცედ როდი გაიდგამდა


ფესვებს. მე კი... ეკაზე ფიქრი ყოველდღიურ აუცილებლობად გადაქცე-
ცა, ვერც წარმომედგინა უმისოდ ყოფნა.

იმხანად ქვეყნის მდგომარეობა უფრო აირია, ხან გერმანელები, ხან
ვდნენ სისხლს, ხან ინგლისელები, ხან თურქები. გზააბნეული მენშევიკე-
ბი ლობე-ყორეს ედებოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ავბედობის ქაში
ხანგრძლივი აღმოჩნდა. მთავარი იყო, ხალხს მხნეობა არ დაეკარგა.

ბათუმიდან ხმა მომაწვდინეს, კომიტეტში მიბარებდნენ. როგორც
ჩანს, ჩემი ჭერიც დადგა... ასე გავხდი ბათუმისა და ოზურგეთის პარტი-
ული ორგანიზაციების მეკავშირე.

ახლა, როცა ცხოვრების განვლილ გზაზე ვფიქრობ, რატომღაც, მას
მთის მდინარეს ვადარებ, რომელიც ავდრობის დროს ისე გახელდება, კა-
ლაპოტში აღარ ეტევა და ყველაფერს წაღეკვით ემუქრება, ხოლო ზოგ-
ჯერ ისეთი ანკარა და მიმზიდველია, თვალს ვერ მოწყვეტ. დაახლოებით
ასე წარიმართა ჩვენი ცხოვრება, ზოგჯერ სიკვდილს პირისპირ შევცქე-
როდით, ზოგჯერ მშვიდი დღეებიც იდგა.

გიორგი და ალვასი იმ ხანძარში ჩაიფერფლნენ. შალვამ და ბევრმა
„სპარტაკელმა“ ახალი გზის გაკაფვას შესწირეს თავი. მე და ეკა სხვებ-
თან ერთად გამარჯვების შემდეგაც ვიბრძოდით, რომ სისხლით მორწყუ-
ლი თავისუფლების გზა ისევ შამბნარს არ დაეფარა, მის გასაკაფად ქვე-
ყანას ახალი მსხვერპლის გაღება არ დასჭირვებოდა.



წიგნიდან — „დიდი ქალბაქი“

* * *

ვარ გავარდნილი როგორც ფირალი,
ხელაღებული ვინმე ყაჩალი,
მაღალი მთები შემოვიარე
და მწვერვალებზე კოცონს ვაჩალებ.
მიწას თავისი წარსული სტკივა
და ვუნაწილებ სუროს და დაფნას,
იქ — წიწამურში გასროლილ ტყვიას
და ფიროსმანის დაკარგულ საფლავს.
იქ, სადაც ერის დიდება მღერის,
იქ, სადაც ძველი შუღლი დასრულდა,
მე დიდოსტატის მოჭრილი ხელის
უნდა ვიძიო შური წარსულთან.
როგორც ფირალი უდაბურ ტყეში,
ვარ გავარდნილი ვინმე ყაჩალი,
პრომეთეს ცეცხლი მიჭირავს ხელში
და მწვერვალებზე კოცონს ვაჩალებ.

* * *

პირველად მე შენ გიხილე ციდან,
სულ სხვანაირი იყავი მაშინ,
შემოდგომის მზე ღრუბლებში ცრიდა
და ირხეოდა ნისლები ქარში.
გადადიოდა ფერიდან ფერში
შუქთა ნიშნები და რეკლამები.
პირველად სულ სხვა ვიხილე შენში —
მეგონე ცივი და უკარება.

მაგრამ შეცრად გატყდა ლოდვიით
სიმარტოვის და მოწყენის შიში,
თანდათანობით გათბა ლოგინი
და უცაბელი სიმღერაც იშვა.

„დიდი ქალაქი“ დავარქვი უმალ
იმ მგზნებარებას და გარინდებას,
რაც განიცადა პირველად გულმა,
რაც არასოდეს არ განელდება.
და რასაც ერთად ვაგროვებ ყველას,
წვიმებს და ციმციმს უთვალავ ფერთა,
პირველ სიხარულს და პირველ წყენას,
პირველ პაემანს პუშკინის ძეგლთან.
პირველად მე შენ გიხილე ციდან,
სულ სხვანაირი იყავი მაშინ,
შემოდგომის მზე ღრუბლებში ცრიდა
და ირწეოდა ნისლები ქარში.

* * *

შენ დაღლილი მზე გეჭირა ხელში,
მე რომ გიხილე პირველად მაშინ,
არ ვიფიქრებდი სიცოცხლის დღეში,
რომ ჩემს წინაშე იყავი ვალში.
რომ წინაპართა ნაბიჯი მტკიცე
და ბრძოლის ველზე დაღვრილი სისხლი,
მოდის და გულის ძარღვებში მიცემს
და ყველაზე რთულ გაკვეთილს მიხსნის
იქნება ჩემი ამაყი მზერა
არ მოუვიდეს ვიღაცას თვალში,
პირველყოვლისა, მე შენი მჯერა,
შენ უნდა იყო ჩემს გვერდით მაშინ.
მე კი მომავლის ერთგული ბავშვი,
რომელმაც შორი გზებით ვიარე,
ბებერი ფიქრის ბაირაღს გავშლი
და მაღლა, მაღლა ავაფრიალებ.
და ცეცხლიანი დროშების ეშხით
სიმღერას ჩემსას წაიღებ ხალხში...
შენ დაღლილი მზე გეჭირა ხელში,
მე რომ გიხილე პირველად მაშინ.

ჩვეულებრივ თვალებით ვუმზერ,
ჩვეულებრივი თვალებით მიმზერს.
ძალიან დიდი რიგია პურზე,
ძალიან დიდი რიგია წიგნზე.
რვა მილიონი თვალები მიმზერს,
პროსპექტებით და პროექტორებით.
ყველაზე მეტად მე ახლა ვიგრძენ
წამი, როდესაც მე შენ გტოვებდი.
დღეს ოსტანკინოს მაღალ ქიმზე ვარ,
არ ვიცი, ხვალე სად გესტუმრები.
ყველანი მუშტრის თვალთ მიმზერენ —
კაფე, ქალები და რესტორნები.
სუყველა ბედის ვარსკვლავს შენატრის,
სუყველა ერთი ფიქრით ივსება.
მცირე თეატრის,
დიდი თეატრის.
ლოჟა, პარტერი და იარუსები.
აქ ზოგნი კაფე „ლირას“ აქებენ.
ჩვენ კი „არაგვმა“ გაგვახალისა.
შეხვედრა ერთი წუთის საქმეა.
განშორება კი ერთი წამისა.
ნერვიული და ძღეღვარე სახით,
ადიდებული ტალღა ვეება.
მიედინება მეტროში ხალხი,
ისე ვით ზღვაში მდინარეები.
ყველგან ხალხის ზღვა უნდა ვასტურო
ფზიხელი, თანაც ცივი გონებით.
გეპატიეება ყველა სასტუმრო
ჯაეშანითა და ტელეფონებით.
ზოგჯერ უჯავშნოდ არის იმედიც.
თუ გაგიცინებს ქალი ლამაზი...
გაყიდულია ყველა ბილეთი,
გაჭედლია ყველა დარბაზი.
და ბაქანზე თვლემს დამე ბებერი,
როცა ხანდახან იგვიანებენ, —
ჩქარი და ჩქარი მატარებლები,
რეაქტიული თვითმფრინავები.
მე კი ყველაზე მაღალ ქიმზე ვარ.

არ ვიცი ხვალე სად გესტუმრები,
რადგანაც მუშტრის თვალით მიმზერენ
კაფე, ქალები და რესტორნები.
ყველაზე მეტად მე ახლა ვიგრძენ
წამი, როდესაც მე შენ გტოვებდი...
რვა მილიონი თვალეზი მიმზერს
პროსპექტებით და პროექტორებით.

* * *

შენს სახელს ვარქმევ ფიქრებს გამხელილს,
ნეტა ეს ფიქრი მუდამ მათბობდეს,
ცოტა კიდევ და მე ეს სახელი
უნდა ვაუწყო მაღალ მნათობებს.
შენი გულისთვის გიყის ხალათი
თუ ვერ ვზიდე და ქედი მოვხარე,
თავზე დამატყდეს ქვეყნის ღალატი,
ისე რომ ვეღარ მიცნოს მოყვარემ.
თუ ვეღარ ვზიდე შენი უღელი,
დავიღალე და მუხლი მოვკეცე,
უკან წაიღე ყველა უკლებლივ
ის სიყვარული, შენ რომ მომეცი.
საითაც წავალ იქით მომელის
სიტყვა, რომლითაც მე შენ გამათბე.
არ მეგულება ქალი, რომელიც
ამ ქვეყანაზე შენს თავს წამართმევს.
შენი გულისთვის გიყის ხალათი
თუ ვერ ვზიდე და ქედი მოვხარე,
თავზე დამატყდეს ქვეყნის ღალატი,
ისე, რომ აღარ მიცნოს მოყვარემ.

* * *

ვთქვამ და შემთხვევით, ქალაქში მეტრო
ერთ მშვენიერ დღეს გაჩერდეს უცებ,
რა ეშველება საბრალო ქუჩებს,
მართალი გითხრა, ვერაფერს გეტყვი.
დავუშვათ,
სული მიჭირავს კბილით
და სწორედ მაშინ...
და სწორედ მაშინ...

რა ეშველება პაემანს ჩაშლილს,
ფეხბურთისა და თეატრის ბილეთს?
დავუშვათ,
უცებ ჩაქრა სინათლე
და ოსტატები აღარ არიან...
რა თავში ვიხლი თითქმის ცარიელ
სტადიონებს და კინოთეატრებს?!
ვთქვათ და შემთხვევით ქალაქში მეტრო
ერთ მშვენიერ დღეს გაჩერდეს უცებ,
რა ეშველება საბრალო ქუჩებს,
მართალი გითხრა, ვერაფერს გეტყვი.

* * *

შენი მაღალი მკერდის ფერდობი
ღალადებს თავის ერთადერთობას...
ლამაზი ქალის თვალებს ვენდობი,
ქალის გულს აბა ვინ არ ენდობა!
გადაიშლება ვრცელი ველები,
ჩამოგიქროლებს, როგორც ალალი,
ადგები, თავზე შემოველები,
იცი სხვა გზა და სხვა ხსნა არ არის.
აშრილდება სულში მანდილი
და ოცნებასთან ახლოს რომ ვიყო,
მე ქალის გულს არ მოვინადირებ,
მხოლოდ და მხოლოდ უნდა მოვიგო.
ზოგჯერ ღიმილი ძვირად მიღირდა,
ზოგჯერ თვალებზე სევდა მეფინა,
ღიმილი კი არ უნდა იყიდო,
მხოლოდ და მხოლოდ — აჩუქებინო.
მაღალი მკერდის თეთრი ფერდობი
შენდობასავით სულში ენთობა,
მე შენს ნაჩუქარ ღიმილს ვენდობი
შენს სიყვარულს და ერთადერთობას.

* * *

სიხარულივით გამომცხადე,
შენსკენ მოვყავარ ცისფერ ვაგონებს.
ვარ შენი ბედის ერთი მერცხალი
და შენი სიტყვის უმაღლ გამგონე.

თავზე ისეთი დილა დაგნათის,
ზეცა ისეთი მზით იმოსება,
ხარ ასრულება ყველა ნანატრის,
ყველა ოცნების გასხივოსნება.
შევხარი შენი ზეცის არწივებს,
თბილისო, ჩემო თბილო ამინდო,
მოდო, სიმღერის სეტყვა მაწვიმე,
მოდო, დამბუგე და არ დამინდო.
არ დამიკარგო ჩემი ძახილი,
შენთან მამღერე.
შენთან მატირე.
მოდო, დამკარი შენი მახვილი,
გულიდან ლექსის ღვარი მადინე.
დილის ცვარივით შემოვალ შენში,
რომ გავახარო შენი გარდები,
მერე გამოვალ და შენს ქუჩებში
მაჩაბელივით დავიკარგები.

* * *

შეგობრის ხსოვნას

შენი კეთილი იმედის კონცხი,
ცა მოწყალე და დილა მოწყალე —
თავდახრილია მიმოზა მორცხვი
და ეუფლება შენი მოწყენა.
იქნება ღირდა, იქნებ არ ღირდა,
ყოფნა-არყოფნის სრიალებს ცელი
და ვნანობ შენი სიკვდილის დღიდან,
რომ ვერ განვკურნე ტკივილი შენი.
კლდეს მიეხალა ძველი ტივივით
ქარი და თოვლში დარჩა მარხილი...
მეძახის შენი გულისტკივილი,
მეძახის შენი გულისძახილი.
მეძახის შენი გულის ნადები —
„კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა“...

იცოდი გულზე ხელის დადება,
მერე სიტყვის და საქმის კაცობა.
მერე კეთილი საქმის კაცობა...
ვერც გრძნობდი გული ისე იწვოდა...
ასე გიცნობდა, ვინაც გიცნობდა,
ვისაც უნდოდა შენი გაცნობა.
რა დროს ეგ არი, ღირდა, არ ღირდა...
სიკვდილ-სიცოცხლის სრიალებს ცელი
და ენანობ შენი სიკვდილის დღიდან,
რომ ვერ განვკუთრე ტკივილი შენი.

* * *

მე ის ბავშვი ვარ, უდაბურ ტყეში
რომ გაიყვანე და მიატოვე.
შიში ფარავით მეჭირა ხელში
უდაბურული ტყის და სიმარტოვის.
ისე უღმერთოდ რად მიმატოვე,
„— არსაიდან ხმა, არსით ძახილი...“
უდაბური ტყე და სიმარტოვე
მემიზნებოდა როგორც მახვილი.
თითქოს ცარიელ ქვევრში ჩავძახე.
ტყემ დამიბრუნა ჩემი ძახილი.
ამაო იყო ყველა განზრახვა,
უმისამართოდ თვალებს ვახეულდი.
მეუფლებოდა დაღლა თანდათან,
დაღლა სიზიფის ლოდივით მძიმე.
მე აღარ მახსოვს როგორ დაღამდა,
როგორ დავწექი და დავიძინე.
მე აღარ მახსოვს როგორ კენესოდა
ქარი... გამიკრთა ის შეშფოთებაც.
აღარც ფრთოსნების სტვენა მესმოდა,
აღარც შრიალი მწვანე ფოთლების.
აღარც შიში და ფიქრი ავ-კარგზე,
აღარც აღმართი, აღარც დაღმართი,
რაც მთავარია, შიში დავკარგე,

რადგან გონება ძილმა წამართვა.
ეჭვიც წამართვა, დარდიც წამართვა,
მწუხარებაც და ბედნიერებაც,
და ერთი სიტყვით, გავხდი წარმართი
პირველყოფილი ქვეყნიერების.
მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით,
სინამდვილეში ასე არ იყო,
ვიგრძენი ხმელი ფოთლის შეხება
და სინამდვილის კარი გაიღო.
გამომეღვიძა, ვიგრძენ ნოტიო,
ჰავა, ფოთლები, ოდნავ სიცივე...
და ყველაფერი იყო მარტივი —
აღმოსავლეთი და მზის სიცილი.
და ყველაფერი იყო ლამაზი,
მზე და ფოთლები, თეთრი ღრუბლები...
მზე ამოვიდა და მე ამავსო
იმედით, რწმენით, თავისუფლებით.

ზღვის პირას აკრეფილი კენჭები

მხურვალე კვიზა

თითები თითებს ესათუთება,
და ენატრებათ ფერისცვალება,
რასაც სიზმარი ღამეს უთევდა,
ღამესვე შერჩა წვად და წვალებად.
თუმცა გვერტებს ზღვის არე ვრცელი,
როგორც სამარე და სარეცელი,
მაგრამ უწყალო ნაპირი გვეთმავს,
და წვდომის დვრიტა და ცხარე ცრემლი
არ დაეღვრება მხურვალე ქვიშას.

გარდისფერი ნატერფალები

ზღვის აივანით გაეღილიანდი
და აგრე ლურჯმა და სპასაცილომ
შენი სინაზით ვათვრე თვალები,
გვოცნე სილაზე გაეღილი ლანდი
და გარდისფერი ნატერფალები.

პარიაციკა

სადაფისფერი, ლურჯი, მოლიბრო
ისხდნენ ზღვის პირას გალურსულები,
ამყავდა კენჭი, როგორც კოლიბრი,
და ხელიაგულზე გუალერსებდი.
და შემდეგ წყლიან მინის ქილაშიც
მათ ახლდა სიტყვო შენი ტერფების.
მე ახლაც მხიბლავს შორი მირაჟი
და იმ ნატერფალს ვეტრფივლები.

აფროდიტე ზღვის ქაფიდან იშვა, —
ტრფობისა და სილამაზის დედოფალი.
ფეხს დაადგამს — ცეცხლს უკიდებს ქვიშას
და შემდეგ კი,
შემდეგ გულებს ეშხეფება ალი.
თქვენ ეს არ გჯერათ?
ზღაპარია? მხოლოდ მითია?
მაგრამ გული ჩემი თუ
ამის ცოცხალი...
არა! —
დამწვარი მაგალითია?!

აფროდიტის ბატაცება

სვანეთისაკენ! სვანეთისაკენ!
სადაც განძეულს მალავდნენ ოდიშვე.
ცაო, ამაღლდი, გადაისარკე! —
სვანეთს მიეფრინავთ მე და აფროდიტე.
ლიდი მაქვს ზრახვა, თუ კი შეცდელი
(ვინაწლო ოცნება მართლა ვართველო),
მინდა ეს ფეხმსუბუქი ბერძენი
გავასვანო და გავაქართველო.
უნდა ჩავაცვა ქართული კაბა,
ასე ტიტველი სანამ ვატარო?!
საკინძე უნდა ამოვუდილო,
გულს დავაბნეო ოქროს ღიღილო
და გულისაბა,
ვისწავლო ნამდვილ, რაა კათაროს.*
შემდეგ დავბრუნდებით უკანავე, —
ვიცი, უზღვაოდ დაუმიმდება,
მთვარიანში ვაბანავებ, —
ტანმსურვალეა და არ შესცივდება.

* კათაროს ბერძნულად წმინდას ნიშნავს.

ჰმ! ჯერ იყო და, ლედვის ფოთოლი...
ახლა სამოსი, ფარდა,
ნილაბი!

ვინ იმალება, ცოდვილის და
მახინჯის გარდა?

რატომ აღმართე სულში ვოდოლი.

უბადრუკობის და სიღარიბის?!

რამ დაგაკნინა?

წინათ ვარდი გესხა ყელამდის.

ახლა ბუნების რატომ გრცხვენია?

შეხედე, დატყბი —

დგას შენს წინაშე

შვენების თვისის სხივით მოსილი

ძველი ელადის

ნორჩი გენია!

ბებერი მამოზრა

„ბებერ ქმარს ეძინებაო“, —

რატომ მიმღერე?

ბებრის ოინები შენ არ გცოდნია!

გამიგონია, ბერი ქედნები

ახლად დაფრენილ გვრიტებს კორტნიან.

მიფრთხილდი, ბალო!

მე კიდევ მეყოფა ალლო

ბებრული

(ვაითუ მართლა დავბერდი და

სისულელეს ვროშავ?!).

წამოვეწიო შენი სიყმაწვილის ნავს

და ზედ ჩემი მეკობრული

აღმართო დროშა!

დაღვინებული ამინდები

მოვიდა რთველი,

მაგრამ მე რა მაქვს

ან მოსამკელი,

ან მოსართველი?!

მე ვერ დავმწიფდი უშენობით და...

ო, არა, არა! —

შენით აღსავსე მე ვარ ჯანმრთელი.

და მაინც სული

აბლაბუდის სიმზე კიდიო...

აუღერებს ქარი,

ეოლოსის ქნარივით ძაბავს.

ზრახვათა შენთა თუ არ დამინდეს,

ისე რა გული გაუძლებს, აბა,

ასეთ სისავსით,

ასეთ სიმწიფით

ღვინის ზღვასავით დამდგარ ამინდებს?!

წ ი ა ლ ს ვ ლ ა

ოღონდ არა ლირიკული

ერთი უცხო სიმღერა მაგონდება,

უკვე დავიწყებით შენისლული:

„გულსა და სულს რომ მთავაზობ,

რა ეშმაკად მინდა შენი სული?!“

გულზე ცეცხლის შემოწოტება

რისთვის გავამზილე?

განა გული მინდორია,

საძოვარი, სანახირე?!

იქნებ ჯობდა, სულის დაღადისი

სულაც არ თქმულიყო?

ქვეყანას რატომ უნდა მოჰვინო,

სად დაიკარგა შენი სულიყო?!

გულის საღმრთო და გაგიჟება

უნდა იმღერო მაშინ

და მხოლოდ მაშინ,

როდესაც გვერა,

რომ სიმღერა მოსწყდება მიწას

და დედამიწას წაიღებს ცაში!

ზღვიდან ბახმაროზე

ჩვენ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ,

ზღვასა და წიაღსვლას მოვეშვათ

(წიაღს ახლა ხშირად ხმარობენ)

და გურიის წიაღ

წავიდეთ ბახმაროზე.

ბახმაროს მთები დაუთოვია,
(მოაში კი არა, ბარშიც დათოვილა)
მე თუთრამ სხვა ვინმე მითხოვია,
ჩემი ნანდაურიც გათხოვილა.

* * *

ეს არის ზღვის პირას ნაპოვნ
უკანასკნელი კენჭი
(მაღე მოჰყვება სამარის ლოდიც).
აქა მთავრდება იმედი ყველა
და ყველა ეჭვი.
მომიგონებდეთ!
შემინდეთ ცოდვილს!

Post scripfum

ა ნ უ

მკითხველის მსჯავრი

რომ ამბობთ, მთავარი საზომი
მკითხველის ადლიაო, —
მეც წავაყიებ მავანს.
— ჰაუ, ეს რამდენი გიაზდლიაო, —
დღე გამითენა შავად.
— ვერ გამოგსვლიაო, მშობილო,
ჩანს, ოცნება ვერ აასპიროზე,
ეგ კენჭები წაილე და
ისევ დაყარე სანაპიროზე.
ლექსის მკითხველებს გაგვიფრთხილდითო,
ისედაც დავრჩით ცოტანი,
მე ვერ შევინდობ,
ღმერთმა შევინდოსო
შენი ცოდვანი.

რა უნდა შეთქვა ამის გამგონეს?!
სამსჯაერო სხდომა დამთავრდა ამით.
თავი მდაბლად დავუქარი და
დავუდასტურე:
—ა—ა—ამინ!

ჯემალ ქათამაძე

ს ტ ფ ლ ი ს დ ე ღ ე

დღეს მოწინავე ადამიანები იმდენი გვყავს, თითქოს გასაკვირი არაფერია, გადაშლი წიგნს, გაზეთს, ჟურნალს და ყველა ისინი ერთად რომ შეკრიბო, ერთი კაცის სიცოცხლე არ ეყოფა, მაგრამ ამ ღირსეულ ადამიანთა შორის ერთი რომელიმესადმი რატომღაც განსაკუთრებული სიყვარულით განიმსჭვალები. მისი სახელი სად არ გსმენია — შეკრებებზე, რადიოსა და პრესაში, აქებენ, აღიდეგენ; თუმცა პირადად არ გინახავს, არ იცი როგორი ადამიანია ცხოვრებაში, გაინტერესებს მასთან შეხვედრა, გაცნობა, ბიოგრაფია, გინდა მასზე ილაპარაკო და ამასთან ყოველთვის მისი სახელი მოწინავეთა შორის გესმოდეს, ხოლო მცირეოდენი შრომითი წარუმატებლობა გულთან მიგაქვს, განიცდი.

ასეთი არის ჩემთვის სოციალისტური შრომის გმირი, კომუნისტი ემინე ზაქარიაძე.

ხშირად მიფიქრია, როგორ გამოვხატო მისდამი სიყვარული, პატივისცემა; სხვა რა უნდა გამეკეთებინა, გადავწყვიტე ამ ხელმადლიან ქალზე ლექსი დამეწერა, რომელიც გაზეთში დავბეჭდე. ეს იყო ჩემი მცირეოდენი საჩუქარი ქალთა საერთაშორისო წლისადმი. აი, ეს ლექსი.

დამილოცნია შენი სახელი,
გმირის და დედის წმინდა, სათუთი.
არა ვარ შენებრ ქალის მნახველი,
შენით ამაყობს ჩვენი ქაქუთი.
ჩაის თითქმე ღუყებს, მთაში განახარს,
თავზე დაჰხარი, ქვეყნის ღბენა ხარ.
ქალო მართალო, ჩვენი ბარაქა,
ჩვენი სიმაღლეც, ღბენაც შენა ხარ.

შენ გაგივსია ზვავით ბელელი,
 აბა უშენოდ როგორ გვეხარა.
 შენით მალღდება ქერიც, კედელიც,
 შენით მალღდება მთელი ქვეყანა.
 შრომის დიდებით შორეთს წახველი,
 მაგრამ სწორებთან გიყვარს დარჩენა.
 დამილოცია გმირის სახელი
 და მოუღლელი შენი მარჯვენა!



ეს იყო ჩემი გულისხმა, თუმცა ლექსში ვერ ვთქვი, რატომღაც ვერ გამოვხატე ის, რასაც ვფიქრობდი, ვგრძნობდი და გადავწყვიტე წიგნი დამეწერა გმირზე. და აი, შემოდგომის პირს, როცა ჩაის კრეფის სეზონი უკვე მთავრდებოდა, ვეწვიე ემინე ზაქარიაძეს...

ჩვენ ვსხედვართ ორსართულიანი ქვის შენობის აივანზე. შემოდგომის მზე მაინც გვაჭერს თვალებში, ალაგ-ალაგ მთის ფერდობებსა და ხევებში მცენარეები ჩაყვითლებულა. გმირის სახლი მთა-კორტოხზე დგას და გადაჰყურებს საკოლმეურნეო ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს, ახლად წამოჭიმულ ორსართულიან ქვითიერის სახლებს. აღარც კი გინდა ილაპარაკო, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ეს ფერდობები როგორი გაუქვალ იყო, რომ ამ უბანში მხოლოდ ერთი-ორი ოჯახი სახლობდა. არა, გასაკვირი არაფერია — მატულობს ახალმოსახლეობა, კოლმეურნეები იშენებენ ახალ სახლებს, ყიდულობენ მსუბუქ ავტომანქანებს; შრომას, პატიოსან შრომას, ყველაფერი შეუძლია. დედაჩემს უყვარდა თქმა: შრომა კაცს ცივ ქვაზეც დაასახლებსო. ქაქუთი ხომ ბუნებით ღამაზი, მიწანოყიერი, ძველთაძველი სოფელია და აქ გამრჩე კაცს შრომა ორნავად დაუფასდება.

ერთი დიდი სიკეთე ახასიათებს ჩვენს ეკონომიურ სიძლიერეს — კაცთმოყვარეობა. ალბათ, ყველას წაგვიკითხავს, გვსმენია, თუ მეზობელი მეზობელს, ანდა სოფელი სოფელს როგორ შუღლობდა, ერთის წარმატება მეორეს გულს უწვრილებდა, იყო ქიშპობა და მტრობა, ხან ფარული, ხან აშკარა... ახლა შორიდან რომ უყურებ ამ ნარინჯ-თურინჯებში წამოჭიმულ ორსართულიან სახლებს, არავითარი ახსნა-განმარტება აღარაა საჭირო, თუ მეზობელი მეზობელთან, ამხანაგი ამხანაგთან როგორ კეთილად ცხოვრობს, როგორ აღელვებს და ამოძრავებს ერთი საერთო მიზანი — ხალხის, სამშობლოს კეთილი სამსახური.

კოლმეურნე თევრათ ბეჟანიძე გვიყვება.

— აი, ამ ადგილებს რომ ხედავ, არავინ არ ცხოვრობდა, აგერ, ზემოთ ერთი მოსახლე იყო და მერე ესენი დასახლდნენ. მაშინ აქ გაუქვალ ეკლნარი იყო. მე ზემოთ ვცხოვრობდი, მეორე სოფელში, ნაცხავატებში. ემინეს მეუღლე მურადი რომ აქ დასახლდა, მითხრა, შენც ჩვენს გვერ-

დით დისახლდით. ეს იყო 1962 წელს. გამიხარდა, დავუჯერე და აღვიგერ
სახლს რომ ხედავ, ჩემია. მურადი მესმარებოდა ფულითაც და ფიზიკურ
რადაც, ღმერთმა ააშენოს. ახლა ავადაა, აგერ ორი წელია ლოგინაშია
რდა, თორემ კიდევ ბევრ კარგ საქმეს გააკეთებდა.

ქართული ანდაზაა — ჯერ სხვას და მერე მეო. მართლაც, მურადს
საკუთარი სახლი ბოლომდე არ აუშენებია, სხვებისათვის თავს დებდა.
უნებლიედ თვალი მოვაველე ფერდობზე წამოჭიმულ თევრათ ბეჟანიძის
სახლს. მოხუცი არ სტყუოდა.

საკუთარი სახლის მშენებლობა არ მოუმთავრებია, რომ სოფელში ვი-
ნმეს გული არ სტკენოდა, კარის მეზობლებს ფულითაც ეხმარებოდა, ფი-
ზიკურადაც. ასეთი კეთილმეზობლობა, კაცმოყვარეობა ჩვენში ჩვეუ-
ლებრივი მოვლენაა.

— ეკონომიურად ჩვენ არ გვიჭირს, — გვეუბნება ემინე და სახეზე
ნათელი ფერი გადაჰყრავს, თვალებიც უბრწყინავს, — მაგრამ ჯერჯერო-
ბით არ დაგვიმთავრებია სახლის მშენებლობა.

სიტყვა სახლზე იმიტომ ჩამოვაგდეო, რომ რამდენიც არ უნდა ვილა-
პარაკოთ, როგორადაც არ უნდა აღვწეროთ შრომა, უპირველესად შრო-
მის შედეგი სწორედ აქ ჩანს. ოჯახი ქვეყნის პატარა ნაწილს წარმოადგენს,
ამიტომ მისი კეთილმოწყობა სამშობლოს სილამაზე და სიმდიდრეა. ჩვენ
მხოლოდ იმისთვის როდი ვცოცხლობთ, რომ მარტო ვიშრომოთ, მთავარია
ამ შრომას რა მოაქვს. და როცა ვხედავთ შეძლებულ კოლმეურნეს, ეს
უკვე ბევრის მთქმელია. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დღე-
ვანდელი საქმიანობა სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ ვიშრომოთ
და ვიცხოვროთ პატიოსნად. ჩვენ იმისათვის გვინდა წარსულში დაშვებუ-
ლი შეცდომების, მექრთამეობის, სპეკულანტობის, მუქათხორობის, პრო-
ტექციონიზმის მოსპობა, რომ მშრომელი ადამიანის ამაგი დაფასდეს, კა-
რგად ცხოვრობდეს ის, ვინც ამის ღირსია.

როგორ დაუფასდა პატიოსანი შრომა, იმ გზით სიარული, რომელ-
საც პარტია და მთავრობა გვიკარნახებს, ამის ნათელი მაგალითია ემინე
ზაქარიაძე.

კარგი მშრომელი კარგი დისახლისიცაა. ვერავინ დამარწმუნებს,
ქალს შრომა არ უყვარდეს და იყოს კარგი დისახლისი, ანდა პირიქით,
იყოს კარგი დისახლისი და შრომა არ უყვარდეს. ეს ორი მცნება უერთ-
მანეთოდ ყოვლად წარმოუდგენელია. ცუდი დისახლისი ყოველთვის შე-
უძლოდაა, ამიზეზეებულია და მით უფრო დაუჯერებელია, მან დიდ შრო-
მით საქმიანობას მოჰკიდოს ხელი... ამას შემთხვევით არ ვამბობ, როცა
ემინე ზაქარიაძეს ვუყურებ, სწორედ ეს ორი მცნებაა გაერთიანებული
მასში. იგი ამჟამად ორმოცდაათ წელს გადაცილებული ქალია, ხელმძღ-
ვანელობს მეორე რგოლს და შარშან 6 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკ-
რიფა, მაშინ, როცა ორი წელია მეუღლე მწოლიარე ავადმყოფი ჰყავს.

შრომაც უყვარს და დიასახლისობაც, საზოგადოებრივი საქმიანობაც და ხალხში გამოჩენაც, ყველაფერს ასწრებს, ყველაფერს აკეთებს.

ჩვენ ვსხედვართ მომცრო მაგიდასთან, ღია ფანჯარაში ქრისტიანული ქვენა ქარი და ოთახში შემოაქვს შემოდგომის სურნელი. მზე დასკდომისას ფანჯრის წინ და მსუბუქად მოსდებია ციტრუსების ახლად შეფერადებულ ნაყოფს. ერთმანეთში ისეა არეული მზისა და ნაყოფის ფერი, ვერ მიხვდები, რომელი ჭარბობს... გულს გივსებს ეს ნაზი ფერები, გულს გივსებს შენს გარშემო მყოფი ადამიანები და არ იცი, რა თქვა, როგორ დაიწყო, როგორ შეეხო იმ მთავარ ნერვს, რომელიც ასე გაღელვებს. ჩემი ნარკვევის გმირი კარგი მოსაუბრე და უთუოდ საინტერესო პიროვნებაა, სანდომიანი, სავსე, კეთილი თვალები გამოხატავს მის ბუნებას და, რაც მთავარია, მთელი ცხოვრება შრომაში აქვს გატარებული. ლაპარაკობს დაკვირვებით, მეტყველება დახვეწილი აქვს და ესოდენ თავდაჭერილობა მის კულტურაზე მეტყველებს. და რა დასანანი...

— მხოლოდ ორ წელს ვსწავლობდი ჩვენთან ახლად გახსნილ სკოლაში. არავის დაურიგებია, მესწავლა, მე კი აბა რა გამეგებოდა. ბავშვობიდანვე გამიტაცა შრომამ... — ამბობს გმირი ქალი და უნებლიეთ მასში თავს იჩენს სინანული. ჰქონდა ყველა პირობა, მაგრამ ვერ გამოიყენა. შიშს არ იყო წასასვლელი — პირველი სკოლა ბიძის ოჯახში გაიხსნა, ხოლო ერთ წელიწადს მის ოჯახში მიმდინარეობდა მეცადინეობა.

ეს ის დრო იყო, როცა სოფელში კოლმეურნეობა ახლად ყალიბდებოდა.

სოფელი ქაქუთი აჭარისა და გურიის საზღვარზე მდებარეობს, იგი ისტორიულმა ბედუკუდმართობამ შუაზე გაყო. გაიყო ოჯახები, ძმა ძმას დააშორა, მამა — შვილს, თუმცა მათ ერთმანეთი არასოდეს დაუკარგავთ; კეთილი მეზობლობა მუდამ მოდგამდა გაღმა-გამოღმა ქაქუთს. ერთის ჭირვარაში მეორის ჭირვარაში იყო, ერთის ლხინი მეორის ლხინიც იყო. ეს ორად გაყოფილი სოფელი სხვადასხვა ცხოვრებით ცხოვრობდა...

დღეს ეს ორი ქაქუთი ერთი ცხოვრებით ცხოვრობს, ერთი მიზანი და ძოწავალი აქვს. მათი შეჯიბრებაც საინტერესოა და სასარგებლოც.

ემინეს მამა მურად ზაქარიაძე კოლექტივში ერთ-ერთი პირველთაგანი შევიდა. მამის ისინი სოფელ ნაცხავატებში ცხოვრობდნენ. იმ დროს იქ არც ჩაი ხარობდა და არც ციტრუსი. მხოლოდ სიმინდი და ლობიო მოჰყავდათ. ახლად ჩამოყალიბებულმა კოლექტივმა ძირითადად ნიადაგის დამუშავებას მიჰყო ხელი. ერთსულოვნად გადიოდნენ საკოლმეურნეო ფართობზე სამუშაოდ. მათ ჰქონდათ დიდი რწმენა, რწმენა მომავლისა — რასაც საკუთარი ხელით აკეთებ, ეს ხვალინდელი დღის სიკეთეა.

— ყველა მუშაობდა, მე არ შემეძლო შინ დავრჩენილიყავი, თუმცა მაშინ, პატარა ვიყავი, — იგონებს ემინე ზაქარიაძე. — გავუვლიდით გოგო-ბიჭები ერთმანეთს და სამუშაოდ მივდიოდით, გვახალისებდა წარმა-

ტებები. მაშინ ჩვენ, გულახდილად თუ ვიტყვი, უფრო სხვა ინტერესები ვგეჟონდა, ჩვენი მიზანი იყო, როგორმე მეტი გაგვეცეთებინა, რადგან ბუნა-
ხული ძალა გვამოძრავებდა, შრომის სიყვარული სისხლ-ხორცში ჩვენი
და გამჭდარი, კოლექტივი ჩვენთვის ყველაფერი იყო.

ცამეტი წლისა იყო ემინე, როცა პირველად სამუშაოდ გავიდა, უფ-
როსებს მხარში ამოუდგა, სწავლობდა, როგორ ემუშავა, მონდომებაც
დიდი ჰქონდა. სოფელში ძირითადად ჩაის პლანტაცია შენდებოდა, ციტ-
რუსებსაც რგავდნენ, გაჰყავდათ ტერასები. სად იყო იმ დროს ტრაქტო-
რი, ნაწქანა, ტექნიკა. ყველა სამუშაო ხელით სრულდებოდა. შრომას
ისიც ახალისებდა, რომ კარგი მუშაობისათვის თითოეული კოლწევრი წუ-
ლით, საკაბე ქსოვილებით, თავსაფრებით ჯილდოვდებოდა, წლის ბოლოს
შრომადღეებზე ნაწილდებოდა ხორბალი, სიმინდი და სხვ. დღითი-დღე
იმართებოდა წელში თითოეული კოლმეურნის ოჯახი, შემოსავალი მატუ-
ლობდა — ხელმოკლე გლეხმა ამოისუნთქა. ამოისუნთქა ემინე ზაქარია-
ძის ოჯახმაც. ექვსი გოგო და ექვსი ბიჭი ჰყავდა მურად ზაქარიძეს, ემი-
ნე მეთერთმეტე შვილი იყო ოჯახში, წამოიზარდა თუ არა, ტოლს არავის
უდებდა, უფროს და-ძმებს მხარი აუბა. აბა როგორ ჩამორჩებოდა მათ.
არასრულწლოვანი იყო, მაგრამ ჩაის ფოთლის კრეფა შესანიშნავად აით-
ვისა და სულ მალე ყურადღება მიიბყრო. ერთ დღეს 6 კგ. და 200 გრამი
ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. ახლა ეს ციფრი ღიმოლს იწვევს, მაგრამ
მაშინ სარეკორდო მოსავალი იყო. ემინემ ალაპარაკა სოფელი. მას სხვა
გოგონებმაც მიბაძეს — აიშე დოლიძე, კაკილო მართალიშვილი და სხვე-
ბი მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ, ქალიშვილები ერთმანეთს ეჯიბრებო-
დნენ...

— ჩვენს მუშაობას თან ახლდა მართლაც განსაკუთრებული სიყვა-
რული, — განაგრძობს ემინე. — ჩვენთვის იმაზე უკეთესი არაფერი იყო,
რაიონიდან ხელმძღვანელი რომ ამოვიდოდა და ნამუშევარს მოგვიწონე-
ბდა, შეგვაქებდა, წაგვახალისებდა. ჩვენ ვმუშაობდით და ვიცოდით, რომ
ვაკეთებდით დიდ საქმეს!.. დღეს?! — ხელები შეაქანა, ფართოდ გახელი-
ლი თვალები ოდნავ დახარა, სიხარულის შუქი გაეკრიფა სახეზე, მოიწყინა
— ასე მგონია, მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებს ზოგიერთს.
არა, ყველაზე ვერ ვიტყვი... იმაზე როდი ვფიქრობდი, რომ დღეს ამდენ
ჩაის ფოთოლს მოვკრიფთ და ამდენ და ამდენ ფულს ავიღებთო, არა,
ვიცოდით, რომ რაც მეტს ვიმუშავებდით, უფრო ძლიერი იქნებოდა ჩვე-
ნი სამშობლო, მეტი შემოსავალი გვექნებოდა... ნუ გაიკვირვებთ, ასე რომ
ვლაპარაკობ, ისეთი რწმენა გვქონდა, რომ დიდ პასუხისმგებლობას
ვგრძნობდით, ვიყავით მართალი და პირდაპირი, ხმალივით შემართული,
შრომაზე შეყვარებული. ყველა გზა შრომისაკენ მიდიოდა. ახლა?... ბევ-
რი უშრომლადაც კარგად გრძნობს თავს, გაეშმაკდა, ასეთებს ჩვენ, კომუ-
ნისტებმა უნდა ვებრძოლოთ, სამარცხვინო ბოძზე გავაქრათ, რომ ხალხის

ზაქარიადეს. ჩაის ბუჩქებს მზრუნველი პატრონის ხელი ატყვია. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი ძირითადად დამთავრებული იყო, მაგრამ ალგა-ალაგ შერჩევით მაინც იკრიფებოდა. იკრიფებოდა, რომ არცერთი ალგა-ალაგ ჩაის ფოთოლი არ დაკლებოდა სახელმწიფოს, გეგმაც და ვალდებულებაც გადაჭარბებით შესრულებულიყო. მანქანამ ოდნავ ზემოთ შეუხვია, შეწყდა ნაძვნარების ხეივანი, და რკინის მოაჯირიან ჭიშკართან შეეჩერდით. — ქაქუთის კოლმეურნეობის კანტორა, კლუბი, ბიბლიოთეკა... ხელმარჯვნივ ომში დაღუპულთა სტენდი დგას.

თავმჯდომარე მოვიკითხეთ.

რევაზ ოთიაშვილი თავის კაბინეტში იყო. ძველი ნაცნობელებით შევხვდით ერთმანეთს, თითქოს პირველად კი არა, ბავშვობიდან შეზრდილები ვყოფილიყავით. ბავშვობა იმიტომ ვახსენე, რომ იგი ახალგაზრდა კაცია და უკვე მიუხდვიათ სოფლის თავკაცობა. არც შემცდარან. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაინიშნა მუშათა კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადის ბრიგადირად, ოთხი წლის შემდეგ გადაიყვანეს საწარმოო ბრიგადის ბრიგადირად, 1967 წელს მიიღეს სკკპ რიგებში. თავდაპირველად იგი იყო კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, მომდევნო წელს კი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს, შემდეგ ერთ წელიწადს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო. ყველგან, სადაც ის მუშაობდა, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, გამოირჩეოდა მუყაითობით, საქმის ერთგულებით და... აგერ მესამე წელია სოფელს სათავეში უდგას.

პირველნახვისთანავე ყურადღებას იპყრობს მისი ენერგიული გამოუმეტყველება, შემართება, თვალეში გიყურებთ და რა კითხვაც არ უნდა დაუსვათ, მზად არის პასუხი გაგცეთ. ლაპარაკობს დაჯერებული, საქმის ცოდნით, ჩვენი მისვლის მიზანი რომ გაიგო, მისთვის უკვე ყველაფერი ნათელი გახდა. თვალეში ღიმილი გამოეხატა და ისე შემოგვხვდა, ეტყობოდა, უნდოდა ეგრძნობინებინა, — თქვენ თავად ყველაფერი იცით ემინე ზაქარიადესეო.

ჩვენ მაინც ვეკითხებით:

— პირადად თქვენ რას გვეტყვით?

გასწორდა, ოდნავ წინ წამოიწია, დაჯერებული მხერა მოგვაპყრო.

— რა უნდა გითხრათ, საქვეყნოდ ცნობილი ქალია. — დაფიქრდა, თითქოს სათქმელს ეძებსო და ისევ შემოგვხვდა, — ჩვენს სოფელს ემინე ზაქარიადემ გაუთქვა სახელი, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საერთო სახალხო საქმეს მოახმარა... — შემდეგ თავად შეგვეკითხა: — თქვენ პირადად ნახეთ იგი?

— კი.

— ჰო და მე რა უნდა გითხრათ!... მასზე ბევრი დაიწერა, ბევრი ით-

ქვა და კიდევ ბევრი დაიწერება... ერთი მხარეა, რომ იგი ბევრ ჩაის/ფო-
თოლს კრეფს, მთავარი მაინც ისაა, რომ საინტერესოა, როგორც მკითხვე-
ნება. მე ასე ვიტყოდი, იგი არაჩვეულებრივი ადამიანია! მე მგზავნი/მწერ-
ლი მისი წარმატების საწინდარი სწორედ ეს მისი ადამიანობაა. მას
სხვაგვარად არ შეუძლია ცხოვროს, ჩაის ბუჩქებთან შეზრდილია და
მგონი, ჩაის ბუჩქები რომ გადაშენდეს, ჯავრს გადაჰყვება... — გაიცინა
და ცოტა ხნის შემდეგ დასძინა: — იგი მართალი ქალია და რასაც გეტყ-
ვით, ერთი სიტყვაც არ იქნება ზედმეტი.

— გვჯერა.

მოსაბეზრებელი რომ არ ყოფილიყო ერთი და იგივე კითხვები, სა-
უბარი სოფლის ცხოვრებაზე გადავიტანეთ. წინასწარ ვიტყვით — სოფე-
ლზე, სადაც ემინე ზაქარიადესთანა ადამიანი ცხოვრობს, ბევრის თქმა შე-
იძლება. სოფელი ეკონომიურად ძლიერია, შემოსავლის 85 პროცენტს
ჩაი იძლევა, აქ მოჰყავთ ციტრუსი, ტუნგი, ხილი.

— გვინტერესებს თითოეული ოჯახის შემოსავალი.

— ოთხი, ხუთი ათასი მანეთი.

ქაქუთში 328 კომლი ცხოვრობს. სოფელი რადიოფიცირებულია, თი-
თქმის ყველა ოჯახში დგას ტელევიზორი, ნახევარზე მეტს უდგას ტელე-
ფონი, ბევრმა შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა, პიანინო, ავეჯი, მოეწყო კუ-
ლტურულად. შრომას ყველაფერი შეუძლია.

— ჩვენს სოფელს ორი სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს. — ამ-
ბობს თავმჯდომარე, — ემინე ზაქარიადე და ფატი ცეცხლაძე. ორდენოს-
ნები კი საკმაოდ ბევრია, მათ შორის კომკავშირელები ზური ქარცივაძე,
სურიე ოქრობირიძე, ასეე წულუკიძე, ზეინეთ ვანაძე... ასე რომ, ჩვენს
სოფელში ბევრი მოწინავე ადამიანია. იუსუფ ბერაძემ ხუთწლიანი გეგმა
ოთხ წელიწადში შეასრულა და პირველმა უპატაკა სახელმწიფოს გეგმის
შესრულება. ბრიგადებს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბ-
რება.

— რა გაქვთ უახლოეს დროში დასახული?

— ბევრი რამ... თუნდაც ავიღოთ გზები. შარშან ორი კილომეტრი
შიგა სასოფლო გზა მოასფალტდა. განზრახულია იგივე გაკეთდეს წლე-
ულს... არიან ადამიანები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ
ჯერ კიდევ შიგა სასოფლო გზები მოუწესრიგებელია. ეს საყვედური სამა-
რთლიანია, მაგრამ ყველაფრის ერთად გაკეთება ძნელია, არ ხერხდება.

სიტყვა გავაწყვეტინეთ.

— ზოგს ჰგონია, რაკი დღეს არ გავგიკეთებია, მასზე საერთოდ არ
ფიქრობენ.

— დიახ, ასეა და ზოგჯერ უსამართლო საყვედურს გამოთქვამენ.
წლეულს უნდა დაგიწყოთ კულტურის სახლის მშენებლობა, პროექტი
გვაქვს და მშენებლობასაც მალე შევუდგებით.

— როგორია თითოეული კოლმეურნის მონაწილეობა სოფლის ცხოვრებაში?

იგი არ დაფიქრებულა. ისე გვიპასუხა:

— ხანდახან გვაკვირვებს კიდევ, ისეთ ინიციატივას იჩენენ, რომლებიც არიან მოწადინებული, რომ რაღაც ახალი გაკეთდეს, სოფელი გამოიწილოს, რაც გუშინ გაკეთდა, ის აღარ აკმაყოფილებთ. ასეც უნდა იყოს!


— რას იტყვით ახალგაზრდობაზე, სოფლად ცხოვრებას ხომ არ გაუტრბიან?

— ეს პრობლემა საერთოდ მწვავედ დგას. ხშირია შემთხვევა, როცა ახალგაზრდა სოფელს ტოვებს. რა თქმა უნდა, ამ საკითხს სხვა კუთხით უნდა მიდგომა, რომ უფრო ნათელი გახდეს მიზეზი... მე პირადად ვერ გამოვიცემა, რატომ მიდის ახალგაზრდა სოფლიდან... ასეთი მაგალითის მწახველი ვარ: სოფელში ორსართულიანი სახლი უდგას, კარგად ცხოვრობს, სოფელს შაინც ტოვებს, იწყებს სადღაც მშენებლობაზე, ან ქარხანაში მუშაობას. ვიდრე ბინას მიიღებდეს, საერთო საცხოვრებელშია, თავისი კუთხე არა აქვს და წვალობს. კიდევ მეტი, სოფლიდან ეზიდება სარჩოს, ზოგჯერ ფულს მშობლებს თხოვს. ოდნავადაც არ მინდა მუშის ცხოვრება დავამცირო, პირიქით, მაგრამ რა შედარებაა, სამუშაოზე ხუთი წუთი რომ დაავიანო, საყვედურს გამოგიცხადებენ, აქ წუთს არავინ განსაზღვრავს, მხოლოდ შენ პირადად უნდა იცოდე ყოველი წუთის ფასი. ცუდ ამინდში მეტწილად შინ არიან, — ისევ იცინის და დასძენს, — ზოგს კარგი ცხოვრება სწყყინდება და ძალად ირთულებს ცხოვრებას... ქალაქი თუ გიყვარს, კეთილი და პატიოსანი, ავტობუსების მეტი რა დადის, ჩადი, გაისეირნე და დაბრუნდი...

— ახალგაზრდობას ცდუნება სძლევს.

— სწორი ბრძანებაა, რაღაც მოსწონთ და ზუსტად ვერ გეტყვიან. რა მოსწონთ... მეტი აღმზრდელობითი მუშაობაა საჭირო, რომ ახალგაზრდას შთავაგონოთ, უპირველესად, შრომის სიყვარული. რაც შეეხება ჩვენს სოფელს, მაინცდამაინც სასაყვედურო არაფერია, ჩვენი ახალგაზრდობა ამ მხრივ მისაბამია. თუ ერთი-ორი შემთხვევა გვაქვს, საგანგაშო არაფერია. ვფიქრობ, უპირველესი დამსახურება თვით სოფელს ეკუთვნის. სოფელზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ქაქუთი ხომ ოდითგან განთქმულია შრომითაც და ღვინითაც...

— სრული ჭეშმარიტებაა! — დავეთანხმეთ ჩვენც. სოფლის თავკაცის ასეთი საღი მსჯელობა უთუოდ საყურადღებოა, მაგრამ მართლაც მსჯელობა აბა რა შედეგს გამოიღებს, თუ რაც ითქვა, საქმით არ გაკეთდა. მართლაც გულსატკენია, რომ ახალგაზრდა სოფელს გაუტრბის, და მთელი უბედურება ისაა, რომ არც იცის რატომ სჩადის ამას. სასაყვედურო არაფერია, თუ იგი მაშინვე მუშაობას ან სწავლას იწყებს. ხდება პირიქით, ახალგაზრდა კაცი ჩადის ქალაქში, არსად არ სწავლობს, რომ ჰკითხო დღე-დღეზე აპი-



რებს მუშაობის დაწყებას, ოღონდ შესაფერისი სამუშაო ვერ ნახა და მთელი დღეები უსაქმურად დაეხეტება, არც საკუთარი თავის ფასს იფასობს და არც სხვისი... დრო გადის, ასეთი ახალგაზრდა უკვე გზას ატყურობს და ათასგვარ პრეტენზიებს აყენებს, არაფერი არ მოსწონს, თითქმის მას დევნიან, ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, მაგრამ გზას არ აძლევენ. ვინ კიდევ ცუდ წრეში ხვდება...

მასსოვს ერთხელ მწერლებთან შეხვედრისას ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხასან ყურშუბაძემ გულისტკივილით განაცხადა: უმაღლეს სასწავლებელში პარტიის რაიონული კომიტეტის საგზურით ვერ გავგზავნეთ ვერც ერთი ახალგაზრდა იმის გამო, რომ არც ერთ საშუალო დამთავრებულს არ აღმოაჩნდა შრომითი საქმიანობის სტაჟი, მაგრამ რაოდენ სასიხარულო იყო ჩვენთვის, როცა ცეცხლსაფრის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მიხეილ ვიორგაძემ და პარტიუროს მდივანმა ზურაბ ვერულიძემ საზეიმო ვითარებაში გზა დაულოცეს სამედიცინო სასწავლებელში ახალგაზრდა მოწინავე მუშას, მალხაზ ნოღაიდელს და სტიპენდიაც მეურნეობამ იკისრა. აი, რა შეუძლია შრომას, რა შეუძლია მშობლიურ სოფელს და კოლექტივს.

— საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი ბოლო წლებში დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის შრომით საქმიანობას — დასძენს რევავ ოთიაშვილი, — ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა შრომის ვეტერანის სახელობის გამოცდილების სკოლის შექმნა. ჩვენთან არსებობს ემინე ზაქარიაძის გამოცდილების სკოლა, დაწესებულია პრიზი, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა მოწინავე მეჩაიეს, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სოფლის შემოსავლის ძირითადი წყარო არის ჩაი. თავმჯდომარე ხაზს უსვამს:

— შარშან გეგმით 635 ტონა ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთოლი უნდა მოგვეკრიფა, ვალდებულებით — 720 ტონა, მოკრეფილია 800 ტონამდე. ციტრუსი გეგმით 28 ტონა იყო განსაზღვრული, ფაქტიურად სახელმწიფოს 70 ტონამდე მიეყიდეთ, ხოლო ტუნგი 60 ტონამდე, ეს უთუოდ საყურადღებო ციფრებია.

რაზეც არ უნდა ვილაპარაკოთ, ციფრებს გვერდს ვერ ავუვლით, ციფრებში შესანიშნავადაა გამოხატული, თუ რა ვიყავით, რა გვქონდა და რა გვაქვს. ასე ზუსტად არც ერთ სიტყვას არ შეუძლია გამოხატოს რა გაკეთდა და რა კეთდება. სტატისტიკა უტყუარია. ჩვენ ყოველი წარმატება გვახარებს, გვეამაყება და როცა ხვალინდელ დღეზე ვლაპარაკობთ, სწორედ ის ხვალინდელი დღე გვაქვს ციფრებით წარმოდგენილი. რაც ვთქვით შევასრულოთ უნდა კიდევ. ასეთია საბჭოური ყოფის პრინციპი.

ჩვენ დაგვაინტერესა სოფლის კულტურულმა ცხოვრებამ და თავმჯდომარეს ვკითხეთ, იგი დიდი კმაყოფილებით გვეუბნება:

— ქაქუთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი გაგეგონებათ.

— როგორ არა.

— ჰო და, ჩვენს სოფელს ანსამბლმაც შორს გაუთქვა სახელობის კავშირის კულტურის სამინისტრომ და მოსკოვის მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის დირექციამ შარშან ოქტომბერში გამართულ „მოსავლის დღესასწაულში“ მონაწილეობის მისაღებად მიიწვია ჩვენი საკოლმეურნეო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელშიც 100 კაცი მონაწილეობდა. ეს იყო ჩვენი პატარა სოფლის დიდი ზეიმი მოსკოვში, ჩვენმა გოგო-ბიჭებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს. ანსამბლი წლეულსაც მიწვეულია მოსკოვში „მოსავლის დღესასწაულზე“.

— როდის ჩამოყალიბდა ანსამბლი?

— იგი 1954 წლიდან არსებობს და ამხნის განმავლობაში დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი სოფლის კულტურულ ცხოვრებაზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავზე ანსამბლს ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა. მონაწილეობდა მოსკოვში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე.

სოფლის თავკაცის კაბინეტი დავტოვეთ.

კოლმეურნეობის კანტორის გვერდით დგას ორსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულზე სოფლის კლუბია მოთავსებული, ზემოთ ბიბლიოთეკა-სამკითხველო. აქვეა გამოფენილი დიპლომები, საპატიო სიგელები, ჭილდოები, რომლებიც წლების მანძილზე ანსამბლმა დაიმსახურა. ანსამბლის ხელმძღვანელია ჯგერის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი სულიკო მამულაიშვილი, ქორეოგრაფი — საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი გიორგი სალუქვაძე. ჩვენ ვათვალიერებთ ჭილდოებს, ვეცნობით ანსამბლის ბიოგრაფიას.

— ანსამბლმა კონცერტები გამართა, — საუბარში ჩაერია ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი სულიკო მამულაიშვილი, — ლიტვისა და ლატვიის სს რესპუბლიკებში, ჩვენს გამოსვლებს გაზეთები დადებითად ეხმაურება. ამჟამად ვემზადებით მშრომელთა მხატვრული შემოქმედებითი კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალიერებაში მონაწილეობისათვის. გამარჯვებული გამოვა მოსკოვში. ჩვენს რეპერტუარში შედის სიმღერები სამშობლოზე, პარტიაზე, ძველი ქართული სიმღერები და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებები, თქვენი სტრიქონებიც ავამღერეთ. ერთის სიტყვით, ჩვენი ანსამბლი ტოლს არავის დაუდებს, მას მთელ საბჭოთა კავშირში იცნობენ.

— სხვა კულტურული ღონისძიებებიც ხომ ეწყობა?

— დიახ, კვირაში რამდენიმეჯერ უჩვენებენ კინოფილმებს. ხშირად ჩამოდიან პოეტები, მწერლები, მსახიობები...

— მოწყენისთვის დრო აღარ გრჩება?

— არა, — სიცილით გვეუბნება იგი. — ისიც მინდა იცოდეთ, — ვანა-

გარდებს, — რომ ჩვენს ანსამბლში გაერთიანებული არიან მოწინავე კომეფურნეები, მოსწავლეები, პედაგოგები, მათ სანაქებოდ უნდა დავიხმევს, ისინი კარგად უხამებენ შრომას და შემოქმედებით მუშაობას ერთმანეთს.

ჩვენი საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელდა, თითქმის ყველამ დასრულა „შევეხეთ. უახლოესი გეგმები ძალზე კარგი აქვს სოფელს: ძირითადად უნდა მოგვარდეს სასმელი წყლით მომარაგება, უნდა გაშენდეს ახალი ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები, გზისპირას უნდა გაკეთდეს ფარდულები, იქ, სადაც ავტობუსის გაჩერებაა... და კიდევ ბევრი გეგმა აქვთ ქაქუთელებს. საინტერესო იყო ჩვენთვის, თუ როგორ ცხოვრობს, რას აკეთებს გვირი ქალის სოფელი, რას ფიქრობენ, რა აქვთ გადაწყვეტილი, რომ უკეთ იშრომონ და იცხოვრონ. კომეფურნეობის კანტორა რომ დაეტოვებოდა, ბინდებოდა, მზე აღარ ჩანდა, მაგრამ სხივები მაღალი ხეების კენწეროებს წვდებოდა. ხელმარჯვნივ გადაეუხვიეთ და მოასფალტებულ გზას აღმართში შევეყვით.

სოფელზე შემთხვევით არ გვილაპარაკია, სხვა მხრივ წარმოუდგენელი იყო, ემინე ზაქარიაძე ისეთი ქალი არაა, მხოლოდ მასზე ილაპარაკო და წერო. საკუთარ წარმატებებზე უფრო ემაყუება სოფლის დიდება, ყოველ მის საქმიანობას სოფელს უკავშირებს. ეს გასაგებია, სოფელმა შვა და გაზარდა იგი და სოფლის გარეშე სიცოცხლეც ვერ წარმოუდგენია. ის არის ქალი, რომელსაც თანასოფლელებზე ზრუნვა ცხოვრების მიზნად გაუხდია, მისთვის სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრი, უწმინდესი და უპირველესი მოვალეობაა. ვის შეუძლია გამოხატოს ის სიხარული, სიამაყე თუ გულისტკივილი, რასაც იგი განიცდიდა ყოველ წარმატებაზე თუ წარუმატებლობაზე. ლამაზი, მსუბუქი ფერებით შემკული დღეები როდი ჰქონია მას, ან თითოეული მისი გამარჯვება ბოლო როდი იყო, ყოველ ახალ გამარჯვებას თან ახლდა შიშიც, ვაი თუ ხვალ იმაზე მეტი ვერ გავაკეთე, რაც დღეს შევძელი.

ერთი კარგი მეთოდი ჰქონდათ წინათ. ემინე გულისტკივლით იგონებს, ვერ გაუგია, თუ რატომ დაივიწყეს, — ყოველ დღე, ვინც მეტ ჩაის მწვანე ფოთოლს მოკრეფდა, მას ღროშას გადასცემდნენ. და იმ დღეს ის ღროშა გამარჯვებულის კალათზე იყო დამატებული. ასე გადადიოდა ერთი მეჩაიეს კალათიდან მეორე მეჩაიეს კალათზე ღროშა და ეს საერთო შრომით სიხარულს ქმნიდა, იყო შეჯიბრება, ვინ ვის „წაართმევდა“ ღროშას. ეს მეთოდი დღესაც არ იქნებოდა ურიგო.

ემინე ზაქარიაძე დღითიდღე აუმჯობესებდა ჩაის ფოთლის კრეფას. იგი იგონებს ომის მრისხანე დღეებს. ძმები ჯარში გაიწვიეს, უჭირდა ოჯახს, უჭირდა სოფელს, ყველაფერი ფრონტისათვის კეთდებოდა, შინ დარჩენილები ორმაგად მუშაობდნენ, არ ჰქონდათ მოცლა, მაგრამ არ იცოდნენ რა იყო დაღლა.

— გამთენია გავდიოდით ჩაის ფართობში, — ამბობს იგი, — არ ვე-

რიდებოდი წვიმასა და ცვარს, ვიდრე მზე ამოვიდოდა აქის მთაზე, რამდენიმე კგ. ჩაის ფოთოლი გვქონდა მოკრეფილი და ცვარში ჩაეთმე დასველებული განვაგრძობდით მუშაობას, სველი ტანსაცმელი ტანზე გვაშრებოდა. სადილობისას შინ არ მივდიოდით, ცივი მჭადის ზაფხულია და ვიღებდით. ზამთრის გრძელ ღამეს ზოგი წინდას ქსოვდა, ზოგი ჩირსა და ხმელ ხილს ამზადებდა ფრონტზე გასაგზავნად. ხანდახან რომ დავფიქრდები, მიკვირს, ყველას გვიჭირდა, მაგრამ არც ერთმა არ ვიცოდით რა იყო გაჭირვება. არასოდეს არ გვიწუწუნია, ეს არ მაქვს, ის არ მაქვსო. არაფერი არ გვქონდა და არც ის არქონება ვიცოდით რა იყო. ჩვენ მაშინ გვქონდა დიდი რწმენა და სიყვარული ქვეყნისა.

ფიქრიანი გაუხდა სახე, თითებს ნერვიულად ათამაშებს, ეტყობა რალაცის თქმა უნდა, მაგრამ ვერ ამბობს. დუმილმა კარგა ხანს გასტანა. ალბათ იგი იგონებს წარსულს, იმ ძნელბედობის დღეებს და მოგონების სიღრმეში ეშვება. დუმს და მოწყენილი თვალებით ცას გასცქერის. ცა სარკესავით სუფთა და ნათელია.

— ომის დროს 30 და 40 კილოგრამი ჩაის მოკრეფა დიდ მიღწევად ითვლებოდა — დავარღვიეთ დუმილი, — შემდგომში თქვენი სარეკორდო მოსავალი როდის იყო?

— ომის დროს!

— ალბათ...

— 120 კილოგრამი მოვკრიფე, — გაგვაწყვეტინა სიტყვა.

— შემდეგ?

— 1956 წელს უკვე 136 კილოგრამს გადავაჭარბე.

— ამ სარეკორდო ციფრებს თქვენ მხოლოდ ერთმა როდი მიაღწიეთ... როგორ შესძელით?

— თავდაპირველად ძალზე მკაცრად ვიცავდით ჩაის ფოთლის კრეფის წესებს, ყოველ დუყს საგანგებოდ ვარჩევდით, ერთი ფოთოლიც რომ ზედმეტი გადაგვყოლოდა დუყზე, უკვე მეორე ხარისხად ჩავგითვლიდნენ. დღეს ჩაის კრეფა განსხვავებულია.

— ხარისხი?

— რა თქმა უნდა, წინათ ხარისხი უკეთესი იყო.

— რატომ იყო უკეთესი?

— კრეფის წესებს უფრო ვიცავდით.

— დღეს ჩაის ბუჩქებს აკლია თუ არა მოვლა?

— არა, მოვლა არ აკლია, პირიქით, ბევრად გაუმჯობესდა, მაგრამ მე მგონი კრეფის ყველა წესს არ იცავენ.

— მეჩაიეები არიან დამნაშავენი?

— ესეც მართალია. ზოგი ფიქრობს, რაც შეიძლება მეტი მოვკრიფო, და ხარისხი ეცემა. ქართულმა ჩაიმ უნდა აღიდგინოს თავისი ავტორიტეტი, საქვეყნოდ უნდა დავიცვათ მისი პრესტიჟი!

— სწორი ბრძანებაა.

— ალბათ ეს საკითხი სპეციალური მსჯელობის საგანი გახდება, მიუხედავად იმისა, რომ მეათე ხუთწლედის ხარისხის ხუთწლედია.

მას ასე სწამს და ამბობს. რამდენად მართალია, ამას დღეს ვერ ვთქვით. ნებს, ოლონდ ჩვენ მისი გულისტკივილი გავიზიარეთ. არა, ქართული ჩაიკვლავ საქვეყნოდ ცნობილი უნდა ღარიყეს, მის ავტორიტეტს უთუოდ უნდა გავუფრთხილდეთ. ეს თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა, ხანდა-ხან ხდება ხოლმე, ადამიანს რაც ძლიერ უყვარს, მისი პატარა ნაკლიც დიდად ეჩვენება, გინდა, რომ ის ყოველმხრივ უნაკლო იყოს. ამ კუთხით თუ მივუდგებით ემინე ზაქარიაძის ნათქვამს, მაშინ იგი სავსებით მართალია, მართალია იმიტიზმ, რომ ქართული ჩაის ღირსებას იცავს.

ღიას, მან უკვე იცის, თუ პირველად 6 კგ. და 200 გრ. ჩაის ხარისხი-ვანი ფოთოლი მოკრიფა, 1966 წელს სარეკორდო მოსავალს მიღწია — დღიურად 250-260 კგ. ჩაის ფოთოლს კრეფდა და პარტიისა და მთავრობის უმაღლესი ჯილდო — სოციალისტური შრომის გმირის წოდება დაი-მსახურა. ეს უდიდესი მოვლენა იყო მის ცხოვრებაში, ამოღ არ უშრო-მია, ამოღ არ უზრუნვია სოფლისათვის, სამშობლოსათვის!

— რამდენი კგ. მეტრი იყო თქვენზე გაპიროვნებულ?

— 6 ათასი.

— საშუალოდ წლიურად რამდენ ტონას კრეფდით?

— თორმეტ, თოთხმეტ, თექვსმეტ ტონას.

ვიდრე შრომის გმირი გახდებოდა, 1962 წელს ემინე ზაქარიაძე სო-ფელმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია. ხალ-ხის ამ ნდობასა და სიყვარულს მან გმირობით უპასუხა, როგორც დეპუ-ტატმა ბევრი რამ გააკეთა სოფლისათვის, უშუალოდ მისი ინიციატივით აშენდა საშუალო სკოლა, დაისვა საკითხი სასოფლო გზების მოასფალტე-ბისა, ემინე ზაქარიაძე პირველი ინიციატორია ქაქუთის სიმღერისა და ცე-კვის ანსამბლის ჩამოყალიბებისა, თავად მონაწილეობდა ანსამბლში, იგი დღესაც აქტიურად მონაწილეობს სასოფლო საბჭოს მუშაობაში, ამჟამად სასოფლო საბჭოს დეპუტატია.

— რას იტყვით თქვენი გამოცდილების სკოლის შექმნაზე?

მას თვალეები უციმციმებს, ამ ხნის ქალში თითქმის ბავშვმა გაიღვიძა, ისე გამოიყურება... ემინე ზაქარიაძის გამოცდილების სკოლა! — რამდე-ნის მოქმედია ეს სიტყვები...

— ამაგი დამიფასეს, — მოკრძალებით ამბობს იგი, — უთუოდ მე-მაყება, მაგრამ ვერ დავმალავ, ეს შესანიშნავი მაგალითია სხვებისათვის, რომ პატიოსანი, თავდადებული შრომა ჩვენს ქვეყანაში ღირსეულად ფა-სდება... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიამაყეა, როცა ჩემისთანა უბრა-ლო ადამიანები სახელმწიფო გამგებლობაში მონაწილეობენ!... ჩვენს



ბედს ჩვენვე ვპედავთ. ეს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ხდება — ჩვენივე ვიყავით.

ხელმძღვანელ ამხანაგებს ბევრჯერ შევხვედრივარ, მისაუბრია მათთან, გამიზიარებია სიხარული და სინანული... ხალხისა და ხელმძღვანელი ამხანაგების სიახლოვე, აზრთა გაზიარება, ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და გამარჯვების საწინდარია. სხვაგვარად ჩვენი სამშობლო ესოდენ ავტორიტეტს ვერ მოიპოვებდა, ასე ძლიერი არ ვიქნებოდით.

რა მიმზიდველია საუბარი, როცა იგი გულითადია, პატრიოტული, როცა საუბრობ თავისუფლად და არავითარი სიყალბე არ არის მასში. ვინდა დიდხანს, დიდხანს დაჰყო მოსაუბრესთან, იცოდე მასზე, რაც შეიძლება მეტი, მის ხომ ცხოვრების დიდი და შინაარსიანი გზა გაუვლია... დრო კი გარბის, იცი, უნდა გამოემშვიდობო და გიძნელდება.

გმირს ერთხელ კიდევ შევხედე. იგი ფიქრს მისცემოდა. ღია ფანჯრიდან ქაქუთის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები, ციტრუსების ბაღები და ტუნგის ტყეები მოჩანდა.

— მე, როგორც კომუნისტი, დიდი სიხარულით მოველი პარტიის 25-ე ყრილობას, ეს კომუნისტების დიდი ფორუმი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი დედამშობლოს შემდგომი აყვავებისა და ამაღლების გზებს, მინდა ყრილობას მაღალი შრომითი წარმატებებით შევხვდე. ათმაგად ვიშრომებ ოღონდ მშვიდობა და ბედნიერება სუფევდეს ქვეყნად. — ემინემ კვლავ მოიწყინა. — მე დედა ვარ და გულს მწვავეს, როცა ტელეეკრანზე ვხედავ მკლავდაკოტავებულ მკვლელებს, ტიტველ ბავშვებს, დამწუხრებულ დედებს და საფლავების ჯვრებს. კაცობრიობამ სამუდამოდ უნდა დაგმოს ომი. კმაყოფილებით წავიკითხე ჰელსინკში დამდებული სამშვიდობო ხელშეკრულება და ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეტად დამაფიქრებელი, საკაცობრიო სიტყვა. — კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ სუფრას მოავლო თვალი. — დემითო მომკალი — წამოიძახა — თქვენი ასე გაშვება როგორ შეიძლება. ოჯახი შემირცხვებაო. — არა, ჩვენ უარს ვამბობთ, ყველაზე ძვირფასი სუფრა, რაც ჩვენთვის იყო, ეს მასთან შეხვედრაა, საუბარია. ჩვენ სხვა მიზანი არ გვქონია.

— სტუმარი ოჯახის დაულოცავად არ გაუშვა, ემინე! — ეძახის მეორე ოთახიდან ავადმყოფი ქმარი.

ემინეს სახე ეღრუბლება.

— ის ავად არ იყოს, თქვენ ასე არ გაგიშვებდა.

— სხვა დროს.

— არა, არა, ოჯახს გაფიცებთ!

უკან დასახევი გზა არ იყო. ცივი ადესით ვადღეგრძელებთ გმირის ოჯახი და... ჩვენ არ გვიკითხავს მისთვის ბევრი რამ, არ გვიკითხავს ავადმყოფ ქმარზე, არც იმ შვილზე, რომელმაც მოსკოვში სასოფლო-სამეურ-

ნეო ინსტიტუტი დაამთავრა, მუშაობის დროს ტრავმა მიიღო და საავად-
მყოფოში იწვა. ძნელია, როცა ამდენი ავადმყოფი გყავს, მაგრამ ეზრუნე
ზაქარიადეს სირცხვილი არ უჭამია, მისმა რგოლმა მეცხრე ხუთწლედის
გეგმა ერთი წლით ადრე შეასრულა. გმირმა შარშან 6 ტონა ჩანსაჲთისა
ხოვანი ფოთოლი მოკრიფა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოიჩინე-
ვა. ემინეს უყვარს თქმა: — საზოგადოებრივი საქმე ეს ჩვენი დღევან-
დელი და ხვალინდელი დღეაო...

ვტოვებთ გმირი ქალის ოჯახს, ვისაც თავისი მოუღლელი შრომით,
გამრჯე მარჯვენით დიდი წვლილი შეუტანია ხუთწლედის დამამთავრებე-
ლი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებაში, ვისი სასახლო საქ-
მეები არაერთხელ გამწდარა მწერლისა და პუბლიცისტის შემოქმედების
თემა. და ეს ბუნებრივად არის, ემინე ზაქარიადის შინაარსიანი, შრომითი
გამარჯვებებით აღსავსე ცხოვრების გზა მუდამ მისაბამი მაგალითია ჩვე-
ნი ახალგაზრდობისათვის.

ბინდი გაწვა მთებში. ელიას ციხეზე პირსავსე მთვარე გადმოდ-
გა. აკიაფდნენ ელნათურები. დროდადრო გაისმის შეძახილები, ვინ საქო-
ნელს მოერეკება. ვინ საკოლმეურნეო ბაღ-პლანტაციებიდან ბრუნდება,
ვინ ვის გადასძახებს. ჩვენი მანქანა ნელა დაეშვა დაღმართში, მერე ხელ-
მარჯვნივ შევეხვიეთ და კოლმეურნეობის კანტორას ჩავუარეთ გვერდით.
ჩვენ მოგვეჩქარება. გული კი სავსეა, გული უკან გვრჩება, ნახული და
მოსმენილი გვაფიქრებს — ყველაფერი ითქვა თუ არა გმირ ქალზე. არა,
ყველაფერი არ ითქმულა და არც შეიძლება ითქმულიყო, ყველაფერი რომ
დაიწეროს, დიდი წიგნია საჭირო.

დავით ჩხიკვიშვილი

რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობის განვითარების წარუშლელი ფაქტორი

1908 წლის 24 იანვარს მოსკოვის მცირე თეატრში შედგა საიუბილეო ზეიმი. მიძღვნილი ა. სუმბათაშვილ-იუქინის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი. ეს იყო რუსული რეალისტური თეატრალური კულტურის ჭეშმარიტად დიდი დღესასწაული. გამოხატულება იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა, რაც სამართლიანად დაიმსახურა დიდმა მსახიობმა.

სალამოს 7 საათისათვის მცირე ფეატრის დარბაზი ხალხით იყო გაჟღერილი. მიუხედავად იმისა, რომ ბილეთის ფასი ამჯერად ხუთჯერ აღემატებოდა ჩვეულებრივს. კიდევ მეტი, გადამყიდვე-

ლები პარტერის ბილეთს 100 მანეთადაც ყიდდნენ.¹

იუბილე დაიწყო „ოტელოს“ აქტის-სენატის სცენის ჩვენებით. მთელი დარბაზი დაძაბული ყურადღებით ელოდა არტისტი-იუბილარის პირველ გამოსვლას სცენაზე. და აი, გამოჩნდა მავრიც და დარბაზში ტაშმა იგრიალა, რომელიც დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგრძელდა. იუბილარი თავის სიმალლეზე იდგა. მისი ყოველი ფრაზის შემდეგ ისეთი ოვაციები იმართებოდა, რომ მსახიობს თამაშის გაგრძელების საშუალება არ ეძლეოდა.

„ოტელოს“ პირველი სურათის

1 «ЦГАЛИ СССР, Ф. 878, ОП. 1, ед./х. 136, л. л. 86—87 (195)»

დამთავრების შემდეგ მოეწყო დიდი შესვენება. სცენაზე იუბილართან ერთად ავიდნენ მცირე თეატრის მსახიობები, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები.

საზეიმო ცერემონიალი დაიწყო იმით, რომ საიმპერატორო თეატრების დირექტორმა ვ. ა. ტელაკოვსკიმ ა. ი. სუმბათაშვილს დამსახურებული არტისტის ნიშანი გადასცა.

იუბილარს მიუახლოვდნენ მ. ერმოლოვა, ა. ლენსკი, ო. სადოვსკაია, ო. პრავდინი. მცირე თეატრის მთავარმა რეჟისორმა ა. ლენსკიმ წაიკითხა თეატრის აღრე-სი.

„დღეს, ამ ნათელ ზეიმზე, — ნათქვამია ადრესში, — ჩვენი თეატრის ძველ კედლებს შორის შეკრებილნი, მოსკოველთა წინაშე ერთსულოვანი აღფრთოვანებით ვუხდით მაღლობას დიდ მხატვარს, რომელიც თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე არ იშურებდა ჩვენთვის თავის მრავალმხრივ სულეერ სიმდიდრეს. ძვირფასო ალექსანდრე ივანეს ძე, ჩვენ, თქვენი უახლოესი ამხანაგები, ბედნიერნი ვართ გამოცხატოთ თქვენს მიმართ ჩვენი საერთო პატივისცემისა და მხურვალე სიყვარულის გრძნობები.

თქვენთვის დამახასიათებელი იშვიათი უნარია მთელი ძალდონით ემსახუროთ იმ საქმეს, რომელიც ერთხელ ირწმუნეთ და აი, უკვე 25 წელია, რაც... მედგრად იბრძვით ჩვენი ძვირფასი თეატ-

რის ბედნიერებისათვის, მსახიობის მხატვრული დამოუკიდებლობისათვის.

როგორ შეიძლება არ გვადრდეთ, როგორ შეიძლება არ ვიამაყოთ თქვენი, საიმედო რაინდო და ჩვენი საერთო სიწმინდის დაუღალავო დამცველო.“²

ადრესის წაკითხვის შემდეგ იუბილარს გადაეცა მცირე თეატრის კოლექტივის საერთო საჩუქარი — ბრილიანტებით მორთული სამკერდე ნიშანი, რომელიც მას მიანიჭა მსახიობმა ო. პრავდინმა.

შემდეგ ავანსცენაზე გამოჩნდა მ. ერმოლოვა. იგზილა ტაშმა. მ. ერმოლოვამ წაიკითხა მცირე თეატრის დიდი მსახიობი ქალის გ. ნ. ფედოტოვას მისალმონი წერილი, ვინაიდან იგი ავადმყოფობის გამო იუბილზე ვერ მოვიდა. წერილში გ. ნ. ფედოტოვა წერს, რომ თავისი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წლებად იგი თვლის იმ პერიოდს, როდესაც მას ჰქონდა ბედნიერება ემუშავა ისეთ დიდ მსახიობთან, როგორიცაა ა. სუმბათაშვილი.

ამაღელვებელი იყო მოსკოვის სამხატვრო თეატრის მისალმებაც. სცენაზე გამოჩნდა მსახიობთა დიდი ჯგუფი კ. ს. სტანისლავსკის, ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, მოსკოვის, ვიშნევსკის, ბალიევისა და სამარინას შემადგენლობით. ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო კითხულობს სამხატვრო თეატრის აღრეს:

2 იქვე.

„ოცდახუთი წლის წინათ, — ეწერა ადრესში, — თქვენ აქ, სცენაზე გამოხვედით ჩაცკის როლში. სამი წლის შემდეგ განასახიერეთ გრაფ დიუნუასა და მორტიმერის სახეები, რითაც ისედაც დიდი და სასახელო ტრადიციების მქონე მცირე თეატრს დაეხმარეთ რეპერტუარის განახლებაში ძლიერი, ლამაზი რომანტიკული ნაწარმოებებით... ყველას, ვინც დღეს შეიკრიბა აქ თქვენს მისასალმებლად, კარგად ახსოვს მცირე თეატრის საუკეთესო ფურცლები, სადაც თქვენი სახელი მ. ნ. ერმოლოვასა და ა. პ. ლენსკის გვერდით წერია. თქვენ შექმენით ბრწყინვალე არტისტული ტრიო, რომელიც მაშინდელი ეპოქის მტრული პირობების მიუხედავად...ადამიანებს გმირობისა და თავგანწირვისაკენ მოუწოდებდა. ასეთივე ფართო გულწრფელობით, უმწიკვლო პატიოსნებითა და დამოუკიდებელი, ინდივიდუალური, შესანიშნავი მონაცემებით ვიდოდით თქვენ შემოქმედებით გზაზე ოცი წლის მანძილზე.

სამხატვრო თეატრი... აუცილებელ ვალდებულებად თვლის მიესალმოს თქვენი სახით, ძვირფასო ალექსანდრე ივანეს ძევ, არტისტს, რომელიც ყოველთვის მტკიცე და ერთგული რჩებოდა თეატრის კეთილშობილური, კულტურული მისიისა“.

კ. ს. სტანისლავსკიმ იუბილარს გადასცა ძვირფასი სამკერდე ნიშანი სამხატვრო თეატრის ემბლემის — თოლიას გამოსახულებით.

კორშის თეატრის ადრესში შესანიშნავად იყო მითითებული თეატრის დამსახურებაზე ^{გამოსახულება} ^{გვერდით} თეატრალური ხელოვნების წინაშე. ადრესში ეწერა: „ძვირფასო ალექსანდრე ივანეს ძევ, კორშის თეატრის დასი სიხარულით მოგესალმებათ თქვენ ამ შესანიშნავ ზეიმზე. განა ჩვენ, მსახიობებს შეგვიძლია შესაფერისად შევაფასოთ თქვენი ტალანტი და ის დიდი მხატვრული საქმე, რომელსაც აკეთებდით მეოთხედი საუკუნის მანძილზე? ამას სხვები გააკეთებენ. ამას გააკეთებს ხალხი, რომლის სამსჯავროზეც გააქვს ყველა ჩვენთაგანს თავისი ნამუშევარი, საკუთარი ხელოვნება. ჩვენ ვიცით, რაოდენ დიდი სიამაყით აღივსება თქვენი გული ამ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, ვინაიდან მასში ლაპარაკი იქნება დიდ მსახიობზე და მის მიერ მოპოვებულ ბრწყინვალე... გამარჯვებებზე. ჩვენ მთელი გრძნობით ვემზრობით ამ სიამოვნო განაჩენს, მაგრამ არ შეგვიძლია ყველა თქვენს მხატვრულ წარმატებებზე მაღლა არ დავაყენოთ კიდევ ერთი ღვაწლი — თქვენი დამსახურება რუსი მსახიობის წინაშე... ჩვენ თქვენში ვხედავთ საზოგადოების თვალში რუსი მსახიობის ღირსების ამაღლებისათვის დაუღალავ მებრძოლს როგორც საქმით, ასევე სიტყვით... თქვენ, საკუთარი სასცენო მუშაობით... ყოველთვის ამაღლებდით რუს მსახიობს საზოგადოების თვალში. თქვენ დიდად აფასებ-

დით სცენას და სხვებსაც ასწავ-
ლიდით მის პატრიისცემას“...³

თეატრში შეკრებილი საზოგადოების ყურადღება მიიბყრო ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა უცნობმა პირმა, რომელიც განცალკევებით იჯდა. ეს იყო ქართველი მსახიობი კოტე მესხი, რომელიც „ქართული თეატრის მოღვაწეთა“ სახელით მიესალმა „მცირე თეატრის დიდ მსახიობს“. მან წარმოთქვა მგზნებარე, ძალზე ლამაზი სიტყვა, რომელმაც საერთო აღფრთოვანება და მოწონება დაიმსახურა: „შორეული საქართველო მზურვალედ ულოცავს თავის სახელოვან შვილს და უაღრესი მადლიერების გრძნობით მუხლს იდრეკს მის წინაშე“ — თქვა კ. მესხმა. ამ სიტყვებს მოჰყვა ზღვა ოვაციებისა. კ. მესხმა განავრძო: „შენ განშორდი სამშობლო საქართველოს, შენ, როგორც მსახიობმა, უღალატე სამშობლო სცენას, როგორც მწერალმა — მშობლიურ ენას, მაგრამ ჩვენ არ გკიცხავთ ამისათვის, რადგან შენი ღალატი „ღალატივზე“ გამოისყიდე... საქართველო ამაყობს იმით, რომ მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო შვილთაგანმა თავისი მდიდარი ნიჭი მიუძღვნა რუსეთის გულს — მოსკოვს“.

კ. მესხმა ქართული დრამატული საზოგადოების სახელით სუბათაშვილს საჩუქრად გადასცა „ვეფხისტყაოსანი“. დრამატული საზოგადოების ადრესში ეწერა:

„ბატონო ალექსანდრე! საუკმაოდ ერთად გიგზავნით სახსოვრად ერის უკვდავი გენიოსის ნაწარმოებს, თხზულებას იმ უმცირესობას, რომელმაც თავისი მადლიანი კალმით უკვდავყო როგორც თავისი სახელი, აგრეთვე თავისი სამშობლო. დეე, ამ წიგნმა ხშირხმირად მოგაგონოთ ხოლმე ის შორეული მხარე, ის სამშობლო დედა, რომელიც სიყვარულით თავს გეცვლებათ, გირწევდათ აკვანს და თანდათან დაგმღეროდათ ხან ტკბილს, ხან ჰაეროვან ნანას და ხანაც მძლავრს, საგმირო სიმღერას! თქვენ არ დაგვიწყებიათ სრულიად ეს ჰანგები. ამას მოწმობს თქვენი ნიჭიერად დაწერილი „ღალატი“.⁴

კ. მესხის შემდეგ გამოვიდა რუსეთის სიტყვიერების საზოგადოების წარმომადგენელი. მის ადრესში აღნიშნული იყო: „მტკიცე კავშირი დამყარდა რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებასა და მცირე თეატრს შორის... არაერთხელ მოსულა ჩვენი საზოგადოება თავისი ჭეშმარიტი მისალმებით ამ სასახლო რუსული თეატრის სცენაზე. განსაკუთრებული სიხარულით მოვედით ჩვენ აქ დღეს, რადგან თქვენი სახით ნათლად ვხედავთ ერთ-ერთ რგოლს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მოსკოვის ამ ორ უძველეს სამხატვრო დაწესებულებას... თქვენ ხართ მწერალი და მსახიობი... თქვენი ძალები, ტალა-

4 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 30 ოქტომბერი.

ნტი განაწილებულია დრამასა და სცენას შორის. თქვენ ერთიც და მეორეც გაამდიდრეთ შესანიშნავი სახეებით“.

ადრესში აღნიშნული იყო ის, რომ იუჟინი დაეხმარა მცირე თეატრს განეახლებინა რეპერტუარი მსოფლიო ლიტერატურის შედეგების დადგმით. მისი ინიციატივით „მცირე თეატრის სცენას დაუბრუნდა შილერისა და ჰიუგოს გმირული და თავისუფალი იდეალების გამომხატველი სპექტაკლები, რომლებიც უკვე დავიწყებული ჰქონდა რუსულ თეატრალურ მაყურებელს.

ამგვარად, მწერალი ეხმარებოდა მსახიობს და მეგობრული ძალებით აღსავსე მიაბიჯებდა მასთან ხელიხელჩაკიდებული. თქვენ სიტყვიერებას ემსახურებოდით არა მარტო როგორც დრამატურგი, არამედ როგორც მსახიობიც და საზოგადოება... თავის სასიამოვნო მოვალეობად თვლის მოგესალმით დღეს თქვენ, ამ ორი მონათესავე ხელოვნების ნიჭიერ მსახურს“.⁵

შემდეგ ლიტერატურულ-მხატვრული წრის ადრესი წაიკითხა ამ წრის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ს. ა. ივანცოვმა. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურულ-მხატვრული წრის თავმჯდომარე თვით იუბილარი ა. სუმბათაშვილი იყო. ადრესში ეწერა: „ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო მოგონებე-

ბია“ — უთქვამს უდიდეს პოეტ-მოაზროვნეს. არის წუთები, დესაც განსაკუთრებული ღვაწლით ლავრით მუშაობს გონება და აცოცხლებს ძველ, შესანიშნავ განცდებს... ასეთი წუთებისაგან შესდგება დღევანდელი საღამოც. თქვენი საიუბილეო ზეიმის საღამო... მან გამოაღვიძა წარსული საღამოების სიხარული, როდესაც ამავე, ძველ, მაგრამ ჩვენთვის ყველასათვის საყვარელ მცირე თეატრში დუღდა რომანტიული დრამის გმირთა დიადი გრძნობები, როდესაც იუჟინის სახით ჩვენ უდიდესსა და უმშვენიერესზე გვესაუბრებოდნენ შილერი და ჰიუგო. ამ სახელოვანი ბრწყინვალეობით გაცისკროვნებული თეატრალური სცენიდან გვესმოდა მარკიზ პოზას, ეგმონტისა და დიუნუას, კარლოსისა და რუი ბლანზის სიტყვები, ადამიანის სულის დიდებულ ტრაგედიულ სურათებს შლიდნენ შექსპირის გმირები“. ადრესში ნათქვამია, რომ ლიტერატურულ - სამხატვრო წრეში გაერთიანებული სხვადასხვა სამხატვრო პროფესიის ადამიანები, მიუხედავად განსხვავებული იდეური მრწამსისა, ერთ რამეში ეთანხმებიან ერთმანეთს: მათ აახლოებს და ანათესავებს თაყვანისცემა იმ ბუნებით შეუცნობელი ძალების წინაშე, რომელნიც მბრძანებლობენ გრძნობებსა და ოცნებებზე. ამ დიად იდეალებს ემსახურებოდა ა. სუმბათაშვილი. ამიტომ „...ამ ადრესს ხელს აწერს ლიტერატურულ-სამხატვ-

5 «ЦГЛИИ СССР, Ф. 878, ОП. 1, ед/х. 136, лл. 86—87 (об)»

რო წრის უკლებლივ ყველა წევ-
რი. იგი ნაკარნახევია სიყვარულის
გრძნობით, შესანიშნავი ნიჭის მა-
ტარებელი, დიდი და კეთილშობი-
ლი მშრომელი ადამიანის მიმართ.
ნაკარნახევია თქვენდამი მეგობ-
რული, მხურვალე მადლიერების
გრძნობით; ძვირფასო ალექსანდ-
რე ივანეც ძეგ⁶.

აღნიშნულ ადრესს პირველი
აწერდა ხელს რუსეთის უდიდესი
მწერალი ლევ ნიკოლოზის ძე
ტოლსტოი. ეს პირველი შემთხვე-
ვა იყო. როდესაც ლ. ნ. ტოლს-
ტოი ხელს აწერდა კოლექტიურ
მიმართვას. ბუნებრივია, მისი ხე-
ლმოწერა ამ მისაღწევაზე იუბი-
ლარისათვის ყველაზე უფრო
ძვირფასი საჩუქარი იყო.

ადრესი იღო ძველ რუსულ,
მხატვრული მანერით შესრულე-
ბულ პაექტში, რომელიც ლამაზ
სტილში შესრულებული ძვირფა-
სი ლითონის სამკაულებით იყო
მორთული. ადრესის გარდა წრემ
თავის თავმჯდომარეს მიართვა
ვიქტორ პიუგოს ბიუსტი, მწერ-
ლისა, რომელიც გატაცებით უყ-
ვარდა ა. ი. იუჟინს. ბიუსტი იუ-
ბილესათვის მოამზადა ცნობილმა
ფრანგმა მოქანდაკემ ა. როდენმა.

წრის დირექციამ იუჟინს მიარ-
თვა ორიგინალური საჩუქარი —
იუბილარის ყველაზე უფრო საყ-
ვარელი რუსი მწერლის ლ. ნ.
ტოლსტოის თხზულებათა კრებუ-
ლი. აქ შეკრებილი იყო ყველა-

ფერი, რაც დაწერილი ჰქონდა
ლევ ტოლსტოის რუსეთში და
ზღვარგარეთ გამოცემულ მის
შურობის ჩათვლით. ასევე
კრებული იშვიათ სიმიდრეს
წარმოადგენდა. პირველ ტომს
ლევ ტოლსტოის წარწერა ამკობ-
და: ეს ტომი ჩაღებული იყო ვერ-
ცხლით გაწყობილ შესანიშნავ ყუ-
თში, რომლის თავსახურის შიდა
მხარეს ამშვენებდა წრის დირექ-
ციის ყველა წევრის ხელმოწერათა
დაქსიმილეს გრავიურა.

როდესაც გამოაცხადეს, რომ
ალექსანდრე ივანეს მისათვის მი-
სართმევ წიგნზე ხელი მოაწერა
თვით ლევ ტოლსტოიმ. აღელვე-
ბულმა იუბილარმა სახეზე ხელი
აიფარა. მაშინ კი, როცა მას გადა-
სცეს ყუთი ტომით, რომელსაც
ამშვენებდა უდიდესი მწერლის
ავტოგრაფი, იუჟინი ემთხვია მას.

ეს იყო ზეიმის ყველაზე უფრო
ამაღლებელი მომენტი.

ლიტერატურულ - მხატვრული
წრის შემდგვ იუბილარს მიესალმ-
ნენ მოხუც მსახიობთა საზოგადო-
ების, მოსკოვის კონსერვატორიის,
ფილარმონიული საზოგადოებისა
და სასწავლებლის (რომლის პრო-
ფესორი იყო იუბილარი) წარმო-
მადგენლები. მანამდე დრამატიულ
მწერალთა სახელით იუბილარს
მიათვევს ადრესი და ოქროს გვი-
რგვინი. პეტერბურგის საიმპერა-
ტორო ალექსანდრეს თეატრის სა-
ხელით საჩუქარი გადასცა მას
ცნობილმა ტრაგიკოსმა ფ. ა. გო-
რეცმა. დიდი თეატრის ოპერისა
და ბალეტის დასებმა იუბილარს

⁶ იქვე.

ადრესთან ერთად მიართვეს ოქროს ქნარი და ვერცხლის გვირგვინი.

ა. სუმბათაშვილი ამ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული დრამატურგი იყო რუსეთში, განსაკუთრებით — პროვინციაში, სადაც თეატრების სეზონები, როგორც წესი, მისი პიესებით იხსნებოდა. იუჟინისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით არის გამსჭვალული პროვინციული თეატრების ადრესი, რომელსაც ხელს აწერდა 1200-ზე მეტი მსახიობი. ადრესში ნათქვამია: „დღეს მოსკოვი და მასთან ერთად მთელი თეატრალური რუსეთი ზეიმობს საიმპერატორო თეატრებში თქვენი მოღვაწეობის ოცდამეხუთე წლისთავს. 25 წლის მანძილზე თქვენ წმინდად იცავდით კემშარიტი ხელოვნების საუკეთესო მონაპოვარს, რომელიც მოსკოვის მცირე თეატრის დროშაზე აღბეჭდეს თქვენმა სახელოვანმა წინაპრებმა... რუსული ხელოვნება ამაყობს თქვენით, როგორც გამოჩენილი არტისტითა და ამავე დროს დიდი დრამატურგით... ჩვენ, თქვენი პროვინციელი ამხანაგები ხელოვნების დარგში, ბედნიერი ვართ იმით, რომ თქვენი ნიჭის ძალა არაერთხელ გამოვლინდა პროვინციული თეატრის უბრალო ჩარჩოებშიც. ბევრ ჩვენთაგანს ხვდა წილად ბედნიერება გამოსულიყო თქვენთან ერთად სცენაზე... ვსარგებლობთ შემთხვევით, გამოვხატოთ თქვენს წინაშე ჩვენი მხუ-

რვალე სურვილი: დაე, თქვენმა საუკეთესო მისწრაფებებმა, თქვენმა წმინდა იდეალებმა, თქვენმა შემდგომი განხორციელების შესაძლებლობებმა მოიპოვონ. რუსული თეატრი კიდევ დიდხანს გველეზოდეთ თავს, როგორც ხელოვნების პატიოსან და დაუღალავ მსახურს. იცოცხლეთ მრავალ წელს და ასევე წმინდად მიიტანეთ ხელოვნების საკურთხეველზე თქვენი ნათელი ნიჭი და მჩქეფარე ენერგია, რომლებსაც ვერაფერი დააკლეს თავისი შეუბრალებელი ხელით ვერც დრომ და ვერც წლოვანებამ.

ხანგრძლივი სიცოცხლე და დიდება მსცოვან იუბილარს!..”⁷

ამის შემდეგ იუბილარს მიართვეს გვირგვინი კომისარჟევსკაიას თეატრისაგან: გვირგვინითა და მისალმებით მოვიდა სუვორინის თეატრი. შემდეგ იუჟინს ადრესით და საჩუქრებით მიესალმნენ ლიტერატურულ - სამხატვრო წრის წარმომადგენლები და მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები.

სცენაზე გამოდის ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი სტუდენტების დიდი ჯგუფი. ესენი მოსკოვის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წარმომადგენლები არიან. მისალმება დაწერილია ლექსის ფორმით, სადაც ნათქვამია იმის შესახებ, რომ საქართველოს მაღალი თოვლიანი მწვერვალები და ნაცრისფერი კლდეები, მშობლიური ქვეყნის

აზვირთებული მდინარეები სა-
ლამს უძღვნიან თავის მშვენიერ
და საყვარელ შვილს, რომელმაც
ძმობის კავშირით შეკრა ორი ხა-
ლხის ურღვევი მეგობრობა.

უღვევ ნაკადად მოედინება სა-
ჩუქრები, გვირგვინები, სხვათა
შორის, საჩუქრებს შორის იყო
ვერცხლის ლარნაკი, ბრინჯაოს ქა-
ნდაკება, მარმარილოსაგან გამოკ-
ვეთილი ქალის თავი და ა. შ.

სცენაზე კვლავ ქართველთა
ჯგუფია. იუბილარს მოსკოვის ქა-
რთველთა საზოგადოების ადრესს
უკითხავს კ. მაყაშვილი.

დაბოლოს, ქართველ სტუდენტებს სცენაზე გამოაქვთ დიდი
ილია ჭავჭავაძის სურათი. ილიამ
30 წლის წინათ ამოიცნო ა. სუმ-
ბათაშვილის ნიჭი და სასახელო
მომავალი. დარბაზში გაისმის ტა-
ში. ა. სუმბათაშვილი უახლოვდე-
ბა ქართველ სტუდენტთა ჯგუფს.
მაგრად ართმევს მათ ხელს და შე-
მდეგ მიემართება ავანსცენისაკენ.

დარბაზში სიჩუმე ისადგურებს.
ა. სუმბათაშვილი საპასუხო, სამა-
დლობელო სიტყვის სათქმელად
ემზადება. ზედმეტი მღელვარები-
საგან იგი რამდენჯერმე იმეორებს
სიტყვებს „ოტელოს“ სცენიდან:
„მე არ მეხერხება სიტყვა. მე არ
მეხერხება...“

ა. სუმბათაშვილი მიმართავს
საზოგადოებას. იგი ამბობს, რომ
ეს დღე უბედნიერესია მის სიცო-
ცხლეში, თუმცა მან კარგად იცის,
რომ მიიღო ასჯერ უფრო მეტი,
ვიდრე დაიმსახურა. იგი მოუბრუ-
ნდება სცენაზე მცირე თეატრის

მსახიობებს და განაგრძობს. 
ყოველივე ამას იგი უმჯობეს
მცირე თეატრის სცენას, უმჯობეს
თეატრის მსახიობებს, მის საუკე-
თესო ამხანაგებს, რომელთა ხელ-
მძღვანელობითა და დახმარებით
განვლო მთელი სცენური გზა: „მე
ვაკეთებდი, რაც შემეძლო, და სი-
ტყვას ვიძლევი, კვლავ გავაკეთებ,
რასაც შევძლებ“. იგი თავს ხრის
დარბაზის, მოსკოვისა და მთელი
რუსეთის წინაშე. დარბაზში გაი-
სმის მხურვალე ტაში, ყველა ფეხ-
ზე დგება, გაისმის შეძახილები
საყვარელი მსახიობის, დრამატუ-
რგისა და მოქალაქის პატივსაცე-
მად.

ფარდა ეშვება, მაგრამ ტაში არ
ცხრება... მადლიერმა მაყურებე-
ლმა იუბილარი ოცჯერ მაინც გა-
მოიძახა ფარდის წინ.

მეორე დღეს, 25 იანვარს, საი-
უბილეო ზეიმი გაგრძელდა მოს-
კოვის ლიტერატურულ - მხატვ-
რულ წრეში. სადაც მოეწყო დი-
დი ბანკეტი.

საგულისხმოა, რომ რამდენიმე
დღით ადრე ამავე დარბაზში ლი-
ტერატურულ - მხატვრულმა წრემ
საზეიმო შეხვედრა გაუმართა რუ-
სული თეატრის მშვენებასა და
სიამაყეს მ. ერმოლოვას. ამ საღა-
მოზე, სხვათა შორის, ცრემლმო-
რეულმა ა. სუმბათაშვილმა აღნი-
შნა, რომ ხორცს ისხამს ოცნება
მსახიობის აღიარებისა საზოგადო-
მოდვაზედ.

და აი ახლა ამ დარბაზში თავი
მოიყარა „მთელმა მოსკოვმა“, რა-
თა პატივი ეცა რუსული კულტუ-

რის დიდი მოღვაწისათვის — იუ-
ჟინისათვის. აქ იყვნენ წამყვანი
მსახიობები, მხატვრები, ჟურნა-
ლისტები, მწერლები, მუსიკოსები,
ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.
თერთმეტ საათზე მთავარი სადა-
რბაზოს კარებიდან შემოვიდნენ
ქართული კოლონიის წარმომად-
გენლები.

იუბილარსა და მის თანმხლებ
პირებს — მ. ერმოლოვას, იუბი-
ლარის მეუღლესა და დას მხურ-
ვალე ოვაციებით შეხვდნენ, ცოც-
ხალი ყვავილების თაიგულები მი-
ართვეს და ტაშის გრილით მი-
აცილეს სადარბაზო ოთახამდე, მე-
ორე სართულზე.

ბანკეტი გაიმართა ლიტერატუ-
რულ-მხატვრული წრის საკონცე-
რტო დარბაზში, რომელიც ამ
დღეს საგანგებოდ იყო მორთული,
დარბაზის ერთ-ერთ კედელს სე-
როვის მიერ შესრულებული მ.
ერმოლოვას უზარმაზარი პორტ-
რეტი ამშვენებდა. ამ პორტრეტის
ქვეშ ძირითად მაგიდასთან ისხდ-
ნენ: იუბილარი, მისი მეუღლე და
და, მ. ერმოლოვა, კ. სტანისლავ-
სკი, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, მ.
იპოლიტოვ-ივანოვი, ნ. ნიკულინა,
ო. სადოვსკაია, ა. იაბლოჩკინა, ო.
კნიპერ-ჩეხოვა, ა. ლენსკი და სხვ.
დანარჩენ მაგიდებთან თეატრის,
საზოგადოებისა და უწყებათა მი-
ხედვით ისხდნენ სხვა სტუმრები.

მისაღმებათა რიგი შესავალი
სიტყვით გახსნა ლიტერატურულ-
მხატვრული წრის წარმომადგენ-
ელმა ნ. ა. ბაქანოვმა, რომელმაც
დასასრულს იუბილარს — დრა-

მატურგს, მსახიობსა და საზოგადო
მოღვაწეს სამმაგი დაფარის
გვირგვინი მიართვა.

საზოგადო
მოღვაწე
ნ. ა. ბაქანოვი

ამის შემდეგ მცირე თეატრის
სახელით სიტყვა აიღო ა. ა. ფე-
დოტოვმა. მისი პირველი სიტყვე-
ბისთანავე მცირე თეატრის მთე-
ლი დასი მ. ერმოლოვასა და ა.
ლენსკის მეთაურობით, ფეხზე წა-
მოდგა და ისე უსმენდა მას. სიტ-
ყვაში აღინიშნა იუბილარის უდ-
იდესი დამსახურება მცირე თეატ-
რის წინაშე, მისი სწრაფვა მსოფ-
ლიო კლასიკოსთა საუკეთესო ნი-
მუშებისადმი, მისი მაღალი კულ-
ტურა და განათლება, საკუთარი
თავისა და საქმისადმი მკაცრი
დამოკიდებულება და მომთხოვნე-
ლობა, მისი ვაჟკაცური სულის-
კვეთება და კეთილშობილება. ა.
ფედოტოვმა ხაზი გაუსვა ა. იუჟი-
ნის მსოფლმხედველობის პროგ-
რესულ ხასიათს.


დიდი ინტერესი გამოიწვია სამ-
ხატვრო თეატრის ერთ-ერთი ხე-
ლმძღვანელის ვლ. ნემიროვიჩ-და-
ნჩენკოს სიტყვამ. იგი იგონებდა
თბილისის გიმნაზიაში ერთად გა-
ტარებულ წლებს, გამოთქვამდა
თაყვანისცემას იუჟინის შემოქმე-
დებისადმი, სასცენო და ლიტერა-
ტურული მოღვაწეობისადმი. გა-
ნსაკუთრებით ეფექტური იყო სი-
ტყვის ის ნაწილი, სადაც აღინიშ-
ნა, თუ რა მოუტანა მცირე თე-
ატრს ა. სუმბათაშვილის შემოქ-
მედებითა თანამეგობრობამ რუ-
სული თეატრის ისეთ ვარსკვლა-
ვებთან, როგორიცაა მ. ნ. ერმო-

ლოვა, ა. პ. ლენსკი, პ. ა. ნიკული-
ნა და ო. ო. სადოვსკაია.

ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს
სიტყვების შემდეგ წაიკითხეს რა-
მდენიმე მისასალმებელი დეპეშა,
მათ შორის მოსკოვის უნივერსი-
ტეტის რექტორის, რუსეთის პი-
რველი და მეორე სახელმწიფო
სათათბიროს თავმჯდომარეების,
მინისტრების, დეპუტატების. აღ-
სანიშნავია, რომ მოსკოვის საზო-
გადოებრივი მმართველობის დე-
პეშას, რომელსაც ხელს აწერდა
ნ. ი. გუჩკოვი, დარბაზი პროტეს-
ტით შეხვდა.

დეპეშები კვლავ სიტყვებმა
შეცალა. დიდი თეატრის მომლე-
რალთა ჯგუფმა საოცრად მაღალი
მხატვრული ოსტატობით შეას-
რულა კანტატა, რომლის ტექსტში
განდიდებული იყო ა. სუმბათაშ-
ვილი. კანტატამ საყოველთაო მო-
წონება დაიმსახურა. ყველაზე მე-
ტად მან იუბილარზე იმოქმედა.
ა. სუმბათაშვილი კანტატას დამა-
ბული უსმენდა, შემდეგ კი, როცა
დარბაზში ტაშმა იგრილა, მას
ნერვებმა უმტყუნა, ემოციები
ვერ დამალა და ცრემლები წასკ-
და.

ამის შემდეგ იყო მისასალმებე-
ლი სიტყვები, სიტყვები და
კვლავ სიტყვები. ქართველთა კო-
ლონიის სახელით ა. სუმბათაშ-
ვილს მიესალმა მოსკოვის ქარ-
თველთა საზოგადოების თავმჯდო-
მარის მოადგილე პოლკოვნიკი ივ.
თულაშვილი. შემდეგ სიტყვა აი-
ლო ქართული დრამატიული წრის
წარმომადგენელმა, რომელმაც

მოკლე მისალმების შემდეგ იუ-
ბილარს გადასცა ოქროს  ლამაზი
ქედურობაში ჩასმული  ქართულ
პოეტთა ტომი.

დიდი ყურადღებით მოისმინეს
დეპეშები თბილისის, ბაქოს, ბათ-
უმის, ქუთაისისა და სხვა ქალა-
ქების მმართველობებისაგან. რო-
დესაც გამოაქვეყნეს თბილისის
პირველი გიმნაზიის მასწავლებ-
ლებისა და მოწაფეების მისასალ-
მებელი დეპეშა, იუბილართან მო-
ვიდა აღფლავებული ვლ. ნემირო-
ვიჩ-დანჩენკო და გადაეხვია მას.
ამას მოჰყვა დეპეშები რუსეთის
სხვადასხვა ქალაქებში არსებულ
ქართველ სტუდენტთა სათვისტო-
მოებისაგან.

რიაზანის თეატრის რეჟისორი
ალექსეევ - მესხიშვილი დეპეშაში
იუბილარს თავის „დიდ მასწავ-
ლებელს“ უწოდებდა. პეტერბურ-
გიდან პროფესორი ცაგარელი ას-
ეთი დეპეშით ულოცავდა იუბი-
ლარს: „ვამაყობთ თქვენით. თანა-
მემამულეები“.

განსაკუთრებული წარმატება
ხვდა წილად ქართველ მსახიობ
კ. მესხს. წინაღობით მცირე თეატ-
რში მის მიერ წარმოთქმული
ბრწყინვალე სიტყვის შთაბეჭდი-
ლება იმდენად დიდი იყო, რომ
როცა მან სიტყვა მოითხოვა, და-
რბაზი გაინაბა. კ. მესხი ადგა, რა-
მდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, მი-
უახლოვდა მთავარ მაგიდას, ღრმა
პატივისცემითა და მოკრძალებით
თავი დახარა მ. ერმოლოვს წინა-
შე და საოცარი მგზნებარებით წა-
როთქვა: „როდესაც მოვემგზავ-

რებოდი საქართველოდან ამ შესანიშნავი ქართველის იუბილეზე, ქართველმა ხალხმა მიბრძანა: „თუ მოსკოვში შენ შეხვდები დიდ მარიამ ნიკოლოზის ასულს (ერმოლოვას — დ. ჩ.), უთხარი, თუ მისდამი რა უდიდესი სიყვარულით ძეგრს მთელი საქართველოს გული, რადგანაც მან პირველმა, უდიდესი შთაგონებული ტალანტით და საოცარი მომხიბვლელობით განასახიერა რუსულ სცენაზე ქართველი დედის მწუხარება. მან, სცენის დედოფალმა, დაიფერფლა თავისი გული საქართველოს დედოფლის ავბედობით“. კ. მესხის ეს სიტყვები, რომლებიც მომჯადოებელი ძალით გაისმა, მჭუხარე ოვაციამ დაფარა. აღელვებული მ. ერმოლოვა ფეხზე წამოდგა და მადლიერების ნიშნად თავი დახარა.

ეს იყო აუწყრელი სიხარულის წუთები, ქართველი და რუსი ხალხის უსაზღვრო მეგობრობისა და სიყვარულის დემონსტრაცია, გამოხატულება ქართველი ხალხის უდიდესი მადლიერებისა დიდი რუსული კულტურის მიმართ.

ტაში არ ნელდებოდა... მაშინ ა. სუმბათაშვილი წამოდგა, ხელი ასწია, რითაც ყურადღება ითხოვა, და წუთიერი პაუზის შემდეგ, ბრძანების ტონით, თუმცა აღელვებულმა, ოდნავ გატეხილი ხმით, მაგრამ საოცარი გულწრფელობით მიმართა კოტე მესხს:

„ — გადაეცი საქართველოს, რომ თუ გუშინ, როდესაც შენ ჩამომიტანე მისი სალამი, მე მზად

ვიყავი დამეკოცნა ჩემი სამშობლოს ძვირფასი მიწა, დღეს, როდესაც შენ აქ მოიტანე მისი მადლიერებისა და სიყვარულის სიტყვები ამ დიდი რუსი მსახიობი ქალის მიმართ, მე მზად ვარ ეს მიწა ჩემი საკუთარი სისხლით მოვრწყვა“.

კვლავ იქუხა ტაშმა, შემდეგ იმ მხრიდან, სადაც კ. მესხი და ქართული კოლონიის წარმომადგენლები ისხდნენ, გაისმა ქართული „მრავალყამიერი“.

საინტერესო იყო ცნობილი ანტრეპრენიორის ნიკულის სიტყვა. იგი პროვინციული თეატრების სახელით მიესალმა იუბილარს და აღნიშნა, რა მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა და ცხოვრება მსახიობებს პროვინციაში. „პროვინციაში შემოქმედებითი შრომის ამ მძიმე გზაზე, — თქვა ნიკულისმა, — ჩაუქრობელ ჩირაღდნად ანთია მცირე თეატრი, ხოლო თეატრში — სუმბათაშვილი იუჟინის ტალანტი“.

მღელვარე იყო ა. სუმბათაშვილის საპასუხო სიტყვა. მან სთხოვა ნიკულისს გადაეცა რუსეთის თეატრალური პროვინციისათვის თავისი უსაზღვრო მადლობა, უდიდესი პატივისცემა მსახიობის პატიოსანი შრომისათვის. „არ არის იმაზე დიდი ბედნიერება, — თქვა მან, — ვიდრე ბედნიერება სცენიდან ემსახურო ხალხს, იყო მსახიობი, რა რიგ მცირე და შეუმჩნეველიც არ უნდა იყოს შენი როლი. ამიტომაც, რომ მომეცა თუ არა შესაძლებლობა, მე უყოყმა-

ნოდ გავხდი მსახიობი. და ვერ წარმომიდგენია ამაზე უფრო ძვირფასი საქმე. მე მსახიობი ვარ და გადაეცით მათ, რომ მსახიობი დავრჩები“.

ლამის ოთხ საათზე საზეიმო ბანკეტი დასასრულს მიუახლოვდა. ჯერი იუბილარის საბოლოო სიტყვაზე მიდგა. ასეთი სიტყვის თქმა კი მეტად ძნელი იყო, რადგანაც ა. სუმბათაშვილი ამისათვის საგანგებოდ მომზადებული არ ყოფილა. ზეიმმა მრავალი მოგონება, მრავალი გრძნობა, ფიქრი და აზრი აღუძრა იუბილარს. ყოველივე ამის თავმოყრა, ერთბაშად გააზრება იოლი როდი იყო.

ა. სუმბათაშვილმა თქვა, რომ იგი ცდილობს საკუთარ თავს მიინც აუხსნას, თუ რატომ მოუწყვეს მას ასეთი ბრწყინვალე ზეიმი. რატომ გახდა იგი ღირსი ასეთი დიდი ჯილდოსი და აქ, თქვა იუბილარმა, — მე ვნახე ახსნა: მოსკოვის საზოგადოებრიობა მიესალმა არა ა. სუმბათაშვილს, თავის სიყვარულს ჟღერებს არა იუჟინს, არამედ საერთოდ მსახიობს, თეატრალურ ხელოვნებას, როგორც ცხოვრების უმაღლეს სინთეზს, როგორც ცხოვრების ანარეკლს, იმ ხელოვნებას, რომელსაც ცხოვრებაში შემოაქვს უმშვენიერესი გრძნობები, უკეთილშობილესი აზრები. ამის შემდეგ მან ილაპარაკა ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის დაწინაურებაზე, მის უკეთილშობილეს ვალდებულებაზე ხალხის წინაშე. ყოველი ადამიანი, — თქვა

მან, — ჰიმნს უნდა უმღეროდეს სიცოცხლეს, იყოს მისი საბოლოო გეტი: „სიცოცხლის მოყვარული“ და არის წყარო ყველა წარმატებისა, ყოველივე იმისა, რაც მე გავაკეთე“. შემდეგ იუჟინმა აღნიშნა, რომ „მსახიობი არის არა „გამართობი“, არამედ საზოგადო მოღვაწე“. იგი ამაყობს იმით, რომ ხალხი მაღალ გვირგვინს ადგამს თეატრს — ხელოვნებისა და კულტურის ქემშირით და ამ მაღალ კერას. „და უდიდესი სიამაყე ჩემი, — თქვა ა. სუმბათაშვილმა, — არის ის, რომ მე მსახიობი ვარ“.

სუმბათაშვილის სიტყვებმა, როგორც საბოლოო აკორდმა, ისე დაამშვენა ეს დიდი ზეიმი. ბანკეტის დასასრულს, ა. სუმბათაშვილის თხოვნით მისასალმებელი დებეშები გაეგზავნათ მცირე თეატრის ბრწყინვალე მსახიობ ქალებს — გ. ნ. ფედოტოვასა და ე. კ. ლეშკოვსკაიას, რომლებიც ავადმყოფობის გამო ვერ დებულობდნენ მონაწილეობას მეგობრის ზეიმში.

იუბილეს დღეებში ა. სუმბათაშვილი განსაკუთრებით გაახარა ქართული საზოგადოებრიობის, მთელი ქართველი ხალხის ყურადღებამ. ეს კარგად ჩანს წერილში, რომელიც მან მოსკოვის ქართველთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ივანე თულაშვილს გაუგზავნა: „თქვენ, — სწერდა ა. სუმბათაშვილი, — როგორც მოსკოვის ქართველთა საზოგადოების ორგანიზატორსა და თავმჯდომარის მოადგილეს,

მოგმართავთ მხურვალე, ნათესა-
ური, ძმური სიყვარულით და მა-
ღლობით, მხურვალე საბასუხო
საღმით იმის გამო, რაც „ჩვენე-
ბისაგან“ მე ამ ჩემთვის დიდ დღე-
ებში მხვდა წილად. თბილისიდან
ჩემთან გამოგზავნეს ძვირფასი კო-
ტე მესხი, რომელიც 24 იანვარს
მცირე თეატრში და 25-ში ლიტე-
რატურულ - სამხატვრო წრეში
იყო ჩვენსა და ჩვენს საყვარელ
მამულ-დედულის შორის ცოცხა-
ლი კავშირის განმსახიერებლად,
ცოცხალ კვანძად, ცოცხალ ხმად.
ეს ხმა ჩვენი ძვირფასი კუთხეუ-
ლი საქართველოდან მოგვაწოდა
არა მარტო მე, არამედ ყველა ჩვე-
ნგანს. მე ჩემს თავს თქვენგან არ
ვაცალკავებ. მე ვიცი, თუ სამშო-
ბლოსადმი და ერთმანეთისადმი
რა ღრმა სიყვარულით ვართ ჩვენ
გაერთიანებული და რა ბედნიე-
რება იყო ყველა ჩვენთვის ამ ცო-
ცხალი საღმის გაგონება. ვიმეო-
რებ იმას, რაც ვუთხარი ჩვენს კო-
ტეს — „ვკოცნი ძვირფას სამშო-
ბლოს მიწას, სისხლით ვარ დაკავ-
შირებული ყოველ მის სიხარულ-
თან, ყოველ მის ტანჯვასთან“. და
ყველა ჩვენთაგანისათვის, რომ-
ლებიც ამ სიყვარულით ვართ გა-
ერთიანებულნი, ვფიქრობ, გასა-
გებია რა ბედნიერება და სიამაყე
იყო, მეგრძნო ამ დღეებში, რომ
ქართველი ვარ, რომ ჩემი დედა-
საქართველოსაგან მივიღე დალო-
ცვა, აჟ, სადაც ვმუშაობ და სადაც
არც ერთი წუთით არ დამვიწყე-
ბია, თუ რომელმა ქვეყანამ გაათ-
ბო თავისი მზით თავისი შვილის

სიყრმის ოცნებანი. ყველაფერს
ვერ ვიტყვი. ჩემი ყოველი ნაწი-
კანკალებს და ცრემლიც ^{მეჩვენება}
ცრემლს კი ჩვეული არა ვარ. დღე
თქვენმა კეთილშობილმა გულზე-
მა, ძვირფასო ძმებო, დაამთავრონ
სიტყვით ის, რის თქმაც მე უკვე
არ შემწევს. თქვენი მოყვარული
და მადლობელი ა. სუმბათაშვი-
ლი“.⁸

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა
როდენის მიერ შექმნილ ვ. ჰიუ-
გოს ბრინჯაოს პორტრეტზე, რო-
მელიც იუბილარს მიართვეს.

როგორც ცნობილია, როდენი
დიდი ხნის განმავლობაში ოცნე-
ბობდა ვ. ჰიუგოს პორტრეტის
შექმნაზე. დიდ რომანისტსა და
ახალგაზრდა მოქანდაკეს შორის
მეგობრული ურთიერთობა დამ-
ყარდა. მაგრამ, მიუხედავად ამი-
სა, ვ. ჰიუგომ კატეგორიულად
უარყო როდენის წინადადება ნა-
ტურიდან პორტრეტის შექმნის
შესახებ, მაშინ როდენმა სხვა
ხერხს მიმართა — მასთან ყოვე-
ლი შეხვედრის დროს აკეთებდა
მწერლის პორტრეტულ ჩანახა-
ტებს. და როდესაც ასეთი ჩანახა-
ტები საკმაო რაოდენობით დააგ-
როვდა, შეუდგა მის მოდელირე-
ბას.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც
ვ. ჰიუგო მეგობრებთან საუბრობ-
და, როდენი მოულოდნელად შე-
იჭრა მასთან ოთახში შტატივითა
და თიხით სავსე ვედროთი. რო-
დენი შევარდებოდა ხოლმე სას-

⁸ საქართველოს სსრ სათეატრო მუზე-
უმი, ფონდი 1, № 2158.

ტუმრო ოთახში, ყურადღებით აკვირდებოდა ვ. ჰიუგოს, იმახსოვრებდა მისი სახის ნაკეთებს, შემდგომ გამოვლიდა აივანზე და მოდელში შესწორებები შეჰქონდა. „მაგრამ, — წერდა შემდგომ როდენი. — ხშირად, სანამ დაზგასთან მივირბენდი, ჩემი შთაბეჭდილებები იმდენად სუსტდებოდა, რომ ვერც კი ვახერხებდი რაიმე გამეკეთებინა და იძულებული ვხდებოდი ხელმეორედ მოვბრუნებულიყავი სასტუმრო ოთახში“. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, როდენი იმდენად გატაცებული იყო თავისი იდეით, რომ სულ მალე შექმნა დიდი რომანისტი სთამაგონებელი პორტრეტი, რომელმაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. ცნობილია, რომ ავტორმა 1897 წელს ბრინჯაოში ჩამოსახა ჰიუგოს პორტრეტის რამდენიმე ორიგინალი. მანამდე, 1883 წელს როდენმა მარმარილოში შესრულა ვ. ჰიუგოს პორტრეტი.

ცნობილი ქართველი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, რომელიც 1906-1907 წლებში როდენის სახელოსნოში მუშაობდა და სწავლობდა, თავის მოგონებებში წერდა, რომ ამ პერიოდში როდენი ბევრ დაკვეთას ღებულობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ერთ-ერთი ასეთი დაკვეთა რუსეთიდანაც მოვიდა. ეს იყო ა. სუმბათაშვილი-იუჟინის საიუბილეო კომიტეტის დაკვეთა ვ. ჰიუგოს ცნობილ ბრინჯაოს პორტრეტზე. ამ დღეებში

რუსული გაზეთი „თეატრი“ წერდა: „როცა როდენმა გაიგო, რომ ბიუსტი განკუთვნილია დიდმოღვაწე ლი რუსი მსახიობის ა. იუჟინისათვის, რომელიც საფრანგეთში ცნობილი იყო, როგორც ჰიუგოს პროპაგანდისტი და ინტერპრეტატორი, დიდი მონდომებით შეუდგა ასეთი საპატიო შეკვეთის შესრულებას. ბიუსტი საუცხოოზე საუცხოოა, გაკეთებულია მთელი ნიჭიერებითა და ოსტატობით“.⁹

აღსანიშნავია, რომ როდენს ჰიუგოს პორტრეტი შესრულებული ჰქონდა ჯერ კიდევ 1897 წელს. მას შეეძლო რუსეთში გაეგზავნა მისი ასლი, მაგრამ ასეთი ნაწარმოები მან არ შეჰკადრა დიდ მსახიობს. როდენმა შექმნა ჰიუგოს ახალი ბიუსტი, რომელიც თავისი მხატვრული ღირსებებით პირველ ვარიანტზე ბევრად მაღლა იდგა. სწორედ ეს ნაწარმოები გადაეცა აღ. სუმბათაშვილს საჩუქრად საიუბილეო საღამოზე.

აღ. სუმბათაშვილი დიდად აფასებდა ფრანგი მოქანდაკის ამ შედეგს; იგი მის სასტუმრო ოთახში იდგა. სამწუხაროდ, დიდი მსახიობის გარდაცვალების შემდეგ ბიუსტი დაიკარგა. 40 წლის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდნენ მას. და აი, 1973 წლის დასაწყისში მას შემთხვევით მიაგნო პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმის თანამშრო-

9 „ლიტერატურული საქართველო“, 1970 წლის 17 ივნისი.

მელმა სოფიო დიმიტრის ასულმა რომანოვიჩმა მცირე თეატრის მუზეუმის დაუმუშავებელ ფონდებში.¹⁰ როგორც გამოიკვა, ალ. სუმბათაშვილის სიკვდილის შემდეგ ეს ბიუსტი მუზეუმს საჩუქრად გადასცა დიდი მსახიობის დისშვილმა მ. ა. ბოგულსლავსკა-

იამ. ბიუსტს, რომელზეც  ამოკვეთილია როდენის სახელი, დაქუთული აქვს თიბერის ფურცელი. იუბილეო კომიტეტის სამახსოვრო წარწერით. ამჟამად იგი დაცულია მოსკოვის პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში.

10 „პრაქტა“, 26 აპრილი, 1973 წ.

ღევეან კადანდრაიშვილი

ქართული სოფლები აფრიკაში?

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ 1972 წლის 21 ივნისის ნომერში (143) გამოქვეყნდა დ. ფაშტიანის წერილი „საიდან მოხედნენ აფრიკაში?“ ავტორი ეხება. გაზეთ „სამშობლოს“ 1971 წლის 10 სექტემბრის ნომერში (17) დაბეჭდილ მიხეილ მამულაშვილის სტატიას „აფრიკელი ქანუყვარ-გუგუნარები“, რომელიც ემყარება სხვადასხვა პირთა ზეპირ გადმოცემებს. ალბათ, სათანადო მასალების უქონლობის გამო მ. მამულაშვილს არ უცდია აეხსნა, როგორ გაჩნდა ქართული დასახლებანი აფრიკაში. სწორედ ამიტომ სავსებით ლოგიკურია დ. ფაშტიანის კითხვა და შევეცდებით მოკლედ გავცეთ მას პასუხი.

ერთ-ერთი სამეცნიერო მივლინების დროს მოვიძიეთ საინტერესო ცნობები თურქი დამპყრობლების მიერ მე-18 და მე-19 საუკუნეებში, მესხეთიდან და აჭარიდან თურქეთის იმპერიის სხვადასხვა პროვინციებში ქართველთა მასიური გასახლების შესახებ.

სანამ უშუალოდ ქართველების გასახლებას შევხებოდეთ, აუცილებელია ზოგი რამ გავიხსენოთ. მე-16 საუკუნის დასაწყისიდან თურქებმა დაიმორჩილეს თითქმის მთელი არაბული სამყარო და შექმნეს ძლიერი სამხედრო იმპერია,

რომელიც გადაჭიმული იყო სპარსეთის ყურედან დასავლეთით მაროკომდე. ჩრდილო აფრიკა თითქმის მთლიანად თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა. დაახლოებით იმავე პერიოდში თურქების გავლენა გავრცელდა დასავლეთ საქართველოზე. უფრო მტკიცედ მათ ფეხი მოიკიდეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარასა და მესხეთში. მე-16 საუკუნიდან თურქეთის იმპერიის ფარგლებში შევიდა ბალკანეთი. იმავე პერიოდში თურქი იანიჩრები გამოჩნდნენ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე და ყუბანის ველებში. მე-17 საუკუნისათვის თურქეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა უზარმაზარი ტერიტორია, დასახლებული სხვადასხვა რწმენისა და ეროვნების მოსახლეობით.

თურქეთის მმართველი წრეები ყოველმხრივ ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მე-17 საუკუნიდან რღვევის გზაზე მდგარი სახელმწიფოს მთლიანობა. განსაკუთრებით საშიში იყო „დაუმორჩილებელი გურჯების“ ხშირი, ხანგრძლივი სახალხო აჯანყებები, რომლებიც, კერძოდ აჭარაში, თურქების მმართველობის დასასრულამდე არ წყდებოდა. ამიტომ დამპყრობლები პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ცდილობდნენ, ქართ-

ველები სამშობლოდან გასახლებინათ იმპერიის შორეულ პროვინციებში.

აჭარიდან და მესხეთიდან ქართველების პირველი მასობრივი გასახლება მოხდა 1740 წელს, მეორე — 1752 წელს.¹ თურქებს ქართველები დაუსახლებიათ ლიბანში, ქ. ბეირუთთან ახლოს, საიდანაც უმრავლესობა შემდეგ სხვადასხვა მიზეზის გამო ჩრდილო აფრიკაში, კერძოდ, ეგვიპტეში, ტუნისში და ალჟირში გადასახლებულა. 1900 წელს „ქობულეთელი კაიკაციშვილი“² ქ. ბეირუთში შეხვედრია ლიბანში მცხოვრებ ქართველებს, რომლებსაც მისთვის უთქვამთ, ქ. ბეირუთში და მის გარეუბნებში 100 ქართული ოჯახი სახლობსო, ხოლო აფრიკაში აქედან და თურქეთიდან ძალიან ბევრი ქართველი წავიდა საცხოვრებლად.³

დამპყრობლები გასახლებული ქართველების ადგილ-მამულზე თურქული წარმოშობის ხალხს ასახლებდნენ. ასეთი ხერხით ისინი ცდილობდნენ გაეტეხათ ქართველობა და საბოლოოდ მოეწაღებინათ ნიადაგი მისი ასიმილაციისათვის.

1813 წელს ამ მიზნით თურქებმა, უკვე მერამდენეჯერ, დაიწყეს მესხეთის სოფლებიდან მოსახლეობის მორიგი, ძალდატანებითი, მასობრივი გასახლება. გასახლებული ქართველების აყვავებულ ადგილ-მამულზე მათ ქურთები დაასახლეს. მაგალითად: სოფელ რუსთავიდან გასახლეს ქართველების 60 კომლი და ამდენივე ქურთის ოჯახი ჩაასახლეს მზა-

ზარეულ ადგილ-მამულში; აწყვეტიან — 100 ოჯახი, უდედან — 50, გარეუბნში — 30, ზოგილიდან — 20, სხვადასხვა — 35, ორჭიოლოდან — 20, ინდურბიდან — 10 და ა. შ.

მესხეთიდან და აჭარიდან თურქეთში გასახლებულ ქართველებს იმ პერიოდში ორბითის ხეობაში 43 ქართული სოფელი შეუქმნიათ, სადაც სახლობდა 2.524 კომლი 20.192 სულით.⁴

თურქებმა ქართველების გასახლების ნაცადი ძალმომრეობითი მეთოდი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგაც გამოიყენეს. გაზეთი „დროება“ წერდა: დერვშ-ფაშას ძალით მიყავდა ქობულეთელები ცოლშვილით თურქეთში. ზემო ქობულეთში და აყევისთავში მან 160 ცხენოსანი ჯარისკაცი გაგზავნა, რათა ძალით გამოერეკათ მცხოვრებლები და თურქეთში გაეგზავნათ. ეს ცნობილი გახდა იმ დროს ქობულეთში დაბანაკებული გრიგოლ გუტიერისათვის, რომელმაც გაგზავნა ერთი ბატალიონი ჯარი და აიძულა თურქები უკან დაეხიათ. აწიოკებული ხალხი დაუბრუნდა თავის ოჯახებს.⁵ იმავე დროს „ცოხისძირში“ თურქებს გამოუყრიათ ხალხი სახლებიდან და ძალით ჩაუყრიათ თურქეთში მიმავალ გემში.⁶ ჟურნალ „ივერიის“ ცნობით, 1878 წლის 28 აგვისტოს სოფელ ქახათში, ქობულეთის ახლოს, 24 თურქი ჯარისკაცი ცდილობდა იარაღის მუქარით, ძალით გამოერეკა მოსახლეობა სოფლიდან და თურქეთში მიმავალ გემში ჩაესხა, მაგრამ ჯარისკაცები სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ და იძულებული იყვნენ ხელცარიელი დაბრუნებულიყვნენ უკან.⁷

ამგვარად, ადგილობრივი სოფლის ლაზრები მოსახლეობა სასტიკად ეწინააღმდეგებოდა მუჰაჯირობას და ყოველმხრივ

4 იქვე; იხ. აგრეთვე ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, თბ., 1912, გვ. 107.

5 გაზ. „დროება“, № 190, 1878 წ.

6 გაზ. „დროება“, № 192, 1878 წ.

7 ჟურნალი „ივერია“, № 4, 1879 წ.

1 ქართველების გასახლება აფრიკაში. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 198, 1919 წ.

2 წყაროში სამწუხაროდ სახელი არ არის მოხსენებული. ჩვენი აზრით, გულო კაიკაციშვილი უნდა იყოს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მანამდე, 1868 წელს, 28 წლის გულომ სტამბოლს იმოგზაურა. იხ. აბ. სურგულაძე, გულო კაიკაციშვილი, თბ., 1973, გვ. 7.

3. იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 198, 1919 წ.

ცდილობდა გამოეძებნა სამშობლოში დარჩენის საშუალება. ეს კარგად ჩანს ერთ-ერთი იმდროინდელი მაქაბლელი გლეხის სიტყვებიდან: „ჩვენ ვატყუებდით ბეგებს და ხოჯა-მოლებს, რომ წაყვებოდით ოსმალეთში, მაგრამ ამასთანავე ერთად ჩვენ ვიცოდით, რომ რუსების ხელში ისინი ძველებურად ველარ შეგვაწუხებდნენ და ვცდილობდით რამენაირად დავრჩენილიყავით სამშობლოში“.⁸

მიუხედავად ამისა, ხოჯა-მოლების და ბეგების აგიტაციის და ძალდატანების შედეგად, რასაც თან დაერთო ომით გამოწვეული ეკონომიური სიძნელენი, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მუჰაჯირობა მაინც არ აცდა. სავარაუდოა, რომ 1878 წელს, ისე როგორც 1740, 1752 და 1813 წლებში, თურქებმა გასახლებულთა ნაწილი გადაისროლეს სახელმწიფოს სამხრეთ პროვინციებში, საიდანაც უკვე გზა ხსნილი იყო ჩრდილოეთ აფრიკის არაბული ქვეყნებისაკენ.

რაც შეეხება დ. ფაშტიანის მინიშნებას „მამლუქების პერიოდის“ შესახებ, სადაც სიტყვა „მუჰაჯირობა“ ქართველ ტყვეთა უცხოეთში გაყიდვით აქვს ახსნილი, არაზუსტია. მუჰაჯირობა ხალხთა გადასახლებას, მიგრაციას ნიშნავს და არა ცალკეულ, თუჯინდ ტყვეთა ჯგუფურ გაყიდვას უცხოეთში.

გარდა ამისა, მამლუქთა შთამომავლობა ვერ შექმნიდა ქართულ დასახლებებს, მითუმეტეს სოფლებს ჩრდილო აფრიკაში, ვინაიდან ქართველი მამლუქები ვზიარნენ მაჰმადიანურ სარწმუნოებას, შექ-

მნეს გაბატონებული სამხედრო-ატორიტოკრატიის ფენა და სამშობლოდან დასაერთოდ ქართულ სამყაროდან სამოღამოდ მოწყვეტილებმა მერტყვეულებმა გეს მშობლიური ენა და კულტურა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. მამლუქი საერთოდ იცავდა გაბატონებული ფენის ინტერესებს სახელმწიფოში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მამლუქები იყვნენ არა მარტო საქართველოს, არამედ იმიერ და ამიერკავკასიის, აგრეთვე თურქულ, სლავურ და ბერძნულ ენოვან ხალხთა შვილები, რაც აბათილებს ვარაუდს ჩრდილო აფრიკაში ქართული სოფლების მამლუქთა შთამომავლობიდან წარმოშობაზე. ჩვენი აზრით, თუ ჩრდილოეთ აფრიკაში ასეთი სოფლები არსებობს, სავარაუდოა, რომ ისინი ქართველი მუჰაჯირების, კერძოდ, მე-18 და მე-19 საუკუნეებში საქართველოდან გასახლებულ და ემიგრირებულ მე-სხების, აჭარლების და შესაძლოა ლაზების შთამომავლები არიან, რომლებიც ისტორიულმა ზედისუკულმართობამ, საქართველოდან გადახვეწილები არაბულ ქვეყნებში და მათ შორის ჩრდილოეთ აფრიკაშიც მიმოფანტა.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ წამოჭრილი საკითხი უაღრესად საინტერესოა. თუ ამჟამადაც დამტკიცდება ქართული დასახლებების არსებობა ჩრდილო აფრიკაში, საქართო მათი დრმა, ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა მანამ, სანამ ქართული ენა, ყოფა და კულტურა ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩვენს აფრიკელ თანამემამულეებში.

⁸ დ. წერეთელი, მაქაბელა, გაზ. „დროება“, № 198, 1878 წ.

პაპლე ჯორგენაძე

ზოგიერთი სპეციფიკის გარკვევისათვის

ჟურნალ „კოროხის“ 1974 წლის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი „ეპოქა, თეატრი, მაყურებელი“. ავტორს განზრახული ჰქონდა საერთოდ მიმოეხილა თანამედროვე თეატრის განვითარების ზოგიერთი მთავარი ტენდენცია და გამოეთქვა თავისი მოსაზრება თანამედროვე დრამის განვითარების ზოგიერთ მხარეზე. ამ წერილის საპასუხოდ გამოქვეყნდა ალ. სამსონიას რეცენზია „ერთი წერილის გამო“ („კოროხი“, 1974, № 6). რეცენზიის დასაწყისშივე ასეთი უაბელაციო განცხადებაა გაკეთებული: „წერილში ბევრი მცდარი, ზოგჯერ ჟრთიერტსაწინააღმდეგო დებულებაცაა გამოთქმული“ (ხაზგასმა ჩემია — პ. ჯ.). რეცენზია საქმოდ გაბრაზებული ტონითაა დაწერილი, რასაც, ალბათ, თავისი მიზეზი აქვს.

საქმე იმაშია, რომ წერილის ავტორი გამოდის ეგრეთწოდებული „ვისტუპლენეცების“ წინააღმდეგ, რომლებმაც „ყველაფერი იციან“, მზად არიან ხელოვნების მუშაებს მიაწოდონ „უებარი“

რეცეპტები მალალმხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად და კანონმდებლების როლშიც გამოდიან, ცდილობენ მათ მოახვიონ თავისი მოსაზრებები, რაც გარკვეულ ზიანს აყენებს ხელოვნების, კერძოდ კი თეატრალური ხელოვნების განვითარებას. თეატრის მუშაკებიც ერთობ უნდობლად ეკიდებიან მათ და სწორადაც იქცევიან.

„ვისტუპლენეცობა“ გავრცელებული მოვლენაა. ავტორიც ცდილობს გაემიჯნოს მას და არ ჰყავს მხედველობაში არავითარი ადრესატი „თუნდაც გვარის დაუსახელებლად“, როგორც ეს რეცენზენტს ჰგონია.

თუ კი წერილში ავტორი ცდილობს გაემიჯნოს „ვისტუპლენეცებს“, ამას იმიტომ აკეთებს, რომ მას განზრახული ჰქონდა დღევანდელი თეატრალური ცხოვრების ზოგადი მიმოხილვისას წამოეყენებია თავისი მოსაზრებები, წინადადებებიც კი, რაც მას „ვისტუპლენეცის“ როლში გამოსვლის საფრთხეს უქმნიდა და ამით თითქმის წინასწარ აფრ-

თხილდება მკითხველებს, განსაკუთრებით კი თეატრის მუშაებს, რომ იგი გამოდის არა „ვისტუპლენეცის“ პოზიციიდან, არამედ თეატრის ბედით დაინტერესებული მაყურებლის როლში. რამდენადაც ავტორისათვის ცნობილია, მას სწორად გაუგეს.

მგრამ მოხდა უცნაური რამ: „ვისტუპლენეცის“ ზოგიერთმა სრულიად უმართებულად გამოუნახა ადრესატი, ხოლო ალ. სამსონია შეეცადა წერილში დაეძებნა „ბევრი მცდარი“. „უერთიერთსაწინააღმდეგო დებულება“.

კინემატოგრაფია, ტელევიზია, თეატრალური დადგნები, პოოფესიული სტატიები და რეცენზიები დიდ სისარგებლო საქმეს აკეთებენ მაყურებელთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში, კინოფილმებისა და საექსტრალეების სწორ გაგებაში, შეფასებაში, მაგრამ ყოველზე ეს რომ პროფესიულ ცოდნას ვერ მისცემს „ყოვლისმცოდნე“ „ვისტუპლენეცის“, ეგეტ თავისთავად ცხადია. როგორც ცნობილია, ხელოვნების (მათ შორის დრამატურგიული ხელოვნების) ისტორიისა და თეორიის შესწავლა ათეული წლების დამატულ შრომას მოითხოვს, რაც იძლევა ხელოვნების ამა თუ იმ დარგის კანონზომიერებათა, მისი სპეციფიკის სწორი გაგების საშუალებას. სწორედ ამისთვის არსებობს სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, სპეციალური დაწესებულებანი: მონოგრაფიები, მრავალტომიანი შრომები, რომელთაც ისევე უნდა დასწავლა, როგორც სხვა ნებისმიერ მეცნიერებას. მაშასადამე, პროფესიული სტატიები და რეცენზიები მაყურებლებს, მათ შორის „ვისტუპლენეცეზაიც“ აძლევს მხოლოდ დილემანტურ ცოდნას. ამ თვალსაზრისით დილემანტიზმი საქმად დადებითი ცნებაა და არც ისეთი საგინებელი, როგორც ეს რეცენზენტს აქვს გაგებული. კერძოდ. გერმანელებს დილემანტის ცნების კარგი შესაბამისი სიტყვა აქვთ: der Halbkenner „ნახევარმცოდნე“ (ყოველ შემთხვევაში, „ნახევარმცოდნე-

ობა“ მაინც სკობს სრულ უცილობას). ე. ი. მაყურებლისათვის მის გარკვეულ ესთეტიკურ დონესთან ერთად ეს დილემანტიზმი საქმარისია, მაგრამ სახსენებო არა საქმარისი „ვისტუპლენეცისათვის“. ვისტუპლენეცეზაიც ელიც „ყოვლის მცოდნე“ უცნაურად უნდა ლის პრეტენზიით გამოდის. ე. ი. ავტორი „ვისტუპლენეცის“ ბრალს დებს დილემანტიზმში, ხოლო რეცენზენტს ავტორის სწორი მსჯელობა დაუმანინჯება და თანაც ეს ალოგიკურობა მისთვის მიუწერია. თუ კი თვით „ვისტუპლენეცე“ თავის გამოსვლებში ავლენს დილემანტიზმს, რეცენზენტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, წერს „დილემანტურ სტატიებსა და უნიჭო რეცენზიებს“, მაშინ როგორ შეიძლება ისეთი დასკვნა გაკეთებია ეტორს, როგორც ეს რეცენზენტს შეუთხზავს: „თურმე საქმარისია პროფესიული სტატიებისა და რეცენზიების ნაცვლად არაპროფესიული, დილემანტური, უნიჭო სტატიები და რეცენზიები დაიბეჭდოს და „ვისტუპლენეცე“ უმაღლეს გაქრება“.

თავის წერილში ავტორს აქვს ასეთი გამოთქმა: „ხელოვნების ისეთი პოპულარული დარგები, როგორიცაა კინემატოგრაფია, ტელედადგმები და ტელეფილმები“. რეცენზენტი ჩასჭიდებია ამ გამოთქმას და გაოცებული კითხულობს: „როდის გამოეყო კინემატოგრაფიას ხელოვნების ცალკე დარგად ტელეფილმები ან როდის გახდა ტელედადგმები ასევე ხელოვნების ცალკე დარგი“?

ჯერ ერთი, რეცენზენტს აქ აურევია ერთმანეთში ორი სხვადასხვა ცნება. ტელეფილმები და ტელედადგმები თითოეული ცალ-ცალკე ხელოვნების სხვადასხვა დარგად გაუგია და „ვერ ამჩნევს“, რომ აქ მოცემულია ორი ცნება: კინემატოგრაფია და ტელედადგმები და ტელეფილმები, ე. ი. ლაპარაკია ხელოვნების ორ დარგზე — კინემატოგრაფიისა და ტელეხელოვნებაზე, და თუ თავის წერილში ავტორს არ გამოუყენებია ტერმინი „ტელეხელოვნება“, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულ ხელოვნებათ-

მცოდნეობაში მას იგი ჯერ-ჯერობით არ შეხვედრია და ამიტომაც თავის თავზე ვერ აიღო შემოეტანა ეს ტერმინი. თანაც ავტორს არ დაუხვამს ასეთი საკითხი: შეადგენს თუ არა ტელეფილმები და ტელედადგმები ხელოვნების ცალკე დარგს.

ტელეფილმებმა და ტელედადგმებმა, ე. ი. **ტელეხელოვნებამ** დიდი ხანია მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება და გახდა თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, იქცა ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ყოველდღიურ „მექანიკურ სამომხმარებლო საშუალებად“. ეს დადგენილი და შეგნებულ აქვთ არა მარტო ხელოვნების თეორეტიკოსებს, არამედ ხელოვნების პრაქტიკოსებსაც — რეჟისორებს, რეცენზენტებს, მიმოხილველებს და სხვა.

ამავე საკითხს მიეძღვნა არა ერთი საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია თუ სტატია. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ წიგნი: Edward Fischer. The screen arts. A guide to film and television appreciation. New York, 1960.

როგორც ვხედავთ, აქ ცალ-ცალკეა განხილული ეკრანთან დაკავშირებული დარგები ხელოვნებისა: კინემატოგრაფია და ტელეხელოვნება (the screen arts). თანაც ეს წიგნი გამოქვეყნებულია 1960 წელს, ე. ი. 15 წლის წინათ.

საერთოდ ცნობილია, რომ, როცა რაიმე მეცნიერული დებულება საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული ხდება, ამის შემდეგ იგი შედის სახელმძღვანელოში, და რომ **ტელეხელოვნება** ხელოვნების ცალკე დარგია, ეს კარგადაა ნაჩვენები ისეთი ცნობილი საბჭოთა მეცნიერის წიგნში, როგორიცაა მ. ს. კაგანი (იხ. М. С. Каган, Лекции по марксистско - ленинской эстетике, Ленинград, 1971).

თუ რატომაც ტელეფილმები და ტელედადგმები (ტელესპექტაკლები) ხელოვნების ცალკე დარგი — **ტელეფილმობა**, ეს საკმაოდ გასაგებია. **ტელეფილმობა** ამ სახელმძღვანელოს 392-ე გვერდზე, საიდანაც მოვიყვანთ ვრცელ ამონაწერს:

«Художественная фотография нередко подражает живописи, а художественное телевидение — театру и киноискусству. Показательна в этом смысле даже терминология: произведения юного телеискусства мы называем то «телефильмом», то «телеспектаклем» (ხაზგასმა ჩვენია) и действительно видим обычно на голубом экране приспособленные для него спектакли и фильмы... И практики, и теоретики все более ясно ощущают, что полноценная телевизионная постановка — это не спектакль и не фильм, а нечто третье». შემდეგ კი საკმაოდ დამაჯერებლადაა ნაჩვენები, თუ რატომ განსხვავდება **ტელეფილმები** კინოფილმებისაგან, ხოლო **ტელესპექტაკლი** თეატრალური დადგმისაგან.

მამასადამე, ლაბარაკია არა ხელოვნების ახალი დარგების რომელიმე დარგიდან გამოყოფაზე, არამედ „მიბაძვაზე“, სხვა დარგის მხატვრულ-გამომსახველობითი რესურსების გამოყენებაზე. რეცენზენტის გამოთქმა კი „როდის გამოეყო კინემატოგრაფიას ხელოვნების ცალკე დარგად ტელეფილმები“, ისევე მცდარია, რომ დასვა კითხვა „როდის გამოეყო კინემატოგრაფია ფოტოგრაფიას?“ აკი ერთი უძრავი კადრი ფოტოა, მრავალი მოძრავი კადრი კი ფილმი, თანაც ორივე ძირითადად ერთსა და იმავე ტექნიკურ აღჭურვილობას იყენებს. საქმე იმაშია, რომ კინემატოგრაფია „თვისობრივად“ განსხვავდება ფოტოგრაფიისაგან და ხელოვნების ცალკე დარგს წარმოადგენს.

რეცენზენტს არ მოსწონს ხელოვნების თეორიაში, კრიტიკულ სტატიებში კინემატოგრაფიისა და ტელეხელოვნებ-

ის მიმართ გამოყენებული გამოთქმა „მექანიკური სამომხმარებლო საშუალება“, რაც, ალბათ, ხელოვნების ამ დარგებისადმი დამამცირებლად მიუჩნევია. ზერ ერთი, ეს გამოთქმა ავტორს არ ეკუთვნის. ამ შემთხვევაში იგი დაეხმარა გამორჩენილ პოლონელ რეჟისორსა და მსახიობს თადეუშ ლომონიკის (იხ. „Литературная газета“, 8 აგვისტო, 1973 წ.) ამ გამოთქმაში ნაგულისხმევია ის ხერხი, „საშუალება“ (კინოკარანი, ასევე ცისფერი ეკრანი, კინოფირის ამამოძრავებელი და გამხმოვანებელი კინოსაბროუქციო აპარატი, ე. ი. მხატვრული ნაწარმოების გამაყოცხლებელი მექანიზმი), რომლის მეშვეობით მაყურებელამდე დაჰყავთ ფიქრზე აღბეჭდილი ხელოვნების ესა თუ ის ქმნილება და მისი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, რა თქმა უნდა, განიზონება არა ამ „მექანიკური საშუალებით“, არამედ თვით ნაწარმოების იდეურ-მხატვრული დონით.

თავის სტატიაში ავტორი არ ეხება მსოფლიოს ყველა კი არა, თუნდაც რამდენიმე თეატრს, არამედ მოკლედ მოიხილავს თანამედროვე დრამის განვითარების ზოგიერთ ტენდენციას, თანამედროვე თეატრის და მაყურებლის ურთიერთმიმართების ზოგიერთ საკითხს და საერთო მსჯელობისას გამოყენებული აქვს ასეთი წინადადება — „მსოფლიოს ყველა თეატრში ამჟამად მიმდინარეობს ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ძიება და მათი დამკვიდრება სცენაზე“, ხოლო რეცენზენტს განუზრახავს მკითხველს წარმოუქმნას წარმოდგენა, თითქმის წერილის ავტორი მსოფლიოს ყველა თეატრის ცოდნის უსაფუძვლო პრეტენზიას აცხადებს (მსოფლიოს ყველა თეატრის ცოდნა თავისთავად აბსურდია, რაზეც უჭრადლება უნდა მიეცეთ რეცენზენტს). მაშასადამე, მხოლოდ ერთ ფრაზაშია გამოყენებული „ყველა თეატრი“ და ისიც ასეთ კონტექსტში: „მსოფლიოს ყველა თეატრში ამჟამად მიმდინარეობს ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი

საშუალებების ძიება და მათი დამკვიდრება სცენაზე“, რაზეც რეცენზენტი იმდენი უნდა იტყუებოდეს, რამდენი უნდა იტყუებოდეს თქმა, რა ხდება დღეს მსოფლიოში (ხაზგასმა რეცენზენტისაა) თეატრში...

აქ ავტორი მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნავს ფაქტს, რომ თანამედროვე თეატრში, მსოფლიოს რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყოს იგი, ხდება ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ძიება და მათი დამკვიდრება სცენაზე, რაც თანამედროვე თეატრის განვითარების ძირითადი ტენდენციაა, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია არსებობა და რა საჭიროა იცნობდნენ მსოფლიოს ყველა თეატრის საქმიანობას იმისათვის, რომ ხაზი გაუსვა ზემოთ აღნიშნულ ფაქტს. სომერსეტ მოემისა არ იყოს, რა საჭიროა მთელი ცხვარი შეჭამო იმის გასაგებად, რომ ცხვარის ზორცი გაპრიელია.

დავებრუნდეთ რეცენზენტის შენიშვნას: „ძნელია იმის თქმა, რა ხდება დღეს მსოფლიოს ყველა თეატრში, მაგრამ ჩვენ ამჟამად სხვა სტილისტურ უხერხულობაზე მივუქცევთ მკითხველის ყურადღებას — მსოფლიოს თეატრებიდან პირდაპირ ბათუმის თეატრზე უაზრადობდ არ უნდა გადავსულიყავით“.

როგორც აღვნიშნეთ, წერილში არ არის ლაპარაკი მსოფლიოს თეატრებზე, არამედ მიმოხილულია თანამედროვე თეატრის, თანამედროვე დრამის განვითარების ზოგიერთი ძირითადი ტენდენცია და საერთო მსჯელობაში ჩართულია ბათუმის თეატრიც, რამდენადაც წერილში, ფაქტურად, ლაპარაკია ამ თეატრის ავ-კარგზე, და აქ არავითარი „სტილისტური უხერხულობა“ არ გვაქვს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ რეცენზენტს თითქმის ეშინია, ბათუმის თეატრიც არ ჩადგეს მსოფლიოს თეატრების რიგში. მაგრამ, რაც არ უნდა ითქვას ბათუმის თეატრზე, იგი მაინც მსოფლიოს თეატრების ერთ-ერთი მცირე, მაგრამ მაინც შემადგენელი ნაწილია, ხოლო თანამე-

დროვე თეატრალური ცხოვრების ზო-
გიერთი ტენდენციის მიმოხილვისას იგი
ღირსია ხსენებისა, თუნდაც უაპაჩოდ.
რეცენზენტს ჰგონია, რომ წერილის ავ-
ტორი გამოდის ბათუმის თეატრის ხელ-
მძღვანელობის სახელითაც, როცა იგი
ეხება თეატრის პრეტენზიებს მსაყურებ-
ელთა მიმართ. მაგრამ წერილის ავტორი
ეხება არა თეატრის ხელმძღვანელობის
პრეტენზიებს, არამედ საერთოდ თეატრ-
ის, სადაც არ უნდა იყოს იგი, კერძოდ
ბათუმის თეატრის. პრეტენზიებს თეატრ-
ის ბედისადმი მსაყურებლის გულგრი-
ლობის გამო.


თავის წერილში ავტორი აღნიშნავს,
რომ ახალგაზრდობას დიდი წვლილი
შეაქვს თანამედროვე დრამის განვითარ-
ებაში და ასახელებს ინგლისის, გერ-
მანიის დემოკრატიული რესპუბლიკის
და განსაკუთრებით პოლონეთის თე-
ატრს. რეცენზენტს ხაზგასმით გამოუყ-
ვია „განსაკუთრებით პოლონეთში“ და
გაოცებული კითხულობს: „სად, მსოფ-
ლიოს რომელ ქვეყანაში არ შეაქვს ახ-
ალგაზრდობას „საკმაოდ დიდი წვლი-
ლი თანამედროვე დრამის განვითარება-
ში?“ (ხაზგასმა რეცენზენტისა). თქვენ
წარმოიდგინეთ, კომედიის განვითარ-
ებაშიც შეაქვს“.

„განსაკუთრებით პოლონეთში“ ხაზ-
გასმული აქვს რეცენზენტს იმიტომ,
რომ მას მხედველობაში აქვს ის, რომ
წერილის ავტორი პოლონეთში არ ყო-
ფილა და საიდან იცის პოლონეთის თე-
ატრის ამბავი (საკმაოდ პრიმიტიული
ბრალდება!). თუ კი ავტორმა ახსენა
ინგლისის, გერმანიისა და განსაკუთრებით
პოლონეთის თეატრი, ეს იმიტომ, რომ
მას მოეპოვება გარკვეული მასალა ამ
თეატრების შესახებ, რაც უფლებას აძ-
ლევს აღნიშნოს (მხოლოდ აღნიშნოს)
ახალგაზრდობის როლი ამ ქვეყნების
თეატრალურ ცხოვრებაში, თანაც ერთობ
საქვეოა რეცენზენტის უაპელაციო გან-
ცხადება იმის თაობაზე, რომ მსოფლი-

ოს ნებისმიერ ქვეყანაში ახალგაზრდო-
ბას შეაქვს „საკმაოდ დიდი წვლილი თ-
ანამედროვე დრამის განვითარებაში“.
რამდენიც გნებავთ არის ქვეყნები, სადა
თანამედროვე დრამა ვერ ვითარდება
ინტენსიურად და ახალგაზრდობასაც
ვერ შეაქვს მცირე წვლილიც კი მის გან-
ვითარებაში (თუნდაც ახალგაზრდა გან-
ვითარებადი ქვეყნები) ან ახალგაზრდო-
ბას საერთოდ არ სცალია თანამედრო-
ვე დრამის განვითარებისათვის, რადგან
მის წინაშე სულ სხვა ამოცანები დგას.

მეტად საგულისხმოა რეცენზენტისეუ-
ლი „შესწორება“ ავტორისეული აზ-
რისა: „თქვენ წარმოიდგინეთ, კომედიის
განვითარებაშიც შეაქვს“. ვინც ხელოვნ-
ების, კერძოდ ლიტერატურის თეორია-
ში ოდნავ ჩახედულია, იცის, რომ არ-
სებობს სამი ლიტერატურული გვარი:
ეპოსი, ლირიკა და დრამა, და რომ ლი-
ტერატურული გვარის „დრამის“ ცნება-
ში შედის საკუთრივ დრამაც, როგორც
ლიტერატურული სახე (ჟანრი) სხვა ჟა-
ნრებთან—ტრაგედიასთან, კომედიას-
თან, ფარსთან, ვოდევილთან და სხვას-
თან ერთად. ე. ი. როცა ლაპარაკია „თან-
ამედროვე დრამაზე“, მასში ნაგულის-
ხმევია კომედია, ტრაგედია, ვოდე-
ვილიც და სხვა დრამატული ჟანრები.
რომლებიც თანამედროვე ეტაპზე სულ
სხვა ხასიათს იღებენ, ვიდრე ეს იყო გა-
სულ საუკუნეებში. მაშასადამე, ავტორ-
ისათვის და საერთოდ თეატრალური
კრიტიკისათვის „თანამედროვე დრამა“
იგივეა, რაც „თანამედროვე დრამატურ-
გია“ ყველა მისი ჟანრით (მათ შორის
კომედიითაც). ასე რომ, ზემოთ აღნიშ-
ნული „შესწორება“ ცოტა არ იყოს უა-
დგილოა.

რეცენზენტი კვლავ „გაკვირვებუ-
ლია“, რომ წერილის ავტორი ისევ პო-
ლონეთის თეატრს ასახელებს და ერთ-
გან ირონიულად შენიშნავს: „არ გა-
მოვედევნებთ სტატიის ავტორის კომ-



პეტენტურობას პოლონური თეატრის შეფასებაში". თავისი კომპეტენტურობის შესახებ ავტორს არსად არ დაცდენია სიტყვა. პირიქით, იგი ეყრდნობა მისთვის ხელმისაწვდომ მასალას და მორიღებულადაც კი წერს, (რასაც თვით რეცენზენტი „ვერ ამჩნევს“, თუმცა მასვე ამოუწერია რეცენზიაში ეს აღვლილი): „...ხშირად ლაპარაკობენ (ხაზგასმა ჩემია — პ. გ.) პოლონეთში ინტენსიური თეატრალური ცხოვრების შესახებ“, მაგრამ რეცენზენტი მაინც დაინგნებოთ იმეორებს: „რა საჭირო იყო აქ მაინცდამაინც პოლონეთის დამოწმება?“ ჯერ ერთი, ვინ თქვა პოლონეთის თეატრი არ დამოწმებოთ და, მეორეც, როგორც აღინიშნა, ავტორი ასახელებს მაინცდამაინც პოლონეთის თეატრს იმატომ, რომ იგი ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს, კერძოდ კი პოლონელი რეჟისორისა და მსახიობის თადეუშ ლომიციკის (იხ. ზემოთ მითითებული წყარო), რომელსაც პოლონეთის თეატრის საქმიანობით მაყურებელთა დანიტერესების, მასთან სიახლოვის ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნია სკოლაში თეატრალური დრამატურგიის შემოღება, რაც დიდ როლს ასრულებს ბავშვობიდანვე მაყურებლის ესთეტიკურ აღზრდაში. აქ რეცენზენტი კვლავ ედავება ავტორს და გაკვირვებული კითხულობს: „განა რომელ თეატრს არ ეხრდება ბავშვობიდან მაყურებელი, განა რომელ სკოლაში არაა შემოღებული „თეატრალური დრამატურგია“, ე. ი. ჩვეულებრივი დრამატურგიის, სწავლება?“

ჯერ ერთი, არ არსებობს ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი დრამატურგია (ყოველ შემთხვევაში, ავტორს ასეთი რამ არ გაუგონია), მეორეც, რეცენზენტი აქაც არ დავიკრებია იმას, თუ რაზეა ლაპარაკი.

როგორც ცნობილია, დრამატურგია დვას ორი ხელრვნების: თეატრალური ხელოვნების და მხატვრული ლიტერა-

ტურის მიჯნაზე. თუმცა დრამა (ნაგავი-სხმევია ყველა დრამატული ქანთქანთქან რება სცენისათვის, სცენაზე გამოცხადებული ციკლებად (ეგარტოღოდებული „წასა-კითხი პიესები“ იშვიათ მოვლენას, „ნო-ომიდან გადახრას“ წარმოადგენს), მაგრამ დრამა სპექტაკლად გარდაქმნილი „ცოცხლობს“ ძანამ, სანამ იგი სცენაზე იდგმება. რეპერტუარიდან მოხსნის შემდეგ კი იგი წყვეტს თავის არსებობას, მისი განხორციელების ისტორია შედის თეატრის მატიახეში, ხოლო დრამის ლიტერატურული ნაწილი — ტექსტი კი ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის კუთვნილება ხდება. მაშასადამე არის „თეატრალური დრამატურგია“, ე. ი. დრამის სპექტაკლად ქცევის ხელოვნება და არის ლიტერატურული დრამატურგია, რომელიც სწავლობს დრამის ლიტერატურულ ტექსტებს, ავტორის შემოქმედებას, მისი პიესების თავისებურებებს, აკეთებს მათ იდეურ-მხატვრულ ანალიზს. მაშასადამე, სკოლაში არ ისწავლება თეატრალური დრამატურგია, ლიტერატურული დრამატურგია კი როგორც ასეთი. მწერლის შემოქმედების გაცნობისას სწავლობენ და ისიც ზერეულ ზოგიერთ, თითო-ორთა დრამატულ ტექსტს, რაც რა თქმა უნდა, რაიმე მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებს მომავალი მაყურებლის აღზრდაში.

ქართულ სკოლაში რომ შემოიღონ ქართული თეატრის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ჩვენი სასიკადალო რეჟისორების, მსახიობების შემოქმედებითი ბიოგრაფიების, ცალკეული კლასიკური დადგმების ზოგადი შესწავლა, სარეჟისორო და სამსახიობო ხელოვნების საფუძვლების გაცნობა, თუნდაც ფაქტობრივი სწავლების სახით, — ეს იქნებოდა თეატრალური დრამატურგიის შემოღება, რაც საგრძნობლად გაზრდიდა ჩვენი ახალგაზრდობის ინტერესს ქართული თეატრის ბედისადმი და საიმედოდ მოუზღაურებდა ჩვენს თეატრებს მაღალ-ესთეტიკურ გამგებ მაყურებლებს. ეს ასევე დიდ სამსახურს გაუწევდა თეატ-

რალურ ინსტიტუტის საუკეთესო კადრების შერჩევაში.

განსაკუთრებით აღშფოთებულია რეცენზენტი, როცა ლაპარაკია თეატრალურ ინსტიტუტზე. მას საგანგებოდ ამოუწერია და ხაზი გაუსვამს ავტორის გამოთქმისათვის „საჭიროა კი საერთოდ თეატრალური ინსტიტუტი?“ (შეხედეთ, წერილის ავტორი ამას რას ამბობსო!) და ირონიულად შენიშნავს: „ავტორი უფრო შორს მიდის და ასეთ „გაბედულ“ კითხვასაც სვამს“. აქაც იგივე მეთოდია: კონტექსტიდან ფრაზის ამოგლეჯის მეთოდი.

წერილის ავტორი გულნატყენია იმის გამო, რომ სამსახიობო ინსტიტუტის დონე არ შეესაბამება თანამედროვე დრამის განვითარების დონეს (მაშინ როდესაც თანამედროვე პირობებში იგი განუხრელად უნდა იზრდებოდეს), რომ ქართული თეატრის სცენა თანდათანობით იცლება, ხოლო საიმედო შევსება აღარ ჩაეს. რატომ უნდა, ეს საგანგაშო და დამაფიქრებელი (ყოველ შემთხვევაში ავტორის ასე მიაჩნია და არც ამ მოსაზრებას და არც სხვა მოსაზრებებს არავის თავს არ ახვევს). მაშასადამე, ავტორი სექსტიკურად უყურებს თეატრალური ინსტიტუტის საქმიანობას (და არა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხს, რაც მას ფიქრადაც არ მოსვლია და რისი უფლებაც არ აქვს) და რესპუბლიკის წამყვან თეატრებთან სტუდიების შექმნას, ე. ი. სტუდიებისაკენ დაბრუნებას გვთავაზობს, რამდენადაც სწორედ სტუდიების სახელთანაა დაკავშირებული ქართული თეატრის აღმავლობა. თანაც, როგორც ცნობილია, დაბრუნება უკვე ნაცადი, შემოწმებული მოვლენისაკენ ძველი ფორმით არ ხდება, ე. ი. ამ შემთხვევაში, სტუდიებისაკენ დაბრუნება თეატრალური ინსტიტუტის გაუქმებას როდი ნიშნავს.

ავტორი ერთ ადგილას აღნიშნავს, რომ „...თვით თეატრის ხელმძღვანელობა იძულებულია აღიაროს, რომ თეატრის რეპერტუარი გავსებულია გარეშე და

ადგილობრივი დრამატურგების იდეარად და მხატვრულად არასრულყოფილი პიესებით“. თუმცა ავტორი იყენებს თეატრის ხელმძღვანელობის განცხადებას „ადგილობრივი“ და „გარეშე“, მაგრამ რეცენზენტს არ მოსწონს ასეთი დაყოფა ავტორებისა და აცხადებს: „ვანა შეიძლება დრამატურგების დაყოფა გარეშე და ადგილობრივ ავტორებად? ჩვენი აზრით, არიან მხოლოდ კარგი და ცუდი დრამატურგები, ისევე როგორც არიან კარგი და ცუდი რეჟისორები, კარგი და ცუდი რეცენზენტებიც“ (ხაზგასმა რეცენზენტისა). ეს მხოლოდ თეორიულად. სინამდვილეში კი არიან როგორც „ადგილობრივი“, ისე „გარეშე“ ავტორებიც და პერიფერიულ თეატრებში, ეს არცაა გასაკვირი, უპირველეს ყოვლისა, იდგმება „ადგილობრივი“ ავტორის პიესა. ასეა ჩვენთან, ასეა სხვა რესპუბლიკებშიც. ეს არის გზა „ადგილობრივი“ ავტორის რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისა. რამდენ ამჟამად ცნობილ დრამატურგს გაუვლია ეს გზა.

თუ რეცენზენტის ლოგიკას გავყევით, მაშინ თეატრებს ძალზე ვალადვილებათ თავიანთი რეპერტუარების შედგენა: იმ ავტორებისაგან რომლებიც „ცუდის“ კატეგორიაში გადიან, საერთოდ არ მიიღებენ პიესებს და „გამიდირებენ“ რეპერტუარს „კარგი“ ავტორების ნაწარმოებებით.

ავტორის წერილში გვხვდება ასეთი გამოთქმა: თეატრი „მეაყურებელს განმუხტავს ემოციური სტრესისაგან“, რაც რეცენზენტს სადაოდ გაუხდია.

ტერმინ „სტრესი“ არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს: ქართულ ენაზე შედგენილ „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მხოლოდ უკანასკნელ გამოცემაში გამოჩნდა სიტყვა „სტრესი“.

მაშასადამე, „სტრესი“ სულ ახლახან გამოჩნდა ქართულ ენაზე და საჭიროა ამ ცნების სწორი გავება, თავიდან რომ ავიცილოთ რეცენზენტისეული „შესწორება“.

ჯერ ერთი, ინგლისური სიტყვა stress უშუალოდ არ ნიშნავს „დაძაბვას“, „დაძაბვას“, როგორც ეს „უტხო სიტყვათა ლექსიკონში“ მითითებული. მისი პირველადი მნიშვნელობაა „ხაზის გასმა“, „მახვლის დასმა“, „გამოყოფა“ და სასაუბრო ინგლისურში იგი არ აღნიშნავს „დაძაბულობას“. მხოლოდ მეორადი მნიშვნელობით, „დაძაბულობის“ მნიშვნელობით იგი გამოიყენება საერთოდ ტექნიკაში, კერძოდ კი ელექტროტექნიკაში. სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარა ეს სიტყვა ცნობილმა კანადელმა პათოფიზიოლოგმა და ენდოკრინოლოგმა მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰანს ჰუგო ბრუნო სელიემ, რომელმაც შემოიღო ადაპტაციური სინდრომის — ე. წ. სტრეს-რეაქციის ცნება და გულისხმობს ფიზიოლოგიურ მოვლენებს, ე. ი. დაბარკია სტრესორებზე (ვაშლიზიანებლებზე, როგორცაა შიმშილი, სიცივე, ტრავმა და სხვა), რომლებიც იწვევენ სტრესის რეაქციას, ორგანიზმის დაძაბულობას. ჩვენ არ გამოვდევნებით სელიეს მოძღვრების მნიშვნელობას ფიზიოლოგიის დარგში, და ეს საჭიროც არ არის, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სელიემ მედიცინაში პირველმა შემოიღო ტერმინი „სტრესი“, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ტერმინმა ფიზიოლოგიიდან გადაინაცვლა ფსიქოლოგიის დარგში და მიიღო სხვა მნიშვნელობა: თუ კი სელიე საერთოდ გამოიყენებდა თავისი მოძღვრებიდან ყოველგვარ ემოციას და ყველაფერი წმინდა ფიზიოლოგიურ პროცესებად დაქაავს, „სტრესი“ ფსიქოლოგიაში უკვე გამოხატავს ემოციური პროცესების ერთ-ერთ სახეს — ემოციურ დაძაბულობას. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ორ ამონაწერს.

«Особое место среди эмоциональных процессов занимают состояния стресса, т. е. эмоциональной напряженности (ხაზგასმა ჩვენია) создаваемой такими факторами, как опасность, связанная с выполняемой деятельностью, аварийные ситуации, повышенная опасность, острая пере-

грузка, возникающая в условиях дефицита времени и т. п.» (იხ. «Философская энциклопедия», Москва 1970, ст. 555.)

«Стресс—это такое эмоциональное состояние (ხაზგასმა ჩვენია) которое вызывается неожиданной обстановкой, стрессовыми состояниями будут действия в условиях риска, необходимости самостоятельно принимать быстрое решение, мгновенные реакции при опасности, поведение в условиях неожиданно меняющейся обстановки». (იხ. Общая психология, 2-е издание, Москва, 1973, ст. 282).

ამ ბოლო დროს კი სტრესის, როგორც ემოციური მდგომარეობის, ემოციური დაძაბულობის ცნება კიდევ უფრო განიცრცო. მასში გულისხმობენ აგრეთვე ოჯახურ, სამსახურებრივ კონფლიქტებსაც, თანამედროვე ქალაქების აჩქარებული რიტმის დამთრგუნველ ზემოქმედებასაც, ე. ი. ყოველივე იმას, რაც იწვევს ადამიანის ფსიქიკურ გადაღლას, გადატვირთვას, ემოციურ დაძაბულობას. მაშასადამე, არა მარტო ფსიქოლოგები, არამედ სოციოლოგებიც, ესთეტიკის დარგის მუშაკებიც სიტყვა „სტრესს“ იყენებენ მხოლოდ და მხოლოდ ემოციური დაძაბულობის მნიშვნელობით.

თავისი შენიშვნის მეორე ნაწილში რეცენზენტი ამბობს: „ჩვენ გვჭერა, კონტექსტში ავტორი მხოლოდ და მხოლოდ ემოციურ დაძაბულობას გულისხმობს... თუკი ავტორი თვითონ წერს და რეცენზენტსაც მისგან ამოუწერია გამოთქმა „ემოციური სტრესი“, რაღა ხაზგასმელია, რომ ავტორი მხოლოდ და მხოლოდ ემოციურ დაძაბვას გულისხმობს.

შემდეგ კი რეცენზენტს ასე „შეუსწორებია“ ავტორის აზრი: „მაგრამ მაშინ საკითხავია, თეატრმა ემოციური დაძაბვისაგან მაყურებელი უნდა განუშტოს თუ პირიქით, დამუხტოს?“

უცნაურად დასმული კითხვა; თუ ემოციური დაძაბულობა ადამიანის ფსიქიკის პათოლოგიური (ე. ი. ავადმყოფური)

მოვლენაა, თეატრმა იგი უნდა გამოიყვანოს ამ დაძაბულობიდან, ამ ფსიქიკური გადატვირთვისაგან თუ კიდევ უფრო დაძაბოს, „დააავადოს“?

საქმე იმაშია, რომ ხელოვნების ნაწარმოები, კერძოდ კი სპექტაკლი, ამოღლებს ადამიანის გრძნობებს, აკეთილშობილებს მას, შეჰყავს ემოციების სამყაროში. სწორედ კეთილშობილური გრძნობები, სასიამოვნო, კეთილმყოფელი ემოციები „ავიწროებენ“, „გამოდევნიან“ არასასიამოვნო, უარყოფით ემოციებს, გამაკეთილშობილებელი „აღვსენბა“ მკითხველისა თუ მაყურებლისა გამოათავისუფლებს მას დამთრგუნველი ფსიქიკური ძალებისაგან, ემოციური დაძაბულობისაგან. ჭერ კიდევ არისტოტელე თვის „პოეტიკაში“ ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ტრაგედია „განწყმენდს“, ე. ი. აკეთილშობილებს გრძნობებს, რასაც იგი აღნიშნავდა ტერმინით „კათარზისი“. არისტოტელე ხაზს უსვამდა იმ კმაყოფილებას, რომელიც წარმოიშევა კათარზისის დროს. ეს მოვლენა იმდენად დაკავშირებული იყო ადამიანის გრძნობათა, ემოციათა სფეროსთან, რომ არისტოტელეს ბევრი კომენტატორი, მათ შორის იაკობ ბერნაისი, კათარზისის მოძღვრების წარმოშობას ეძებს მედიცინის სფეროში, კერძოდ მხედველობაში აქვს რელიგიური მკურნალობა. ჩვენ დაწვრილებით არ შეგვხვებით ბერნაისის თეორიას, მაგრამ აქ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ჭერ კიდევ არისტოტელეს მიაჩნდა, რომ მხატვრული ნაწარმოები (ტრაგედია) კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე. ანალოგიური მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა ვლაპარაკობთ ემოციური სტრესისაგან გამოთავისუფლებაზე, „განმუხტებაზე“. ყოველგვარ თეორიას თავი რომ დავანებოთ, ნებისმიერ მაყურებელს შეუძლია ეს მოვლენა გამოცადოს თავის თავზე: როცა „ცუდი“ განწყობილებით, ემოციური სტრესის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მიდინარე კარგ სპექტაკლზე, როგორ „მსუბუქდებ“, ლაღად, თავისუფლად

გრძნობ თავს იმ კეთილმყოფელი ემოციების შედეგად, რაც მიიღე მაღალმხატვრული სპექტაკლისაგან. სწორედ აკეთილშობილური სტრესისაგან, ემოციური სტრესისაგან „განმუხტებაზე“ აქვს საუბარი ავტორს და აქ არაფერია შუაშია ის ფიზიოლოგიური სტრესი, რომელიც რეცენზენტს „უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან“ ამოუწერია.

სპექტაკლ „ჭრილობასთან“ დაკავშირებით რეცენზენტს წერილიდან ამოუღია გრძელი ამონაწერი, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ „გულწრფელად, ახალგაზრდული უშუალობითა და გატაცებითა დაწერილი პიესა „ჭრილობა“, „მაგრამ ახალბედა დრამატურგი გამოდევნებია იაფფასიან ფეჟეტებს, უცდია გარკვეულიყო ისეთ საკითხებში, როგორიცაა მკვლელობის მიზეზი და მკვლელის ფსიქოლოგია, რისთვისაც, სამწუხაროდ, თავი ვერ გაურთმევია. ამიტომაც სპექტაკლში საკმაოდ ბევრი მოგონილი, ფსიქოლოგიურად შეუმზადებელი ადგილია“. რეცენზენტის აზრით, თურმე, თუ პიესა „გულწრფელად, ახალგაზრდული უშუალობით და გატაცებითა დაწერილი, არ შეიძლება მას ხარვეზი ქონდეს: „თუ კი პიესას, წერილის ავტორის მტკიცებით, ამდენი ხარვეზი აქვს, განა შეიძლება იგი „გულწრფელად, ახალგაზრდული უშუალობით და გატაცებით“ დაწერილი იყოს და „მეტად საგულისხმო მოვლენად“ მივიჩნიოთ? (ხაზგასმა რეცენზენტისა). რეცენზენტი რატომ არ უკვირდება, რომ „გულწრფელად“ (ე. ი. როგორც ეს წამს და სჯერა ახალბედა დრამატურგს), „ახალგაზრდული უშუალობით და გატაცებით“ (ე. ი. ახალგაზრდული მიაშიტობით, გამოცდილების უქონლად) დაწერილ პიესაში იქნება ხარვეზები, მით უმეტეს, რომ მათ თანამედროვე გამოცდილი დრამატურგებიც კი ვერ აღწივენ თავს, და თეატრალურ რეცენზიებში შაბლონადაც კია ქცეული სპექტაკლის წარმატებასთან ერთად აღინიშნოს მისი სუსტი

მხარეებიც, რაც არც თუ ისე იშვიათია ახლანდელ სპექტაკლებში.

რაც შეეხება გამოთქმას „მეტად საგულისხმო მოვლენაა“, ეს ფრაზა კონტექსტიდან ზელოვნურად ამოვლევითია, რათა დამახინჯებულად წარმოუდგინოს მკითხველს იმ აზრით, თითქმის ავტორს ხაზი გაესვას სპექტაკლის დიდი წარმატებისათვის, რაც ავტორს არსად არ აღუნიშნავს (ამაში თვით რეცენზენტი დამოწმება მის მიერ კეთილსინდისიერად ამოწერილი ნაწყვეტით, სადაც ლაპარაკია პიესისა და სპექტაკლის მეტად სერიოზულ ნაყოფანებზე). მაინც რა „საგულისხმო მოვლენაა“ ლაპარაკი? მოვიყვანო ამონაწერს წერტილიდან, რომელიც რეცენზენტს ვერ გაუგია ისე, როგორც იქ წერია: „მათუშის თეატრში ამ ბოლო დროს კარგი ტენდენცია დაიხატა. თეატრის ზელმძღვანელობა გაბედულად ანდობს თეატრალურ ახალგაზრდობას ახალი სპექტაკლების შექმნას.

ამ მხრივ მეტად საგულისხმო მოვლენა იყო (ხაზგასმა ჩემია—პ. ჯ.) დებიუტანტ დრამატურგის ლ. თაბუკაშვილის პიესის „ქრილობა“ განხორციელება თეატრის სცენაზე“. რა არის აქ გაუგებარი? თეატრის ზელმძღვანელობა „გაბედულად ანდობს“, ე. ი. „ბედავს“ ახალგაზრდობას, რომელსაც არ გააჩნია გამოცდილება, მიანდოს სპექტაკლის შექმნა. მაშასადამე, საგულისხმო მოვლენა იყო თვით ფაქტი ახალგაზრდობის მიერ ამ სპექტაკლის შექმნისა.

შემდეგ რეცენზენტს უყვირს, როგორ გააყვითა წერილის ავტორმა ასეთი დასკვნა „...ახალგაზრდებმა იგრძნეს, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი მხრებით აიტანონ მაღალიდგური და მაღალმხატვრული სპექტაკლი, თუ ამის საშუალებას მისცემს კარგად დაწერილი პიესა“. ეს გამოთქმავე რეცენზენტს ისე გაუგია, როგორც მას სურდა და კონტექსტს მოწყვეტილი მართლაც ასე ეძვრს. მაგრამ, როგორც დაინახეთ, წერილის ავტორი ვერ მიიჩნევდა ამ პიესას „კარგ“ პიესად და თუ სპექტაკლში მაინც რაი-

მე დადებითს ეძებს, ეს არის ახალგაზრდა რეჟისორის ჩანაფიქრი და ახალგაზრდა მსახიობების თამაში, რაც, რა თქმა უნდა, ვერ მოახდენდა პიესის ნაყოფანებათა სრულ გამოვლენას. მაშასადამე, თუ კი ახალგაზრდობამ ასე თუ ისე სული შთაბერა არასრულყოფილ პიესასაც კი, მით უმეტეს ის შეძლებს შექმნას უფრო სრულფასოვანი სპექტაკლი „კარგი“, მაღალმხატვრული პიესის განხორციელებისას („თუ ამის საშუალებას მისცემს კარგად დაწერილი პიესა“).

კიდევ ერთი მაგალითი ნათელი აზრის უმართებულო გაგებისა.

ავტორი წერს: „რაც შეეხება ა. გეჟაძის პიესას „გზა, ყარამანს ცოლი მოჰყავს!“ უფრო გასართობი კომედიაა, ვიდრე პიესა, სადაც დასმული იქნებოდა სოციალური ფერადობის სერიოზული თემა. მაგრამ მხიარული მიუზიკლის ფორმით გადაწყვეტილი ეს სპექტაკლი რეჟისორული ჩანაფიქრით, მხატვრული და მუსიკალური გაფორმებით, მსახიობთა თამაშით (აქ ხაზგასმული სიტყვები რეცენზენტს განზრახ გამოუტოვებია) კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაყურებელმაც გულთბილად მიიღო იგი“. მაშასადამე, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს „რეჟისორული ჩანაფიქრით, მხატვრული და მუსიკალური გაფორმებით, მსახიობთა თამაშით“ თამაშით, ე. ი. იმით, რაც რეცენზენტს განზრახ გამოუტოვებია სავრთო კონტექსტში, და არა პიესის შინაარსით.

რეცენზენტს უყვირს, ასეთი სპექტაკლი მაყურებელს გულთბილად როგორ უნდა მიეღო. იგი წერს: „არა, ყველაფერი, რასაკვირველია, რიგზე ვერაა ამ ციტატაში, მაგრამ თქვენ აწი ნახეთ რა მოხდება. იქვე ორიოდ სტრიქონის შემდეგ პ. ჯორბენაძე აცხადებს: „...მაგრამ ასეთი სპექტაკლით მაყურებელთა ესთეტიკურ დონეს ვერ ავამაღლებთ“. „განა შეიძლება იმის შემდეგ, როდესაც იტყვო: „სპექტაკლი კარგ შთაბეჭდილებ-

ბას ტოვებს, მაყურებელმა გულთბილად მიიღო იგი, ესეც დაუმატო „მაგრამ ასეთი სპექტაკლით მაყურებელთა ესთეტიკურ ღონეს ვერ ავამალღებთ“ (ხაზგასმარეცენზენტისა).

რეცენზენტს ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება სპექტაკლი კარგ შთაბეჭდილებას ახდენდეს (და ამ შემთხვევაში რატომ, ეს უკვე აღვნიშნეთ) და ესთეტიკურ ღონეს ვერ ამაღლებდეს. ვინც კი ოდნავ მაინც იცნობს თეატრის ისტორიას, კარგად იცის, რომ თეატრის არსებობა დამოკიდებული იყო აგრეთვე ე. წ. „საშემოსავლო“ სპექტაკლებზე, რომლებიც გათვალისწინებული იყო „მასობრივ მაყურებელზე“. ხშირად თეატრი (მათ შორის კარგი თეატრებიც) ფინანსური სიძნელეებისა თუ სხვა მიზეზების გამო იძულებული იყო რეპერტუარში შეეტანა შედარებით მდარე მხატვრული ღირსების პიესაც, ხოლო გამოჩენილი რეჟისორი მასში აქსოვდა მთელ ნიჭსა და უნარს, ნიჭიერი მსახიობები თამაშობდნენ ჩვეული ოსტატობით, რის გამოც სპექტაკლიც „კარგ შთაბეჭდილება“ ტოვებდა, მაგრამ ესთეტიკურ ღონეს ვერ ამაღლებდა. სამწუხაროდ, მთელ რიგ შემთხვევაში, ახლაც თეატრებს უხდებათ „გასართობი“ პიესების დადგმა მაყურებელთა დიდი რაოდენობის მოსაზრად (როგორც მოგვხსენებათ, ყოველ თეატრს აქვს თავისი სამეურნეო ანგარიში, თუმცა მას როდი უნდა ანაცვალოს ხელოვნების, კერძოდ კი თეატრის ბედი და რაც უფრო ნაკლებ იქნება ასეთი სპექტაკლები, მით უფრო მოიგებს თეატრალური ხელოვნება). ასე რომ, ე. წ. „საშემოსავლო სპექტაკლები“ არც თუ იშვიათი მოვლენაა. თუნდაც ავიღოთ რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ხანუშა“. არა გვგონია ამ სპექტაკლში დასმული იყოს რაიმე სერიოზული სოციალური საკითხი, მით უმეტეს თანამედროვეობისათვის. მაგრამ არა გვგონია, რომ ისეთ შესანიშნავ თანამედროვე ინტელექტუალურ, სერიოზულ დრამას, როგორცაა ჟან ანუის „ანტიგონე“, ჰყა-

ვდეს უფრო მეტი მაყურებელი, ვიდრე „ხანუშას“. ასეთია მასობრივი მაყურებლის ფსიქოლოგია. თანაც მასობრივი მაყურებლის მარტო საერთო ინტერესური ღონით როდი განისაზღვრება, არამედ უმას“ „მიმზიდველობა“. ეს სპექტაკლი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს რეჟისორული ჩანაფიქრით, მხატვრული და მუსიკალური გაფორმებით, მსახიობების შესანიშნავი თამაშით (მარტო ეროსი მანჯგალაძისა და რამაზ ჩხიკვაძის თამაში რად ღირს, რომელთა გარეშე „ხანუშა“ წარმოუდგენელიცაა!) ასე რომ, სპექტაკლი უთუოდ საკმაოდ „მაღალგანვითარებულ“ მაყურებლებზეც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ზრდის კი ესთეტიკურ ღონეს? იგი კარგ განწყობილებას უფრო მეტს აძლევს, ვიდრე სულსა და გონებას. სწორედ ასეთი ხასიათის (თუმცა უფრო დაბალი რანგის) სპექტაკლად უნდა მივიჩნიოთ „გზა, ყარამანს ცოლი მოჰყავს“, მაგრამ მასობრივი მაყურებელი რომ ანგარიშგასაწევია, ეს უცილობელ ფაქტად მიგვაჩნია. და როცა ვლაპარაკობთ მაყურებელთა ესთეტიკური ღონის ამაღლებაზე, ეს ერთი ხელის დაკვრით, კამპანიური წესით როდი შეიძლება. მაყურებელს ფრთხილად უნდა მოჰყარება, მისი აღზრდა ბავშვობიდანვე უნდა იწყებოდეს, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენთან ამ მხრივ ცოტა რამ კეთდება.

საკმაოდ უცნაურად ეღერს რეცენზენტის მიერ წამოყენებული მოსაზრება: „შეიძლება შემოგვედგონ. ის, ვინც ეს სპექტაკლი გულთბილად მიიღო, ავტორის სიტყვები რომ ვიზმართო. „დაბალი ესთეტიკური ღონის მაყურებელია“ და მას ანგარიში კი არ უნდა გავუწიოთ, არამედ გავჯარიტოთ“.

ჯერ ერთი, ავტორს არ მიაჩნია, რომ ვინც „ხანუშას“ ტიპის სპექტაკლებს გულთბილად იღებს, მხოლოდ „დაბალი ესთეტიკური ღონის“ მაყურებელია, რაც უკვე ითქვა. თანაც საკითხავია, როგორ წარმოუდგენია რეცენზენტს დაბალი ესთეტიკური ღონის „გაკრიტიკება“? როგორც ცნობილია (და ამის შეს-



ახებ ავტორის ნათქვამი აქვს თავის წე-
რილში), მაყურებლის ესთეტიკური დო-
ნე დამოკიდებულია მის ინტელექტუალ-
ურ დონეზე, ესთეტიკურ სამყაროზე,
მის გემოვნებასა და მისწრაფებებზე და
რთულ კომპლექსურ მოვლენას წარმოა-
დგენს. ასე რომ, მაყურებლის „თავის
კუთხეზე წაყვანა“ არც ისე ადვილია. რა-
მდენიც გინდა აკრიტიკე (საერთოდ არ
წიკითხავს თავისი მისამართით დაწე-
რილ კრიტიკას და, ჩვეულებრივ, მასო-
ბრივი მაყურებელი ნაკლებად ეტანება
კრიტიკულ წყაროებს), თუ აგინებ, საე-
რთოდ არ მოვა თეატრში. ერთადერთი
გზაა მაყურებლისადმი დიდი ტაქტით
მიდგომა, მისი ფრთხილად აღზრდა არა
„მიძიური“ მეთოდით, არამედ „შეუშნე-
ვლად“, ძალდაუტანებლად, რაც უნდა
ხდებოდეს ჯერ კიდევ მოზარდი ასაკი-
დან, რასაც ხელს უწყობს შესანიშნავი
სოციალური პირობები, საზოგადოების
დიდი ინტელექტუალური და კულტურ-
ული დონე, ინფორმაციის (მათ შორის
„მხატვრული ინფორმაციის“) გაშლილი
ქსელი.

ყოველივე ამის შემდეგ, სადღაა ის
„მევერი მცდარი“, „უერთიფრთხილ-
მდეგო დებულება“, რომელთა „აღმოჩე-
ნას“ პირდებოდა რეცენზენტი მკითხ-
ველს?

რა თქმა უნდა, ყოველ სტატიიში, ყო-
ველ რეზენციიში, როგორიც არ უნდა
იყოს იგი, არის რაღაც სასარგებლო
ჭკუის სასწავლი. ასეთია აღ-
სონიას რეცენზიაც, ყოველ შემთხვევაში,
არ შეიძლება არ დავეთანხმეთ რეცენ-
ზენტს, რომ „ისეთი აკრძალული ილე-
თები არ უნდა ვიხმაროთ, შემდეგ რომ
უზერხულობაში ჩაგვადოს“ (ხაზგასმა
რეცენზენტისაა) და რომ არ უნდა იბეჭ-
დებოდეს (დაემატებდით, საერთოდ არ
უნდა იწერებოდეს) „არაპროფესიული,
დილუტანტური, უნიჭო სტატიები და
რეცენზიები“.

დასასრულს კიდევ ერთხელ უნდა გა-
ვიხსენოთ, რომ სიტყვას (მით უმეტეს
დაბეჭდილს) გაფრთხილება, თვალის ჩი-
ნით მოვლა უნდა, ბეჭდვითი სიტყვით
სარგებლობის უფლება საქმის ინტერე-
სისათვის უნდა იყოს გამოყენებული და
არა სხვა მიზნით. გოგოლი ასე აფრთხი-
ლებდა მწერლებს (და ეს ეხება ყველას,
ვისაც საქმე აქვს ხელოვნებასთან):

„სიტყვას პატიოსნად მოპყრობა უნ-
და, იგი ღვთისაგან მონიჭებული უმაღ-
ლესი მადლია. ვაი თუ მწერალმა წარმო-
თქვა იგი იმ დროს, როცა იმყოფება
მძაფრი გატაცების, წყენის, ან ვინმესა-
დმი რაიმე პირადი უნდობლობის ზეგე-
ლენის ქვეშ“.



მუკან თავეზილი

არქივები სოფლებში ერთიან

აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვარზე მდებარეობა საქართველოს ორმხრივ სამსახურს უწევდა — კარგსა და ცუდსაც. პოლიტიკურად აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდანაც ებრძოდნენ და ცდილობდნენ მის დაკაბალებას, სამაგიეროდ აღმოსავლურიცა და დასავლურიც კულტურაც ცალკეული არხებით ჩაერთვოდა ქვეყნის განათლებისა და კულტურის ზღვას. პოლიტიკური უბედობის გამო მიტაცებული ადამიანები სხვის მიწა-წყალზე ქმნიდნენ კულტურულ ფასეულობებს და ბევრი მათგანის ნაღვაწი მხოლოდ ლეგენდებად შემოდიოდა ბედკრულ ქვეყანაში, ზოგიერთის შესახებ მოგვიანებით გავიგებდით ხოლმე. სპარსეთში მოღვაწე ქართველი მხატვრის

სიაუმის მაგალითიც კმარა დასასახელებლად. ბევრი ქართველი, რომელიც ისტორიულმა უკუღმართობამ დედამამშობლოს მოსწყვიტა, ბედის ბრუნვით ხან დასავლეთში დიპლომატიზმად, ხან კი აღმოსავლეთში იქნეოდა გასისხლულ ხმალს სპარსეთის შაჰისათუ თურქეთის სულთნების სამსახურში და ბოლოს კი სამშობლოს მოშორებული ნამის წვეთებიც ადნებოდა ცხენის ძეხზე გამოზრდილი მძვინვარე აღმოსავლეთის სიციხისაგან დაშორებულ მიწას. და მაინც, ისინი სამშობლოს უკვდებოდნენ. ვინ მოსთვლის რამდენი განთქმული სამხედრო მოღვაწე დაეცა უცხოეთში ისე, რომ — სამშობლოსათვის ერთი ხმლის მოქნევაც არ დასცალდა. მაგრამ თუ ჩვენს ქვეყანას უკვდებოდა სხვა ქვეყნის სამხედრო სარბიელზე თავგამოჩენილი შვილები. ეს უკ-

იუსუფ ფაღვა „წინაპართა არქივები“, რომანი, წიგნი I, ბათუმი, 1975.

ვე აღარ ითქმის კულტურის მოღვაწეებზე. რადგან მათ მიერ შექმნილი სულიერი საუნჯე და დიდვასეულობანი მაინც ანათებენ ქართული მადლმოსილებით და ყოველწამს შეგვახსენებენ, რომ იგი გამონაშეჟია ჩვენი ხალხის ეროვნული გენიისა. ამგვარ ბედკრულ მოღვაწე ქართველთა შესახებ ბევრი რამ ისტორიის მიჩქმალულ ანალებშია ჩაკარგული და გამომწვევებას ელის, ან თანდათან გამოაქვთ ჩვენს მეცნიერებს ხალხის სამზეოზე. განსაკუთრებული სიამოვნება იპყრობს მკითხველს, როცა ყოველ ახალ, ან თუნდაც ძველ ისტორიულ ფაქტს, მოვლენას იხილავს არა მხოლოდ ისტორიკოსის მშრალი წიგნის სახით, არამედ მხატვრული სიტყვის სამოსელით მოწოდებულს. ამ მომენტს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან კულტურული საზოგადოების აუცილებელი მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს.

სულ უფრო და უფრო შესამჩნევი გახდა კეთილი ტენდენცია — ისტორიულ მასალას, მეცნიერულად დამუშავებულსა თუ დაუმუშავებელს მოენახოს მკითხველამდე მიტანის რაც შეიძლება ეფექტური ფორმა. ჩნდება მოთხოვნილება ახალი ისტორიული ფაქტი ან მოვლენა მხატვრული სიტყვით გამოიკვეთოს, ისტორიული კოლორიტისა და ვითარების ზუსტი გათვალისწინებით. ეს ხერხი თანამედროვეცაა და პროგრესულიც. მეცნიერული ცოდნის

მხატვრული ფორმით გადმოცემა უფრო ძნელიც არის და რთულიც მაგრამ მწერლობის მადლს ჩამოუშლის რევი მკვლევარისათვის, ანუ მკვლევრის უნარის მქონე მწერლისათვის დასაძლევია. ამას ადასტურებს როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენში გამოსული მსგავსი ლიტერატურა. მაგალითად, სულ ბოლოს გამოსული ა. მანფრედის „ნაპოლეონ ბონაპარტე“, ე. მალრადის „გოდება“, ვ. ჭელიძის ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ და აი, სულ ახლახან გამოცემული თ. ნატროშვილის „მაშრიყით მალრებამდე.“ გარკვეულ ფარგლებში აღნიშნულ ლიტერატურას მიჰყვება კვალდაკვალ იუსუფ ფაღავას რომანი „წინაპართა აჩრდილები“, ვრცელი რომანი, რომლის ორპლანიანობაც ეჭვს არ იწვევს. მისი ერთი მხარეა ისტორიულ-მეცნიერული, ხოლო მეორე — მხატვრულ-ესთეტიკური. აღნიშნული ორი მომენტი თავისებურად გადადის ერთმანეთში და აპირობებს ნაწარმოების ტექსტის ემოციურ დატვირთულობას.

რომანის სტილისათვის. თანამედროვე ქართული მწერლობა, როგორც პროზა, ისე პოეზია ძირითადად წერის ორ მანერას, წესს იცნობს. ერთია ტრადიციული, სინამდვილის აღქმისა და ათვისების პირდაპირი და უშუალო გზა, როცა ასასახავ საგანსა და მის წარმოდგენას შორის მათი უშუალო შუამავალი — ნათელი

და ადვილად მისაწვდომი წინადა-
დება დგას (მ. ჯავახიშვილი, ე.
ლორთქიფანიძე, გ. ლეონიძე), ხო-
ლო მეორე მხრივ, ქართული მწე-
რობისათვის სრულიად ახალი
სტილური ცდები, რაც გამოიხა-
ტება აღსკქმელ საგანსა და აღმქ-
მელს შორის რთული აზრობრივი
პერიოდების ჩაყენებით, როცა
მწერალი საგნის აღქმას ახდენს
არა უშუალოდ, არამედ არაპირ-
დაპირი, რთული გზით. ამას მრავ-
ალი მიზეზი აქვს: ზოგჯერ იგი
შემოქმედის შინაგანი მოთხოვნი-
ლების გამოშუქებაა, ხშირად კი
მხატვრული ძიების უტყუარი ნი-
შანი. სწორედ შემოქმედთა ამ
ფრთას ეკუთვნის „ცნობიერების
ნაკადის“ მწერლები საზღვარგა-
რეთ. ეს მეთოდი ჩვენშიც იჩენს
თავს და საკმაოდ ნიჭიერადაც (ო.
ჭილაძის პოეზია და პროზა), თუმ-
ცა მისი ნიადაგი ჩვენში, თამამად
შეიძლება ითქვას, გ. ტაბიძის კო-
ნსტრუქციული სახეებით არის
შემზადებული. ამ ბოლო ხანებში
საკმაოდ მუშაობენ ამ მხრივ ახა-
ლგაზრდა მწერლები. მათგან ძა-
ლზე საინტერესოა გ. გეგეშიძე,
ა. ჩხიკვიშვილი, მ. აბაშიძე...

აღნიშნული ორი ძირითადი ხა-
ზის არსებობა ქართულ პროზაში
ეჭვს არ იწვევს. რა დამოკიდებუ-
ლებაშია მათთან იუსუფ ფაღავას
რომანო?

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ
„წინაპართა აჩრდილები“ წერის
კულტურის თვალსაზრისით თა-
ნამედროვე დონეზე დაწერილი

რომანია. მწერლის მიერ სტილ-
ციის გამოკვეთისას, სიუჟეტისა და
ნეიტარებისას, ხასიათისა და
ხის ჩამოძერწვისას არსად არ იკა-
რება ავტორისათვის ორგანულ-
ად დამახასიათებელი წერის საკ-
მაოდ მაღალი კულტურა, რის
ძლიერ ნაკლებობასაც ასე ხშირ-
ად განიცდის ხოლმე პერიფერი-
აში მოღვაწე შემოქმედთა უმრავ-
ლესობა. წერის მანერის თვალსა-
ზრისით თხზულება პირველ წესს,
ტრადიციული წერის მანერას
იცავს, მაგრამ ყველაფრიდან იგ-
რძნობა, რომ ავტორს გაუთვალის-
წინებია, გაუცნობიერებია მეო-
რე ფრთის არსებითი და ძირითა-
დი მიღწევებიც.

ნაწარმოების ერთ-ერთი პერ-
სონაჟი ერთგან ასეთ საინტერე-
სო აზრს ავითარებს: „მომღერა-
ლი ორივე მხარეს უნდა აქცევ-
დეს ყურადღებას — მსახიობურ
ოსტატობას და მუსიკალურ დახ-
ვეწილობას. არ შეიძლება რომე-
ლიმე მხარეს გადაიხაროთ“. მიგ-
ვაჩნია, რომ რომანის ავტორიც ამ
მართალ შეგონებას ამართლებს
თავისი პრაქტიკით, როცა ერთნა-
ირად აკეთებს აქცენტს წერის
ტრადიციულ მანერასა და ფრაზის
თანამედროვე კულტურაზე. ნა-
წარმოების არც ერთ რეალიაში
არ იჩაგრება ან ერთი, ან მეორე.
მწერლის ენობრივი მოსაქცევები
და ფრაზა ზომიერად მუსიკალუ-
რია, ზედმეტად არ ჟღერს და არ
აყრუებს აზრს. ენა ზუსტია, ეპი-
თეტები და შედარებანი საკმაოდ
მოზომილი და ენობრივი ქსოვილი

თანაბრად ძარღვიანი, თუმცა არა იმგვარად დაფერილი და რაფინირებული, როცა ეფექტურობის ზოგადი გაცლილი აქვს. მწერალი ეფექტურად იყენებს ე. წ. პარონომასიული ხასიათის განმეორებებს, რითაც ტექსტის ემოციურ ძალას ზრდის. „ქალიშვილს გული დაწყდა. ძლიერ დაწყდა გული და თვითონაც ჩამოუგორდა ცრემლი...“ ამგვარი მაგალითები საკმაოდ ხშირად შეინიშნება. მართალია, მხოლოდ აქა-იქ შეინიშნება ზოგიერთი ორთოგრაფიული უზუსტობა, მაგრამ სტილის საერთო სილამესა და შეურყვნელობაზე ზეგავლენას ვერ ახდენს. ნაწარმოები ამ თვალსაზრისით თითქმის თავიდან ბოლომდე თანაბარი ძალით არის დაწერილი, რაც მწერლის კეთილსინდისიერ და დამატულ მუშაობაზე მიუთითებს. ისტორიული პასაჟები, რაც ასე უხვადაა რომანში, სავსებით ემორჩილება მწერლის მიერ აღებულ მანერას და ბუნებრივად ზის საერთო სტილში, თუმცა იგრძნობა, რომ ისტორიული საბუთები და ფაქტები მწერლის ხელში ძლიერ გადამუშავებულან და მიუღიათ შესაფერისი იერსახე. სწორედ ამის გამოა, რომ ისინი არ ამღვრევენ თხრობის ძირითად წესს.

ქართული მხატვრული მეტყველება უფრო ეგუება მოკლე, დასხლეტილ წინადადებებს, მკაფიო პერიოდებს. ემოციური ძალაც ქართულ მეტყველებას სწორედ

ამგვარი გაფორმებისას უნაირად დება. ი. ფალავა ძირითადად იყენებს ამ წესს. მართალია, მთლად ლაბილარულია მისი წინადადება, მაგრამ ყოველთვის არის გათვალისწინებული ფრაზის ემოციური დონე, ის დონე, რომლის ქვემოთაც ავტორი ცდილობს არ დაუშვას არც ერთი მონაკვეთი: „ფაშისა და მისი თანამგზავრის მზერა უმაღლესი მოიტაცა ყელმოღერებული ბოშა ქალიშვილის მომადლოებელმა ცეკვამ, რომელიც მოქნილ სხეულს მოხდენილად არხევდა. იგი ახლა აღარ მღეროდა, მხოლოდ ცეკვით ართობდა აღტაცებულ მაყურებელს. აფროდიტეს ქანდაკებასავით ჩამოძვრილ ქალს მეტად ეშინანი სახე ჰქონდა. წითელი ზედატანი და ნაოქა ცისფერი ქვედაკაბა ძლიერ შვეწოდა.“

მწერალი განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს იქ, სადაც ცდილობს გამოაჩინოს პერსონაჟის ჩუმი შინაგანი სევდა, სამშობლოს დაშორებით გამოწვეული, და ამ მიზნით იყენებს ზავრდივით რბილ, ტევად წინადადებებს. ეფექტურ მოსაქცევებში შეუმჩნევლად აწნავს სევდიანი მღელვარების მინორს: „შუადღისას ჩოლოქის საზღვარი გადალახა. ახლა უკვე საკუთარ ოჯახში თვლიდა თავს. თითქოს დაკარგული შვილი დაუბრუნდა თავისიანებს, თითქოს ათეული წლის წინათ მიტოვებულ თბილ კერას და საყვარელ ცოლშვილს მოუბრუნდა.“

რამდენი რამ განიცადა ამ ხან-
შოკლე დროის განმავლობაში,
რამდენი რამ ნახა, რამდენი მეგო-
ბარი გაიცნო და რამდენი მტერი
გამოიცნო.

აქაც ისევ გახვეულიყო ბუნე-
ბა თოვლის საბანში, როგორც
ქრისტიანულ საქართველოში,
ისევ აბოლებდა ოდა სახლები
ყალიონს, როგორც საგურიელო-
ში. ხალხიც ერთნაირ ჭაფასა და
საზრუნავში იყო“.

მწერლის დაწურული ხელწე-
რა, გაცლილი ყოველგვარი ზედ-
მეტისაგან, აქ ნამდვილად აღწევს
ჰუმბარიტი ხელოვნების დონეს,
ხოლო როგორც ადამიანი, ჰე-
მბარიტად არის პატრიოტული
გრძნობის მომღერალი და განმა-
დიდებელი. სტილური ელემენტი
აქ ნამდვილად მადლდება, მაგრამ
მადლდება იმგვარად კი, რომ სი-
მბოლური მხატვრული ხატის სა-
ხით — თოვლი ერთნაირად ებურა
ქრისტიანულსაც და არაქრისტი-
ანულ საქართველოსაც — გვეუ-
ბნება: მაშინდელი საქართველოს
ქრისტიანი და მაჰმადიანი შვი-
ლებიც ერთნაირად განიცდიდნენ
ეროვნულ ჩაგვრას, ერთნაირად
ფიქრობდნენ ერთიანობაზე და
ერთნაირად უსველდებოდათ თვა-
ლები ბედუკუდმართი წარსულის
გახსენებაზე, ერთნაირ ჭაფასა
და საზრუნავს მოეცვა მათი გო-
ნება.

ასე წარმოგვიდგება ზოგიერთი
ძირითადი სტილური თავისებუ-
ლება იუსუფ ფაღავას „წინაპართა

აზრდილებისა“. ვფიქრობთ, ან-
შნულ სტილურ ინერციას განაჩინა
ლი შეინარჩუნებს რომანის
რე წიგნშიც.

გ მ ი რ ე ბ ი და ს ა მ ო ქ მ ე -
დ ო ა რ ე ა ლ ი. რომანი გაშლი-
ლია ისტორიულ ფონზე. კონკრე-
ტულად დასურათხატებულია მე-
19 საუკუნის მეორე ნახევრის ვი-
თარება, როცა საქართველოს ღვი-
ძლი აჭარა ცდილობდა ფეხი აეწ-
ყო ქრისტიანული საქართველოს
პატრიოტებისათვის და მამულის
გასაერთიანებლად ეზრუნა. ეს სა-
ქმე, ბუნებრივია, მხოლოდ აჭა-
რის ლოკალს არ გულისხმობს.
იგი წვდებოდა მთელს საქართვე-
ლოს, თურქეთსა და უფრო შორ-
საც რატომ არა. პოლიტიკური
ინტრიგებისა და სამხედრო ავან-
ტიურების, სხვადასხვა ძალთა
ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედე-
ბის ეპოქაში რომ მწერალი გაერ-
კვეს, ეს ძალზე მრავალმხრივ
შრომას მოითხოვს. აქ არ კმარა
მხოლოდ სერალის ან კრემლის
კულისების, ანდა საქართველოში
საომარ მინდორთა რეკოგნესცი-
რების ცოდნა. აქ საჭიროა ამას-
თანავე ღრმად იცოდეს ისტორიუ-
ლი და პატრიოტული სული იმ-
დროინდელი ქართველობისა, ნა-
თლად უნდა გესმოდეს და ჩამწე-
დარი იყო ეპოქის ხასიათსა და
კოლორიტში. უამისოდ მკითხვე-
ლი ვერავითარ ბატალურ სურათს
ვერ მოგიწონებთ, ვერ შეიგრძ-
ნობს მწერლის, როგორც მისაბა-
ძი პიროვნების, სულისკვეთებას.

ი. ფალავას, ყველაფრიდან ჩანს, დიდხანს უმუშავია ისტორიულ დოკუმენტებზე, გადასულ წელთა გამსხნელი სხვადასხვა წყარო შეუსწავლია, მაგრამ შეუსწავლია მხატვრის, ფართო ჰორიზონტის მკვლევარისა და შემოქმედის თვალთ. მხატვრის თვალთახედვით რომ გაუაზრებია ისტორია. ეს კარგად ჩანს თურქ მოღვაწეთა ჩაცმულობისა და ყოფითი ელემენტების თითქმის სრულყოფილი სურათების შექმნიდან. საგულისხმოა სტამბოლის ამბებისა და ადგილების აღწერილობანი, სტამბოლელთა და თურქეთის სხვა ადგილთა მკვიდრების ყოფის ცოცხალი სურათები, თურქული სწავლა-აღზრდისა და კულტურის საკმაო ცოდნა და გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში. არც ის არის დაეიწყებული, რომ თურქეთი დარდანელის სრუტის მქონე და გამგებელი ქვეყანაა. ასეთი ქვეყანა კი ფართოდ არის „განათლებული“ ყოველგვარი „მსოფლიო ინფორმაციებით“. ამიტომაცაა, რომ სავსებით სწორი გვეჩვენება ის სიტუაცია, რომელსაც მწერალი გამოკვეთს ნამიკ-ქემალის მიერ მოწყობილ მიღებაზე: „მაჰმუდ აკიფი სათვალეს წარა-მარა წმენდდა ცხვირსახოცი და სტუმართა ერთ ჯგუფს ოკეანის გაღმიდან მოსულ ვაჭრების ნაამბობს უყვებოდა, ლინკოლნის მიერ სამხრეთის შტატებთან წარმოებული ომის შესახებ ჰქონდა ბასი. ზუთიოდე კაცი ყურადღებით უსმენდა“. ამა-

ვე სალონში ვისმენთ ჩვენ საუბარს გარიბალდიზე, გარიბალდის ეროვნულ მნიშვნელობაზე, ყველა ხალხისათვის და სხვ. ასევე საკმაო კოლორიტითაა დახატული მოქმედებანი გურიაში, აჭარაში, თბილისში. თბილისის კოლორიტული სურათების შესაქმნელად მწერალი ხშირად მიმართავს ყარაჩოღელებს, კულტურისა და ლიტერატურის გამოჩენილ თბილისელ მოღვაწეებს, აღწერს მათს ურთიერთობებს. სწორად არის გაგებული გრ. ორბელიანის წინააღმდეგობრივი სახე, როცა ბრწყინვალე თავადმა იუკადრისა მღაბიო წარმოშობის პიროვნების დიმიტრი ყიფიანის თავადთა გვერდით ყოფნა და განდიდება, და რომელიც, მეორე მხრივ თვითონვე ქადაგებდა ლექსებში სრულიად საწინააღმდეგოს: „ნიჰს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობასო“. იუსუფ ფალავას მიერ გრ. ორბელიანის გარემოს აღწერას როცა ვაღარებთ ე. მაღრაძის ფილიგრანული სიზუსტით შესრულებულ ბიოგრაფიულ რომანს გრ. ორბელიანზე, ვხედავთ, რომ „წინაპართა აჩრდილების“ ავტორი, მართალია ახალ ფაქტებს არ წარმოაჩენს, ან ძველ ფაქტებს ახლებურად არ კითხულობს, მაგრამ სათანადოდ იცავს არსებულს და მხატვრულად მოსავს მას თავისი რომანის მიზნის შესაბამისად. ძველი თბილისის კოლორიტის შექმნისათვის ავტორი გმირებს მტკა-

რზე ტივით ქეიფსაც გაამართვინებს, თუმცა, უნდა ითქვას, ეს სცენა რამდენადმე ნაკლებდამაჯერებელია. მწერალმა კარგად იცის ძველი თბილისის ეთნოგრაფია, ყოფითი დეტალები, მუსიკალური ბოჰემა. დამაჯერებლობას არაა მოკლებული, რომ მაინცდამაინც ყორღანოვი გაუხადა მთავარ გმირს სახლის პატრონად. ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში არაერთ ყორღანოვს ან ყორღანაშვილს ჰქონდა ბინები სწორედ გასაქირავებლად, მაგრამ არასწორია ყორღანოვებს რომ ზოგჯერ კორღანოვებად აცხადებენ (გვ. 177). ღონივრად არის დახატული ხალხური მუსიკოსები. თბილისი მართლაც არის ერთადერთი ქალაქი თავისი განუყოფელი ხალხური მუსიკალური იერსახით. რა და რა სახის მუსიკოს-შემსრულებლებს არ იხილავდით აქ აღნიშნულ პერიოდში. ჯაფარა ან სათარა ავიდოთ თუნდაც. ამ უკანასკნელს ნ. ბარათაშვილმა და ი. პოლონსკიმ ქებაც უძღვნეს. რამდენი ასეთი იმპროვიზატორ - შემსრულებელი გამოხატავდა მაშინ ხალხის სიხარულსა და მწუხარებას ნაირფერი ჰანგებით. სწორედ მათ მიეძღვნა სულ ახლახან გამოსული ა. ბარნოვის „ძველი თბილისის მუსიკოსები“. ვინც ეს კრებული წაიკითხა, დაგვეთანხმება, რომ ი. ფალავა ზუსტად იცავს საჭირო კოლორიტს, მხატვრის თვალთა გამოაქვს თავის რომანში მათი ვაშლივით გაბერილი, წითელი

ლოყები, შავი გრძელი უღრავები და მხიარული, ღიმილიანი თვალები: „მუსიკოსები, ოპ. გერმანული რი ხალხური მუსიკოსები. ისინი ნამდვილ ვირტუოზულ ნიჭსა და მაღალი ხელოვნების მადლს აქსოვდნენ საკრავების მიერ აუღებულ მელოდიებში. ცალთვალად დიმიტრი ყანჩელს დამკვნარ სახეზე კიბორჩხალის კუდივით აჯდა გრძელი ცხვირი. იგი ერთნაირ ხმაზე ახმინებდა სასიამოვნო ბანს. მეორე მეზურნეც ხანდაზმული იყო, თურამაულ ვაშლივით მსუქანი და მწითური ლოყები ჰქონდა. ვიწრო შუბლზე თვალეზამდე ჩამოეფხატა კრაველის ძავი ქუდი. ზეინაბმა დაინახა, რომ მას სიამოვნებისაგან თვალები მიელულა. იდაყვები აფრენილი შევარდენის ფრთებივით გაეშალა, თავი მხრებში ჩაერგო და მელოდიის ბგერებს კრაველის ბეწვებივით ახუჭუჭებდა. ზეინაბს ყველაზე მეტად ის გაუკვირდა, რომ მეზურნეები პაერს ცხვირიდან ისე ჩაისუნთქავდნენ ხოლმე, რომ ზურნის ხმა შეუწყვეტლად გრძელდებოდა, ლოყები კი პაერის საჭირო მარავით ისე უზომოდ ჰქონდათ გაბერილ-დაწითლებული, თითქოს შიგ მთელ-მთელი ვაშლები უდევთ“.

ასე ცოცხლად, სურათოვნად იხატება მეზურნეთა ანსამბლი.

სამწუხაროდ, ერთ გარემოებას ყურადღებიდან უშვებს მწერალი.

არ მომხდარა, რომ თბილისში რომელიმე ცნობილი პიროვნება

ჩამოსულიყოს, ხალხურ მემუსი-
კეთ დასწრებოდეს და თავისი აღ-
ტაცება არ გამოეხატოს მათი სა-
შემსრულებლო ოსტატობის გამო.
აქაური მუსიკოსებისათვის მოუს-
მენია პუშკინსა და ლერმონტოვს,
ქება უძღვნია მანდელშტამსა და
ბევრ სხვას. ბევრ ხელოვანს სე-
რიოზულად უთქვამს: ჩემი ხელ-
ობა ვერ მოვა ამგვარ ოსტატობა-
სთან. რომანის მიხედვით კი
იტალიელი მომღერალი ალმაზინი
ისე მოისმენს ხალხურ შემსრუ-
ლებელთა დაკვრას (რასაც ასე
დიდ ხოტბას ასხამს ავტორი),
რომ ერთხელაც რა არის, არ და-
სცდება აღტაცების გამომხატვე-
ლი შორისდებული.

არა ერთი და ორი კარგი მაგა-
ლითი გვაქვს თურქების მიერ ქა-
რთველ ტყვეთა შესყიდვა-გაყიდ-
ვის აღწერისა უიარაღოს „მამ-
ლუქში“ ან გრ. ჩიქოვანის „ოდი-
შურ მოთხრობებში“. ი. ფაღვას
მიერ ამ შემაძრწუნებელი სცენის
ოსტატური წარმოსახვა ამდიდ-
რებს ამგვარ სურათთა გაღერვას.
ალი-ფაშას ოჯახური გარემო, მი-
სი ძმა და დედა თითქმის ისეთსა-
ვე შთაბეჭდილებას ახდენენ, რო-
გორსაც უიარაღოს მიერ შეთხ-
ზული მსგავსი გარემო ტყვის გა-
დამყიდველი ქართველი თავადი-
სას.

მწერლის ერთ-ერთი საყვარე-
ლი ხერხია კონტრასტის საშუა-
ლება. მართალია, შიშვლად არა-

სოდეს იყენებს მას, მაგრამ იგუ-
ლისხმება კონკრეტულ პირო-
ვნებათა ურთიერთსაწინააღმდეგო
გო მოქმედებისას, აგრეთვე მსე-
რლის სიმპათიების კეთილისმოქ-
მელი ადამიანებისაკენ გადახრით
და იმიტაც, რომ ბევრი პერსონა-
ჟი უარყოფითად ახასიათებს ალი-
ფაშასა და მის პოლიტიკურ ამფ-
სონებს, რომლებიც ხელს უშლი-
ან საშვილიშვილო საქმეს — სა-
ქართველოსთან აჭარის შეერთე-
ბას.

კონტრასტი აუცილებლად გუ-
ლისხმობს დაპირისპირებას, მაგ-
რამ დაპირისპირება ოსტატურიც
შეიძლება იყოს და პრიმიტიუ-
ლიც, შიშველიცა და შეფარუ-
ლიც. ი. ფაღვა იყენებს შეფა-
რულ დაპირისპირებას. არ ცდი-
ლობს კარგს ცუდი დემონსტრა-
ციულად დაუპირისპიროს, შიშ-
ვლად დაუყენოს წინ. ცდილობს
მათ შორის გააჩინოს დისტანცია,
მანძილი, გარკვეულად შეარბი-
ლოს კონტრასტულ გმირთა ხასი-
ათები, რათა ისე არ გამოვიდეს,
რომ ერთი გმირი ზეციდან ჩამო-
სული ანგელოზი მოგვეჩვენოს.
რადგან პროგრესულ საქმეს ემსა-
ხურება, ხოლო მეორე — პირწა-
ვარდნილი ავაზაკი, რადგან სხვა-
გვარი რწმენა და აზრები მოსდის
თავში. თუმცა ითვალისწინებს,
რომ საბოლოოდ მაინც უნდა და-
გვარწმუნოს პროგრესული საქმის
გამარჯვების აუცილებლობაში და
ამიტომაც იმთავითვე ამზადებს
ნიადაგს უარყოფით პიროვნებაში

ნეგატიურ თვისებათა ჩვენებით. ეს ჩვევები შემდეგ საჭიროებისამებრ განვითარდება და მწერალს საშუალება ექნება დაასრულოს პერსონის სახე. მაგალითად, ალი-ფაშა თურქული ორიენტაციის პოლიტიკოსია. როგორც პიროვნება — კარიერისტი, მომხვეჭელი და უპატიოსნოა. თურქული ორიენტაციის პიროვნებაა შუქრი-ბეგიც, ფაშასავით მაჰმადიანი ქართველი, მაგრამ როგორც პიროვნება — სპეტაკია, პატიოსანი მშრომელია და სუფთა სინდისით ემსახურება იმ ხელმწიფეს, ვისაც ერთგულება შეჰფიცა. ავტორი ყოველივე ამით სამართლიანად გვინერგავს იმ აზრს, რომ როგორც თურქეთის სულთნის, ისე რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომთა შორის არიან პატიოსანიცა და უპატიოსნო მოხელეები და თუ ერთი ხელისუფალი გამწარებით ებრძვის მეორეს კავკასიისათვის, არანაკლები სიმწვავის ბრძოლა არის გაჩაღებული ამ ხელისუფალთა ქვეშევრდომებს შორისაც საქართველოს მრმავლისათვის. ერთნი ცდილობენ სამუდამოდ ჩამოაშორონ დედამამშობლოს აჭარა, ხოლო მეორენი — რაც შეიძლება დროულად მიუერთონ იგი მას.

ალი-ფაშა გადაგვარებული ქართველია. მაგრამ საქართველოს არ გადაუგვარებია. იგი გარყვნა თურქეთის მაღალმა საზოგადოებაში, სერალის წარჩინებულთა ცხოვრების წირმა, ღირსკაცობამ, სიმდიდრემ. კარიერის გაკეთების

სურვილმა კი ყოველივე მშობლიური გრძნობა დაუჩლუნგა და ჩაუკლა. სამაგიეროდ გაქვნიშნული პროთურქული განწყობილება. მაშინაც კი, როცა სამშობლო მიწაზე — აჭარაშია, ვერ იცილებს ადრე აკიდებულ ტვირთს — თურქეთის ხელისუფალთა წინაშე რიდის გრძნობასა და მორჩილებას. და მათი ერთგული დამქაშირება, თუმცა საკმაოდ ჭკვიანია და გრძნობს, რომ „სერალის დიდებულები მას ფხიზელი ქოფაკის მოვალეობას აკისრებდნენ, კარზე მიბმული ფხიზელი ქოფაკის მოვალეობას“. ალი-ფაშა მოღალატე ბუნებას რომანის დასაწყისშივე ამჟღავნებს. თანამემამულე შუქრი-ბეგს, ვისაც მეგობრულად უცქერის, წამსვე დასაღუბად განწირავს, როცა შენიშნავს, რომ იგი თავის მოწონებულ ქალიშვილს ზეინაბს უყვარს. რომანის პირველი წიგნი ძირითადად ალი-ფაშას პიროვნებისა და ქმედებათა ირგვლივ დაგვატარებს. ალი-ფაშას პიროვნებასთან იყრის თავს სულთნის კარის კრიზისის ამბავიცა და დიდი ვეზირის შორსმიმავალი განზრახვები, რუსეთის გეგმების ამოცნობისათვის გზების ძიებაცა და საქართველო - თურქეთს შორის არსებული ბუფერისათვის — აჭარისათვის ახალი პოლიტიკური მისიის დაკისრებაც. ამ გაგებით ალი-ფაშა ძალზე ტევადი გმირია. იგი ბევრ საკვანძო საკითხს აერთიანებს, რომლებიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომანის მეორე ნაწილში გაიშლება. ალი-ფაშას სახე

კრებითი სახეა. ბევრი სხვადასხვა
ჯურის თუქული ორიენტაციის
პიროვნება არის ცნობილი ისტო-
რიიდან და ალი-ფაშა თითქმის
ყოველი მათგანის შტრისს ატა-
რებს. ეს გმირი საკმაოდ მოძრა-
ვია. ავტორის გარკვეულ იდეათა
საყვირი კი არაა, არამედ „თავისი
ნებით“ მოქმედებს.

რომანის პირველ ნაწილში ოდ-
ნავ შებოროტილად მოძრაობს შუქ-
რი-ბეგი. მართალია, მისი წარსუ-
ლი აცოცხლებს პერსონის მხატვ-
რულ სახეს, მაგრამ ერთგვარი
მოქმედების შეზღუდულობა ამ
სახისადმი ინტერესს ანელებს.
სამაგიეროდ ფართო პლანით არის
წარმოდგენილი ზეინაბის ცხოვ-
რება იტალიაში, მისი დაოსტატე-
ბა მუსიკალურ ხელოვნებაში, მე-
რე ცხოვრება სტამბოლში, შუქ-
რი-ბეგთან შეუღლება და ნო-
ლოდნელად თავს დატეხილი უბე-
დურება: შუქრი-ბეგის უეცარი
დაპატიმრება. შემდეგ დამამცი-
რებელი მგზავრობა ალი-ფაშას-
თან, ბოლოს აჭარა და შემდეგ
გურია-იმერეთის გავლით — თბი-
ლისი, თბილისის რჩეული მუსი-
კალური საზოგადოება, სამუსიკო
დასში ჩარიცხვა და, ზეინაბს თი-
თქოს ხელმეორედ აუყვავდა ბე-
დი, ხელმეორედ გახდა ბედნიერი.
თითქოს ბედის ბრუნვით დევნი-
ლი, სამშობლოდაკარგული ადა-
მიანი ბედნიერი ხდება, მაგრამ აი,
მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლო-
ზის ძე წარბებს იკრავს: — ამ
მუსიკოსის შესახებ თავისუფალ
დროს უთუოდ მომელაპარაკეთ,

გრაფო! უბრძანებს იგი გრაფ არ-
ბუზოვს. ყველაფრიდან ჩანს, რომ
ახალგაზრდა მუსიკოსი ქაღალდზე
ვზე საავდრო ღრუბლებს იხეშებს
თავს. რა მოელის მას? ამ საიდუ-
მლოს რომანის მეორე ნაწილში
გავიგებთ.

ზეინაბი ცენტრალური ფიგურ-
აა. საინტერესო ჩანაფიქრი აქვს
ავტორს, რომელიც ცდილობს სა-
კუთარი ესთეტიკური იდეალები
ჩააქსოვოს ამ გმირის სახეში, მის
ქმედებაში, მუსიკალურ მოღვა-
წეობაში. რომანის მეტად საგუ-
ლისხმო რეალიზებია ის ადგილები,
სადაც მუსიკალურ მოღვაწეთა და
ხელოვან შემსრულებელთა შესა-
ხებ არის მსჯელობა. ეს ყველაფე-
რი კარგია, მაგრამ მაინც გვგონია,
რომ უფრო ღრმა მსჯელობა არის
საჭირო მუსიკასა და ხელოვნება-
ზე, რადგან ესთეტიკური ფენომე-
ნის წვდომა გმირისაგან არა მხო-
ლოდ საუბარს მოითხოვს, არამედ
კონკრეტულ მოქმედებასაც. მა-
ღალი მიზნის მისაღწევად ტანჯვი-
თა და დაგვიტ მოსილ შრომას,
ცდას, დამარცხებასა და გამარჯ-
ვებას. შესაძლოა ყველაფერი ეს
ვიხილოთ რომანის მეორე ნახე-
ვარში, მაგრამ პირველ ნაწილშიც
რომ ყოფილიყო, უფრო დამაჯე-
რებელს გახდიდა ქალის მუსიკა-
ლურ ნიჭსა და ტემპერამენტს, ფა-
რთო შესაძლებლობას.

რომანში ყურადღებას იქცევს
კიდევ ორი მკვეთრი სახე. დედუ-
აღა და გულო-აღა კაიკაციშვილი.
ეს ორი მამულიშვილი ყველა-
ფერს აკეთებს საქართველოს გა-

რთიანებისათვის, ქართველ ტყვე-ებს იხსნიან სტამბოლის ბაზარზე გაყიდვისაგან და ბევრ სხვა ამგვარ სამამაცო საქმეს იქმენ. მათი მოღვაწეობა დამაჯერებელია, სახეები ნათლად დახატული, მიზანი — კეთილშობილი.

ამრიგად, ყოველი ცალკეული პერსონაჟი რაღაც ძაფებით მაინც უკავშირდება მთავარს — საქართველოსთან აჭარის შეერთების საოცნებო იდეალს. მართალია, ამგვარებს აჩრდილებს უწოდებს ავტორი, მაგრამ საქმაოდ ფეროვანნი და ცოცხალნი არიან, ენერგიულნი, მებრძოლნი. სწორედ ისინი არ ებუებიან მკაცრ სინამდვილეს და სამშობლოს იღბალზე დაფიქრებულნი თავს სწირავენ მისი მომავლისათვის. ასეთი აჩრდილები ცოცხალ ადამიანებს ემსგავსებიან, სტოვებენ აჩრდილთა მჭრქალ, ლანდიერ სამყოფელს და აქტიურად ერთვებიან ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში, მოგვიწოდებენ ფარხმალდაუყრელი ბრძოლისაგან, სინდისის, პატიოსნების ასპარეზზე მკაცრი ბრძოლის გარდასახდელად მეშინაობისა და ანტიპატრიოტიზმის ძალთა წინააღმდეგ. ყოველივე ეს რომანის პირველი წიგნის მთავარი მონაპოვარია.

გ ა მ ო ს ა ხ ვ ი ს ხ ე რ ხ თ ა ს ა მ ო ს ე ლ ი. რომანში სიუჟეტური ქარგა არ შიშვლდება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ძირითადი ყურადღება ხერხს კი არ ეთმობა, არამედ შინაარსის განვითარებას, რაც მეორეულ კომპონენტად

ხდის სიუჟეტურ ქარგას. მიუხედავად ამისა, ამბავი მაინც ვითარდება — იწყება, აღწევს პიკეტაჟს, ნაციურ დონეს და ბოლოს იხსნება. მაგალითად, ალი-ფაშასა და ზეინაბი — შუქრი-ბეგის ურთიერთობა გარკვეულ დრომდე ნორმალურად ვითარდება, შემდეგ კი ზეინაბი ხდება მიზეზი ორი თანამემამულის ურთიერთობაში ბზარის გაჩენისა. შუა მომენტში ალი-ფაშა განიზრახავს ჩამოიცილოს მეტოქე და შუქრის აპატიმრებინებს. კვანძი შეიკრა. მისი გახსნა მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა შუქრი-ბეგის საბოლოო ამბავი გაირკვევა. ეს კი პირველ ნაწილში არ ხდება. მაშასადამე, აქ მოცემულია შეკავებული, დაყოვნებული კვანძი. თავისთავად ამ ხერხის ფიქსაციას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ იგი არ გვიხსნის რომანის აღნაგობის თავისებურებას, არ გვაძლევს საშუალებას უკეთ ჩავწვდეთ მწერლის ოსტატობის საიდუმლოებას. ამ შემთხვევაში ღირსება მაშინ დადასტურდება, თუ წიგნის მეორე ნაწილის რეალიებში საინტერესოდ გაიხსნება მოქმედება ამ ერთი კონკრეტული მიმართულებით, რომანი ამბავთა მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. მეორე სიუჟეტური ქარგა იწყება აღმაზნისა და ზეინაბის ურთიერთობის განვითარებით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამ ამბის ერთგვარი დასრულებისა იგი საბოლოოდ მაინც არ გადაწყვეტილა. საბოლოო ჩამოყალიბებას ამ ამბავისა მეორე

რე ნაწილში უნდა ველოდოთ; ასევე დაუსრულებელია ნამიყ-ქმელის ამბავი. ალი-ფაშას მოქმედების განვითარება ყველაზე სრულყოფილად არის გამოკვეთილი. იგი უკვე შეუდგა თავის ახალ თანამდებობას — ბათუმის ნარჩვას, მისი ცდა — დაეპყრო ზეინაბი — ორგზის წარუმატებლად დამთავრდა. ამ მხრივაც დასრულებულია ალი-ფაშას „ამბავი“. სამაგეროდ, საქართველოსთან აჭარის შეერთების წინააღმდეგ მისი აქტიური ბრძოლა ჯერ-ჯერობით მხოლოდ იწყება და საესებით მეორე ნაწილში უნდა გამოჩნდეს. საერთოდ კი მისი ამგვარი სურვილები და მიდრეკილებანი პირველივე ნაწილიდან ბევრისაღმტყმელად გამოიყურება და მეორე ნაწილში საინტერესო გადაწყვეტას მოველით.

ი. ფალავა ხშირად მიმართავს დიალოგს. დიალოგი ამსუბუქებს ტექსტს, საინტერესოს ხდის ამბავის განვითარებას, ხოლო ბევრ შემთხვევაში ხასიათის გახსნას ემსახურება. დიალოგის პოლივალენტობა და ხარისხი დამოკიდებულია მწერლის ნიჭიერებაზე. რაც უფრო კარგი ოსტატია ავტორი, მით უფრო მეტ ფუნქციას აკისრებს გამოსახვის ამ ძვირფას ხერხს. „წინაპართა აჩრდილებში“ დიალოგი ემსახურება პერსონაჟის პატიოსანი ან გარყვნილი სულის გამოკვეთას, გამოძღვენებას. ამ შემთხვევაში ავტორი საერთოდ იკარგება მკითხველის მსუდლობიდან და პერსონაჟი თვითონვე უსვამს ხაზს თავის ამა თუ იმ თვისებას:

„მაყვალა მყის გამოცხადა და თავი დახარა პატრონის მსახურად“

— ხომ ივანეშვე, ჩემო ანგელოზო, — დაუყვავა და ხელი იკაპქვეშ მოუსვა.

— დიახ, ბატონო, ორიოდელუკმა გეახელით. — დაიმორცხვა მხევალმა.

— ყოველთვის საკმაოდ უნდა დანაყრდე, მჭლე და გაძვალ ტყავებულო სახე დარიცარ ვარგა. — გაუღიმა ფაშამ.

— მესმის, ბატონო.

— ლოგინი გამიშალე?

— ახლავე გაგიშლით, ბატონო.

— წასვლა დააპირა ქალიშვილმა.

— მოიცა, რაღაც უნდა მეთქვა.

მკლავებში სწვდა და საძინებელი ოთახისაკენ წაიყვანა ფაშამ. — სიკეთეს გადახდა რომ უნდა ხომ იცი? დღეს გამოცდა უნდა ჩააბარო.

— რა მოგახსენოთ, ბატონო...

— ტანში ჟრუანტელმა დაუარა ქალიშვილს.

— დანარჩენი თვითონ უნდა მიხვდე, ჩემო მაყვალა. ვაჭარს ოქროები ჩავუჩხრიალე, გადასყრელი კი არა მქონდა...”

დიალოგი ალი-ფაშას სულისკვეთების, მისი ბინძური სურვილის გამოხატვის საუკეთესო საშუალება გახდა. ხაზგასმული სიტყვები კარგად მიანიშნებენ ალი-ფაშას მსხვერპლსა და მკითხველსაც გარყვნილი მოხელის გულისტყმას, მაგრამ მიანიშნებენ

ოსტატურად, ტაქტით, თანდათანობით.

სენტენციები და დიდაქტიკა მხატვრულ კონსტრუქციებს ემყარება, მშრალ შეგონებამდე ჩამოყავს ისინი. მაგრამ გააჩნია, თუ სად არის გამოყენებული. უმთავრესად გმირის მეტყველებაში უნდა ვერიდოთ მათ, რადგან ასეთ შემთხვევაში მკითხველს ეჩვენება, რომ ავტორი დგას გმირის უკან და გმირი კი „რუპორის“ როლს ასრულებს. მაგრამ თუ ავტორი არ იმალება, თვითონვე გულახდილად გვიჩვენებს თავის ფილოსოფიურ აზრებს, ასეთ შემთხვევაში ნაკლებად არის სენტენცია მომბეზრებელი. ჩვენი აზრით, ი. ფალავა საკმაოდ ზომიერია ამ მხრივ. ზოგჯერ სიამოვნებითაც ვკითხულობთ ამგვარ აზრებს: „ადამიანის ცხოვრება აზვირთებულ ნიაღვარს ჰგავს, კლდეს რომ მიენარცხება და უმალ შეიცვლის გეზს. ხან უფსკრულში ეშვება, ხან კი მშვიდად მიემართება თავის კალაპოტში“. ეს წინადადებები ერთ-ერთი თავის დასაწყისშია მოქცეული და ერთგვარ ეპიგრაფადაც იგულისხმება, რაც შემდეგ გმირის პრაქტიკული ცხოვრების გამოხატვისას ხორცს ისხამს.

რომანში ძალიან დიდ როლს თამაშობს მწერლისეული თხრობა. იგი ნათელია, მკაფიოდ ლოგიკური და ზუსტი. თუმცა მხოლოდ იშვიათად გამოერევა ენობრივი უზუსტობა, ისეთი, როგორიცაა—

„ზეინაბმა უცხო ენასაც დაეუფლა“ (გვ. 32), მაგრამ ასეთი უცხო სწორი, ლაღი და მსუბუქი საუბარი: „თეთრად მარმარილოს დარბაზს ზღაპრული ელფერი ედო. ხალიჩებით იატაკ-მოვებულ დარბაზში ვეზირები და სერაღის სხვა წარჩინებულები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ხმადაბლა ბასობდნენ. ჩრდილოეთის მხარეზე, მარმარილოსვე მომადლო ამბიონზე, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი სამეფო ტახტი იდგა. მნახველი აღტაცებაში მოჰყავდა გიშრის, ლალის, ფირუზის, საფირონის, იაგუნდისა და აღმასის ბრწყინვალეობას. საზურგეს თავზე ფარშევანგის მარმარილოსავე პაეროვანი კანდაკი იდგა“.

ასე გვესაზება იუსუფ ფალავას ვრცელი რომანის სოციალური პერსპექტივისა და მხატვრული ძალმოსილების მთავარი არსი. რა თქმა უნდა, მეორე წიგნი ბევრ მომენტს კვლავ თავისებურად ახსნის, დაგვანახებს, მოვლენათა მსვლელობას ახალ კალაპოტს გამოუძებნის. ჩვენ კი ამჟამად ვეძებთ ისეთ სიტყვას, რომელიც თავის კალაპოტს არც მეორე ნაწილის გამოსვლისას შეიცვლიდა და ვფიქრობთ ვიპოვეთ იგი ამ ფრაზის სახით — ხელთა გვაქვს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის რთული და აბურღული ვითარების ანსახველი მხატვრული მატრიანე, სავსებით სერიოზული რომანი.

0 05 / 17



შან 40 კპპ.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

„ЧОРОХИ“

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ**

ИНДЕКС 78118